დიმიტრი შვილიძე

თავშესაქცევი ისტორიული ამბები

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

დიმიტრი შველიძე

თავშესაქცევი ისტორიული ამბები

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
თბილისი
2015

რედაქტორი ნინო გოგალაძე
დიზაინერები: თამუნა თათელაძე, ია მახათაძე, ლადო ლომსაძე

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2015
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
დავით აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი
ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-23-377-7

Dimitri Shvelidze
FUNNY STORIES FROM HISTORY

© Dimitri Shvelidze, 2015

All rights reserved.

Sulakauri Publishing
150 David Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

E-mail: info@sulakauri.ge

www.sulakauri.ge

შემკრებელ-შემდგენლისაგან

წიგნში მკითხველი მრავალ ისტორიულ პიროვნებას შეხვდება: ალექსანდრე მაკედონელს, იულიუს კეისარს, კარდინალ რიშელიეს, ალექსანდრე სუვოროვს, ერეკლე მეორეს, ნაპოლეონს, ოტო ფონ ბისმარკს, ჩერჩილს, სტალინს, ხრუშჩოვს, რონალდ რეიგანს... ისინი რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: პიროვნული ღირსებებით, მოღვაწეობის ხასიათით, ისტორიული დამსახურებით... მიუხედავად სხვაობისა, მათ შესახებ ამოკრებილ ისტორიულ ეპიზოდებს ერთი საერთო აქვს – ყოველი მათგანი რაიმეს მიგვანიშნებს, შეაგონებს მკითხველს: სიკეთეს, სიბრძნეს, სამშობლოს, მოყვასის სიყვარულს თუ დესპოტიზმის საშინელებას, პატივმოყვარეობისა და ქედმაღლობის ამაოებას და სხვა.

ეს ეპიზოდები სხვადასხვა სამეცნიერო-საისტორიო ლიტერატურიდან, მემუარებიდან, სხვადასხვა დროის ჟურნალ-გაზეთებიდან თუ წყაროებიდანაა ამოკრებილი: პლუტარქე თუ სვეტონიუსი, ლაზარ ფარპეცი თუ ვარდან დიდი, დავითისა თუ თამარის მემატიანეები, დიდებული ჟამთააღმწერელი თუ ფარსადან გორგიჯანიძე, ისკანდერ მუნში თუ იბრაჰიმ ფეჩევი. ახალი დროის ისტორიკოსები და ბიოგრაფები: ტარლე, მანფრედი და სხვანი და სხვანი, რომელთა გაცნობა წლიდან წლამდე უწევთ ისტორიკოსებს და არა მარტო მათ.

ამ კრებულის წინაპარი–ანალოგი 1991 წელს გამოვაქვეყნე ბადრი რამიშვილთან ერთად. ამჯერად მხოლოდ ჩემ მიერ შეკრებილ ისტორიულ ეპიზოდებს ვაქვეყნებ, რომელთა რაოდენობა გაორმაგებულია და დასათაურებული.

ერთი სიტყვით, თავისებურ კოლექციონერობას ვეწეოდი და ახლა ამ შეგროვილ ისტორიულ ამბებს თავშესაქცევად ვთავაზობ მკითხველს.

მეფე ერეკლეს ზნეობანი

ალექსანდრე ორბელიანი გადმოგვცემს:

ავადმყოფობისაგან დაუძლურებულ ერეკლე მეფეს ექიმების რჩევით ვარიის ბულიონი მიართვეს. ერეკლე სასტიკად განყრა, როგორ მიბედავთ, რომ ნათლიღების წინა დღეს, მარხვის დროს, სახსნილოს მაპარებთო.

მერე კი დარეჯან დედოფალს უთხრა:

„მე რომ ეხლა ამისთანა დღესა, ამ მარხვაში სახსნილო ვჭამო, აქ თავზე კერძონანი რომ გვადგანან, ეგენი გავლენ, სხვებს ეტყვიან, მეფე ირაკლი მარხვის დღესა სახსნილოს საჭმელს სჭამსო. ისინი კიდევ სხვებს ეტყვიან ამათ სიტყვას, ისინი კიდევ სხვებსა, იქამდისინ, რომ მთელს ქვეყანას მოედება და ის მცირედი ლაპარაკი თავიანთის დამატებით ბევრათ გავა და ბოლო დროს ხალხი ამას იტყვის: თუ მეფე ირაკლი ცუდ საქმეებს არ ერიდება, ჩვენ რაღა ვართ, ჩვენც შევუდგეთ ისე, საიდანაც მცირედის მიზეზითა, ხალხი გაირყვნება, მასუკან ბევრი ავი შემოვა ჩვენში და მერეთ ხალხსა თავს ვეღარაფრით ვეღარ დაუჭერენ. ამიტომ ეგ სახსნილო ეხლავ გაიტანეთ: სიკვდილს ვირჩევ და მე მაგას კი არა ვჭამ“.

ეს მომხდარა 1798 წლის 5 იანვარს, ალექსანდრეს ცნობით.

ექვსი დღის შემდეგ კი, ხომ ვიცით, რომ ერეკლე მეფე გარდაიცვალა.

შეშინებული მადამ დე პომპადური

ლუი XV-ის ფავორიტი მადამ დე პომპადური წაიქცა და უხერხული ადგილი დაიზიანა, რომელსაც, მადლობა ღმერთს, კაბა უფარავდა. მიუხედავად ამისა, შეშფოთებულმა ჰკითხა ექიმს:

– მითხარით, ხომ არ გამომიჩნდება ეს ადგილი?

– მადამ, – უპასუხა გაკვირვებულმა ექიმმა, – ეს მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

ის, რასაც საზღვარი არ გააჩნია

საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის, ბარბე-მარბუას არაკომპეტენტურობის შესახებ ხმებმა იმპერატორ ნაპოლეონის ყურამდე მიაღწია.

– ხელმწიფევ, იმედია, თქვენ მე ქურდად არა მთვლით, არა? – ჰკითხა ანგარიშისათვის გამოძახებულმა ბარბე-მარბუამ იმპერატორს.

– მე ამას ასჯერ უფრო ვამჯობინებდი, – უპასუხა ნაპოლეონმა, – თაღლითობას მაინც აქვს ასე თუ ისე გარკვეული საზღვრები, სისულელეს კი საზღვარი არ გააჩნია.

სპარტელი მოქალაქე სიმონიდე

სპარტის გამოჩენილ მოქალაქე სიმონიდეს შეეკითხნენ, რა გაგიკეთებია ცხოვრებაში ისეთი რამ, რაც მერე გინანიაო.

– საკმაოდ ბევრჯერ მინანია, – იყო პასუხი, – რად ვილაპარაკე ესა და ეს-მეთქი, მაგრამ არასოდეს – ჩუმად რად ვიყავი.

თავდასხმა პრეზიდენტზე

1981 წლის 20 მარტს განხორციელდა თავდასხმა აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანზე. ვინმე ჯონ ჰინკლიმ ექვსჯერ გაისროლა პრეზიდენტის მიმართულებით, სამი კაცი დაჭრა, მაგრამ მიზნამდე მხოლოდ ერთმა ტყვიამ მიაღწია და, საბედნიეროდ, მხოლოდ დაჭრა პრეზიდენტი. ამის შესახებაც ხუმრობდა რონალდ რეიგანი, რომელმაც მსუბუქი ოპერაციის შემდეგ უინსტონ ჩერჩილის ფრაზა გაიხსენა: „არ არსებობს

იმაზე კარგი გრძნობა, ვიდრე ის, როცა გააცნობიერებ, რომ გესროლეს, მაგრამ უშედეგოდ".

საერთოდ, ამერიკელები აღფრთოვანებულები იყვნენ იმ მძიმე დღეებში 70 წლის რონის აუღელვებლობითა და ჩვეული იუმორით, რომელიც მას არცერთი წუთით არ ტოვებდა. როდესაც საოპერაციოდ შეიყვანეს, მან ქირურგებს ჰკითხა, ხომ ყველანი რესპუბლიკელები ხართო, რაზედაც მათ სრულიად სერიოზულად უპასუხეს: დღეს ყველანი რესპუბლიკელები ვართო.

როცა ოპერაციის წინ ტანსაცმელს იხდიდა მედდას თანდასწრებით, რეიგანმა ჩაილაპარაკა: „რა იქნება, ეს რომ ნენსიმ გაიგოს?".

ხოლო, როდესაც მის საწოლთან ბლომად გარშემოკრებილი თანაშემწეები და ადმინისტრაციის აპარატის თანამშრომლები დაინახა, მიმართა:

„კი მაგრამ, კანტორაში დარჩა ვინმე?".

პეტრე ბაგრატიონი და დენის დავიდოვი

ერთხელ დენის დავიდოვი ავანგარდში, რუსეთის მეორე არმიის სარდალ პეტრე ბაგრატიონთან გამოცხადდა და მოახსენა: მთავარსარდალმა მიბრძანა, თქვენს ბრწყინვალებას მოვახსენო, რომ მტერი ცხვირზე გვაზის და გთხოვთ, დაუყოვნებლივ უკან დაიხიოთო.

– მტერი ცხვირზე გვაზის? გააჩნია ვის ცხვირზე? – იკითხა ბაგრატიონმა, – თუ თქვენსაზე, მაშინ ფრანგები მართლა ახლოს ყოფილან; თუ ჩემსაზე, მაშინ სადილობასაც მოვასწრებთ.

მძიმე მოლოდინი

1916 წლისათვის რუსული საზოგადოება მოსალოდნელი კატასტროფის შიშმა მოიცვა. საფრანგეთის ელჩი რუსეთში, მორის პალეოლოგი, თავის დღიურებში, რუსეთის იმპერიის

უკანასკნელი თვეების საზოგადოებრივი განწყობილებების თავისებურ მემატიანედ მოგვევლინა. იგი ხშირად ადარებდა რუსეთის რეალობას საფრანგეთის რევოლუციის ეპოქას და დაუზარებლად ავლებდა პარალელებს. 1916 წლის 26 მაისს მან დღიურში ჩაწერა:

„ვაჯამებ ჩემი დღის შედეგებს:

რასპუტინი ამ დღეებში არწმუნებდა დედოფალს, რომ აუცილებელია, უსიტყვოდ მოუსმინონ ღვთისკაცს. რომ „...ის გრძნობს ახალ ძალებს მტრების წინააღმდეგ და თავს მიიჩნევს საიმპერატორო გვარეულობისა და წმინდა რუსეთის დამცველად, ვიდრე ოდესმე. ალექსანდრა ფიოდოროვნა (რუსეთის დედოფალი – დ. შ.) თვალცრემლიანი და აღტკინებული დაეცა მუხლებზე მის წინ და ევედრებოდა დალოცვას".

ამ სურათით გულდამძიმებული მორის პალეოლოგი განაგრძობს:

„დასკვნისათვის მე მაგონდება ქალბატონ ტენსენის წინასწარმეტყველება, რომელიც 1740 წელს ფრანგული მონარქიის შესახებ წარმოთქვა: „თუ ღმერთი პირადად არ ჩაერია, ფიზიკურად შეუძლებელია, რომ მეფის ხელისუფლებამ კისერი არ მოიტეხოს".

„მაგრამ მე ვფიქრობ, – დაასკვნიდა ფრანგი ელჩი, – 40 წელი კი არა, მხოლოდ 40 თვე თუ დარჩა რუსული რეჟიმის დამხობამდე".

ვინ იქნებოდა პრეზიდენტი

ერთ საღამოს პრეზიდენტი ბარაკ ობამა და მისი მეუღლე მიშელი არაგეგმიურ ვახშამზე რომელიღაც რესტორანში შევიდნენ. რესტორანი არც ისე მდიდრულად გამოიყურებოდა. როდესაც ისინი მაგიდასთან დასხდნენ, რესტორნის პატრონმა პრეზიდენტის დაცვას ჰკითხა, შეეძლო თუ არა, პირადად გასაუბრებოდა პირველ ლედის. ნება დართეს. რესტორნის პატრონი და პირველი ლედი ერთმანეთს გულთბილად ესაუბრნენ. საუბარს რომ მორჩნენ, ობამამ მეუღლეს ჰკითხა,

რატომ იყო დაინტერესებული რესტორნის მეპატრონე მასთან საუბრით. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდობის წლებში მეპატრონეს თურმე გაგიჟებით უყვარდა მიშელი. მაშინ ობამამ მეუღლეს ჰკითხა:

– ე. ი. შენ რომ მას ცოლად გაჰყოლოდი, ახლა ამ მშვენიერი რესტორნის თანამეპატრონე იქნებოდი, არა?

– არა, – მიუგო პირველმა ლედიმ, – მე რომ მას ცოლად გავყოლოდი, ის პრეზიდენტი იქნებოდა.

მეფის უძლურება

როდესაც ჰოლბაინი ინგლისის მეფის, ჰენრი VIII-ის კარის მხატვარი იყო, მას ერთი ლორდი გადაეკიდა და მის საქმეებში ერეოდა. აღშფოთებულმა მხატვარმა ახირებული ლორდი კიბიდან გადმოაგდო. ლორდმა მეფესთან უჩივლა მხატვარს, მაგრამ უშედეგოდ.

– მილორდ, – უთხრა მეფემ ლორდს, – მე გიკრძალავთ მხატვრის შეწუხებას. იცით, რა განსხვავებაა თქვენსა და ჰოლბაინს შორის? მე შემიძლია ახლავე მოვიყვანო შვიდი გლეხი და შვიდივე გრაფად ვაქციო, ისეთად, როგორიც თქვენა ხართ, მაგრამ არ შემიძლია თუნდაც ერთი ჰოლბაინის გამოყვანა.

სტალინის როლისათვის

მსახიობმა მიხეილ გელოვანმა, რომელსაც ფილმში ხალხთა ბელადის როლი უნდა შეესრულებინა, მოითხოვა, ჩაესახლებინათ სტალინის აგარაკზე, რიწის ტბასთან. როდესაც ამის შესახებ სტალინს მოახსენეს, მან იკითხა:

– მაინც რატომ უნდა გელოვანს რიწაზე ცხოვრება?

– მას სურს, თქვენს ხასიათს ჩაწვდეს.

– მაშინ ტურუხანსკის გადასახლებიდან უნდა დაიწყოს, – იყო სტალინის პასუხი.

კეისრის სევდა

ესპანეთში ლაშქრობის დროს, როცა იულიუს კეისარი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ რომელიღაც ისტორიულ ნაწარმოებს კითხულობდა, ღრმად ჩაფიქრდა და მოულოდნელად ტირილი დაიწყო. გაოცებულმა მეგობრებმა მიზეზი რომ ჰკითხეს, კეისარმა უპასუხა:

– როგორ გგონიათ, განა სევდისმომგვრელი არ არის ის, რომ ალექსანდრე ჩემს ასაკში უკვე უამრავ ხალხზე მეფობდა და მე კი აქამდე სასახელო არაფერი გამიკეთებია?

იმპერატორის მეეტლე

რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე პირველის მმართველობის დროს სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა წინადადება წამოაყენა, აკადემიის საპატიო წევრად აერჩიათ გრაფი ალექსი ანდრიას ძე არაკჩეევი. იმპერიის ამ ყოვლისშემძლე მინისტრისა და მოხელის სახელთან იყო დაკავშირებული სამხედრო-ყაზარმული სახელმწიფოს შექმნის იდეა. ცხადია, ამ პიროვნების არჩევა სამხატვრო აკადემიის წევრად უცნაურად მოეჩვენა აკადემიის მდივანს, ვინმე ლაბზინს, რომელმაც აკადემიის პრეზიდენტს ჰკითხა, რა იყო გრაფ არაკჩეევის დამსახურება ხელოვნების წინაშე.

პრეზიდენტი დაიბნა, მაგრამ მაინც უპასუხა:

– არაკჩეევი იმპერატორის უახლოესი ადამიანია.

– თუ ეს საბაბი საკმარისია, – შენიშნა ლაბზინმა, – მაშინ მე წინადადება შემომაქვს, აკადემიის წევრად ავირჩიოთ მეეტლე ილია ბაიკოვი. იგი არა მარტო ახლოსაა იმპერატორთან, არამედ მის წინაც კი ზის.

ცოტა ხნის შემდეგ არაკჩეევმა ეს კალამბური გაუხსენა ლაბზინს და სიმბირსკში გადაასახლა.

მეგობრული რჩევა

ერთ-ერთი სამხედრო ოპერაციის დროს ადმირალმა ჰორაციო ნელსონმა შეცდომა დაუშვა და გადაწყვიტა, ამის შესახებ დეტალურად მოეხსენებინა უფროსობისათვის. ადმირალის მეგობარმა და თანამებრძოლმა კაპიტანმა, რომელიც მოხსენებას გაეცნო, შენიშნა, რომ ეს იყო ლაკონიურობისა და ნათელი სტილის ნიმუში, მაგრამ ხელმძღვანელობისთვის გაგზავნა მიზანშეუწონლად მიიჩნია.

– მეგობრულად გირჩევთ, – მიმართა მან ნელსონს, – არასოდეს იმართლოთ თავი მანამდე, სანამ თქვენთვის ბრალი არ დაუდიათ.

მუხრან-ბატონის „შეცდომა“

1864 წელს თბილისში, თავადაზნაურთა კრებებზე ცხარე კამათი მიმდინარეობდა გლეხთა ყმობისაგან განთავისუფლების შესახებ. თავადაზნაურობის დიდი უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ყმების მიწიანად განთავისუფლების წინააღმდეგი იყო. ცნობილია, რომ ერთ-ერთმა მათგანმა ილია ჭავჭავაძეზე ხანჯლითაც კი მიიწია, რადგან ეს უკანასკნელი გლეხობისათვის მიწის გადაცემას მოითხოვდა. ქრისტეფორე მამაცაშვილი გადმოგვცემს:

„მეორე კრებაზე ილაპარაკა გენერალ-ლეიტენანტმა ივანე მუხრანსკიმ. მან განაცხადა, რომ უმიწოდ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავადაზნაურობა მიემხრობა, მიწიანად კი, მხოლოდ „ორიოდე კაცუნაო“. ილია ჭავჭავაძემ ხელი სტაცა ორატორს, მოაბრუნა თავისკენ და ჰკითხა:

„ვინ არიან ეგ კაცუნები?“.

მუხრანსკი შეშინდა და მიუგო, რომ შეცდა და „ორიოდე კაცუნას“ მაგივრად უნდა ეთქვა „რამდენიმე კაცი“.

რეიგანის გაფრთხილება

წინასაარჩევნო კამპანიის დროს შეერთებულ შტატებში მდიდრული სადილები ეწყობოდა. ერთ-ერთი ასეთი სადილის დროს, რომელიც თითოეულ დამსწრეზე ასი დოლარით იანგარიშებოდა, რონალდ რეიგანმა შეხვედრის მონაწილეები დაამშვიდა:

– მეგობრებო, მე ვიცი, რა დაგიჯდათ თითოეულ თქვენგანს ეს შეხვედრა. მხოლოდ ერთი გარემოებით შემიძლია დაგამშვიდოთ: თუ ამ არჩევნებში რესპუბლიკელები (ე. ი. რეიგანი – დ. შ.) არ გაიმარჯვებენ, მაშინ ჩვეულებრივ სადილებშიც ამდენივე თანხის გადახდა მოგიწევთ.

სტალინი და რეჟისორები

ოცდაათიან წლებში სტალინმა მოიწვია ოთხი დიდი კინემატოგრაფისტი და ჰკითხა, რა სჭირდებოდათ ნორმალური მუშაობისათვის. „ითხოვეთ, ნუ მოგერიდებათ, ვეცდები დაგეხმაროთ“.

რომმა დაიჩივლა, რომ მთელი ოჯახი ერთ პატარა ოთახში იყო შეყუჟული, ცოლი ავადმყოფობდა, ბინა სჭირდებოდა.

– კარგი, გექნებათ ბინა, – თქვა სტალინმა.

პუდოვკინმა განუმარტა, რომ მას მხოლოდ ქალაქგარეთ შეეძლო ნორმალური მუშაობა, ამიტომ კარგი იქნებოდა, აგარაკი ჰქონოდა.

– კარგი, გექნებათ აგარაკი, – დაპირდა სტალინი.

პირიევმა თქვა, აგარაკი კი მაქვს, მაგრამ იქამდე ძნელი მისასვლელია, გზაში ძლიერ ვიღლები, რაც მუშაობაში ხელს მიშლის, ამიტომ მანქანა მინდაო.

ალექსანდროვმა კი გაიცინა და დასძინა:

– მე ისეთი თხოვნა მაქვს, ვერც კი გამიბედავს მისი თქმა.

– თქვით, თქვით, ნუ გერიდებათ, – გაამხნევა სტალინმა.

– ამხანაგო სტალინ, თავს ბედნიერად ჩავთვლიდი, მიმეღო თქვენი წიგნი „ლენინიზმის საკითხები“, თქვენივე ავტოგრაფით.

– კეთილი, მიიღებთ წიგნს ავტოგრაფით, – უპასუხა სტალინმა.

ალექსანდროვმა მართლაც მიიღო ავტოგრაფიანი წიგნი, დამატებით – ბინა, აგარაკი და მანქანა.

ანნ-ლუიზ ჟერმენ, ბარონესა დე სტალი

მადამ დე სტალს დიდი რევოლუციისდროინდელ საფრანგეთზე უთქვამს თურმე:

„ვაი იმ ქვეყანას, რომელსაც ყოველდღე გადარჩენა სჭირდება“.

ლოიდ ჯორჯი საქართველოსა და ქართველების შესახებ

ლოიდ ჯორჯს, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრს, საქართველოსა და ქართველების შესახებ ერთ ნათქვამს მიაწერენ:

1919 წელს პარიზის საზავო კონფერენციაზე, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი ერთ-ერთი საზეიმო შეხვედრის დროს ეროვნულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. როცა მათ ჩაცმულობას ყურადღება მიაქცია ერთმა მოხუცებულმა ლორდმა და მათი ვინაობა-სადაურობა იკითხა, ბრიტანეთის პრემიერმა უპასუხა:

– ნუ გიკვირთ ლორდ, ესენი იმ ქვეყნიდან არიან, რომელსაც შეუძლია მთელი ევროპა მოამარაგოს მინისტრებით.

კალიგულა

გაიუს კალიგულას, რომის მრისხანე იმპერატორს, სისხლისმოყვარეობასთან ერთად ახასიათებდა თურმე ბოროტი ცინიზმი, არანაკლებ მომაკვდინებელი, ვიდრე ჯალათის იარაღი. საქვეყნოდაა ცნობილი მისი საყვარელი სენტენცია: „ჯობს ვეზიზღებოდე, ოღონდ ეშინოდეთ“.

იმპერატორი სერიოზულად წუხდა, რომ მისი მმართველობის პერიოდში არცერთ საერთო-სახალხო მასშტაბის უბედურება არ მომხდარა. მაშ, რაღას უნდა უკვდავეყო მისი სახელი? ოქტავიანე ავგუსტუსის დროს რომაული ლეგიონები სასტიკად განადგურდა; ტიბერიუსის დროს ფილენაში ჩამოინგრა უზარმაზარი ამფითეატრი და უამრავი ხალხი შეიწირა; კალიგულას იმპერატორობა კი დავიწყებას უნდა მისცემოდა – მშვიდობიანობისა და საერთო კეთილდღეობის წყალობით.

ამიტომაც ნატრობდა ხოლმე, როგორც ამბობენ, კალიგულა, ნეტავი რომის ხალხს მხოლოდ ერთი კისერი ჰქონოდაო.

რუსი მინისტრის აღშფოთება

მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ლიდერების პლენუმი, ერთაშორისი ურთიერთობების შესახებ. საქართველოს პარტიულმა ლიდერმა გივი გუმბარიძემ მოითხოვა, წვევამდელებს სამშობლოში მოეხადათ სამხედრო სავალდებულო სამსახური და აღდგენილიყო „ეროვნული დივიზიები“. საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრმა დ. იაზოვმა აშკარა გაღიზიანება ვერ დამალა და რეპლიკით გამოეპასუხა გუმბარიძეს:

„ე. ი. თქვენი აზრით, ყველა აულს საკუთარი არმია უნდა ჰყავდეს?“.

კარდინალი და კომბოსტო

კარდინალი რიშელიე ერთი სრულიად უცნობი მღვდლის ქადაგებას ესწრებოდა. იგი გააოცა და ცოტა გააღიზიანა კიდეც მღვდლის სიმშვიდემ. მას სულაც არ აღელვებდა, რომ ქადაგებას ესწრებოდა თვით ყოვლისშემძლე კარდინალი. ქადაგების შემდეგ რიშელიე გამოელაპარაკა კიდეც მღვდელს და სხვათაშორის ჰკითხა, საიდან ჰქონდა ასეთი სიმშვიდე და გამბედაობა ამ ახალგაზრდა კაცს. უკანასკნელმა უპასუხა:

– მე დიდი ხნის განმავლობაში ვემზადებოდი ამ ქადაგებისათვის. ბევრჯერ ვიმეორებდი ხოლმე ჩემს ბაღში, რომელშიც უამრავი კომბოსტოს თავი ხარობს და მათ შორის ერთი წითელიცაა.

ვის ატყუებდა ერთი დიდი ქართველი?

დიმიტრი ყიფიანი დიდ მამულიშვილობასთან ერთად კარგად თამაშობდა რუსული მონარქიის ერთგული მსახურის როლს. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობას იგი რუსი იმპერატორების გულმოწყალებად აცხადებდა, ხოლო 1801 წლის აქტით ქართველობის უკმაყოფილებას მეორეხარისხოვანი რუსი ჩინოვნიკების მიერ ჩადენილ შეცდომათა ნაყოფად მიიჩნევდა.

რატომ იყვნენ ქართველები აღშფოთებულები? იმიტომ, რომ „დიდსულოვანი“ იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტი ქართულად არ იყო თარგმნილი და როდესაც ის სიონის საკათედრო ტაძარში იქნა წაკითხული, საზოგადოებისათვის გაუგებარი დარჩა იმპერატორის „კეთილი განზრახვები“.

ხოლო ქართველების აღშფოთება კი, დიმიტრი ყიფიანის მტკიცებით, გამოიწვია თურმე იმ ეპიზოდმა, „როდესაც რუსულად ხმა-მაღლა აკიდებით იმპერატორის ხარისხოვნების ჩამოთვლა ერთ წუთს შეჩერდა სიტყვებზე: „და სხვა და სხვა და სხვაო (и прочая и прочая и прочая), ატყდა ტაძარში აღშფოთებისა და უკმაყოფილების ისეთი გრგვინვა, რომ არაფერს არ შეედრებოდა.

არავის არ მოსვლოდა ფიქრად, რომ არსად, და მეტადრე, ღვთის ტაძარში, არ შეიძლებოდა ქართველების წინ ისეთი სიტყვების წარმოთქმა, რომელიც მათთვის უდიდეს ცინიზმს გამოხატავდა“ – დაასკვნის დიმიტრი ყიფიანი.

ალექსანდრე და ანაქსიმენე

სპარსეთის იმპერიას რომ იპყრობდა, ალექსანდრე მაკედონელი გზად ერთ ბერძნულ ქალაქს – ლამპსაკს მიადგა, რომელსაც სპარსული ორიენტაცია ეკავა. მცხოვრებლებს შეეშინდათ, მაკედონელები ქალაქს დაანგრევენო და ალექსანდრეს მისი მამის – ფილიპეს ძველი მეგობარი, ფილოსოფოსი ანაქსიმენე მიუგზავნეს თხოვნით, შეეწყალებინა ქალაქი და დაენდო.

როცა ანაქსიმენე ქალაქის დელეგაციით მეფეს მიუახლოვდა, ალექსანდრე მიხვდა, რის სათხოვნელად მიდიოდა მასთან ფილოსოფოსი და მიაძახა: „ვფიცავ ღმერთებს, არ შევასრულებ თქვენს თხოვნას“. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ფიცის შემდგომ ალექსანდრე აღარ შეასრულებდა ანაქსიმენეს თხოვნას, რაც იმას ნიშნავდა, რომ მაკედონელები ქალაქს კარგ დღეს არ დააყრიდნენ.

მაშინ ბერძენი ფილოსოფოსი არ დაიბნა.

– მეფევ! – მიმართა ანაქსიმენემ ალექსანდრეს, – გთხოვ, დაანგრიო ქალაქი!

ფიცის თანახმად, ალექსანდრემ, რაღა თქმა უნდა, არ შეასრულა ანაქსიმენეს „თხოვნა“ და ქალაქი ლამპსაკი გადარჩა.

ლუი მეცხრე და ვარსკვლავთმრიცხველი

ერთი ქალის შესახებ, რომელიც საფრანგეთის მეფე ლუი მეცხრეს ძალიან უყვარდა, ვარსკვლავთმრიცხველმა იწინასწარმეტყველა, რომ ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვლებაო. ეს ქალი მართლაც გარდაიცვალა.

მეფემ ვარსკვლავთმრიცხველი იხმო და მოსამსახურეები წინასწარ გააფრთხილა, როცა განიშნებთ, ხელი სტაცეთ და მოაკვდინეთო. ვარსკვლავთმრიცხველი სასახლეში გამოცხადდა. ლუიმ ჰკითხა:

– სხვისი ბედ-იღბლის ცოდნას რომ ქადულობ, შენ შესახებ რაღას იტყვი, როდის გიწერია სიკვდილი?

– მე, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენზე მხოლოდ სამი დღით ადრე დავლევ სულს.

ამბობენ, რომ ამის შემდეგ მეფე განსაკუთრებულად ზრუნავდა ვარსკვლავთმრიცხველზე და ყოველ გაჭირვებაში ეხმარებოდა.

სარფიანი შეთავაზება

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების საწინააღმდეგო აქცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოშიც მიმდინარეობდა. მასში ელიტარული ინტელიგენციისა და სტუდენტობის ნაწილი მონაწილეობდა. აქციის სადავეების ხელში ჩაგდებას შეეცადა „დამოუკიდებლობის პარტიის“ ლიდერი ირაკლი წერეთელი, მაგრამ მას წინ აღუდგნენ. ამის შემდეგ წერეთელმა სცადა, საკუთარი პარტიის ძალებით აქცია თვით უნივერსიტეტის შენობაში გაემართა, მაგრამ ამჯერად მის განზრახვას უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი ბ-ნი ოთარ ჯაფარიძე შეეწინააღმდეგა. როგორც ეპიზოდის თვითმხილველები გადმოგვცემენ, სწორედ ამ დროს მიმართა რექტორს ირაკლი წერეთელმა ცნობილი სიტყვებით:

„ფეხებზე მკიდია თქვენი უნივერსიტეტი! თქვენ თუ თანამდებობის დაკარგვის გეშინიათ, წამოდით ჩემთან და ორჯერ მეტ ხელფასს მოგცემთ“.

ოტონის იმპერატორობის მოტივაცია

როდესაც იმპერატორმა გალბამ ყველასათვის მოულოდნელად თავის მემკვიდრედ ოტონი კი არა, პიზონი დანიშნა, პირველმა გადაწყვიტა, შეთქმულებისათვის მიემართა. სვეტონიუსი წერს: შეურაცხყოფის გარდა ოტონს ამ ნაბიჯისკენ უბიძგა აუარებელმა ვალებმა, რომელშიც იგი იყო ჩაფლული, ამბობდა კიდეც ხმამაღლა:

„თუ მე იმპერატორი არ გავხდები, განა სულერთი არ არის,

ბრძოლაში მტრის ხელით მოვკვდები თუ მევალე-კრედიტორების მიერ ფორუმზე?“.

გაგარინი და ინდოელი ქალები

იური გაგარინს ინდოეთში აღფრთოვანებულ შეხვედრებს უწყობდნენ. გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე მას უამრავ კითხვას შორის, ერთი ასეთი კითხვაც დაუსვეს:

– გვითხარით, როგორ მოგეწონათ ინდოელი ქალები?

გაგარინმა მის გვერდით მჯდარ თარჯიმანს მსუბუქად შეახო ხელი და ჟურნალისტს უპასუხა:

– იცით, მე არა ვარ ჩვეული სიყვარულის ახსნას თარჯიმნის დახმარებით.

ნაპოლეონი და მისი მომავალი მარშალი ოჟერო

როდესაც 27 წლის გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტი ავსტრიის წინააღმდეგ მოქმედი არმიის მთავარსარდლად დაინიშნა, ბევრი ოფიცერი ხალისით როდი ემორჩილებოდა ახალგაზრდა მხედართმთავარს. განსაკუთრებით ძველი თაობის გენერლები თაკილობდნენ „ახალბედა და ტანითაც მომცრო ბონაპარტის“ უფროსობას. ამგვართა რიცხვს მიეკუთვნებოდა დივიზიის მეთაური, გენერალი პიერ ფრანსუა შარლ ოჟერო. იგი პირველივე დღეებში მწვავედ ნაეკამათა მასზე ასაკით ბევრად უმცროს ბონაპარტს. ოჟერო ამ დროს 40 წლისა იყო და აღნაგობითაც ბევრად მაღალი, ზემოდან დაჰყურებდა ჯარისკაცთა მიერ „პატარა კაპრალად“ ზეწოდებულ ახალ მხედართმთავარს.

– გენერალო, – შეუტია მაშინ ბონაპარტმა, – თქვენ ერთი თავით მაღალი ხართ ჩემზე, მაგრამ, თუ უკმეხად მელაპარაკეთ, მე დაუყოვნებლივ მოვსპობ ამ განსხვავებას.

როგორც ჩანს, ოჟერო შემდგომ აღარ ეკამათებოდა თავის მხედართმთავარს და იმპერატორს. ალბათ ესეც დაეხმარა, რომ იგი მარშალი გახდა, თუმცა მას არც მხედრული სიმამაცე

აკლდა. იტალიური კამპანიის დროს თავი არაერთხელ გამოიჩინა. სტენდალი წერს მასზე: პიერ ოჟერო კასტილიონესთან ბრძოლაში დიდ სარდლად მოგვევლინა, რაც მას ამის შემდეგ აღარასოდეს დამართნიაო.

არავითარი განსხვავება

როდესაც საფრანგეთში ჩასულ ბრაზილიის პროფკავშირების ლიდერ ლუის იგნასიო და სილვას ჰკითხეს, რა განსხვავებაა ჯიმი კარტერსა და რონალდ რეიგანს შორისო, მან უპასუხა:

– არავითარი. ერთი კოკა-კოლაა, მეორე კი – პეპსი-კოლა.

ორენოვნების მარადიული პრობლემა

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომმა ქართველ პატრიოტებს რუსეთისაგან განთავისუფლების დამატებითი იმედი გაუჩინა. გიორგი წერეთელი სამხრეთ საქართველოში გაემგზავრა სამხედრო კორესპონდენტის სტატუსით, მაგრამ, როგორც ჩანს, მარტო ამ საქმით არ იყო დაკავებული.

გიორგი ლასხიშვილი იგონებს, რომ, აკაკი წერეთლის გადმოცემით, „გიორგი წერეთელი სამხედრო კორესპონდენტად იყო ფრონტზე, ქობულეთში მოქმედ არმიასთან. დიდი იმედებით იყო აღფრთოვანებული, ომში ინგლისი ჩაერევაო, გვარწმუნებდა ყველას, გამოგზავნის ძლიერ ფლოტს შავ ზღვაზე და საქართველოს გაანთავისუფლებსო. ისე იყო ამაში დარწმუნებული გიორგი, რომ უშიშრად რაღაც მოლაპარაკებასაც აწარმოებდა ქობულეთის წარჩინებულ მაჰმადიან ქართველებთან. თან ჩვენ ინტელიგენციას და საზოგადოებასაც ელაპარაკებოდა ამაზე – მართავდა კრებებს თბილისსა და ქუთაისში.

ერთ ამისთანა კრებაზე ქუთაისში ამტკიცებდა – მალე ინგლისელები შემოვლენ ჩვენს ქვეყანაშიო. კრებაზე, სხვათა შორის, გურიაში ცნობილი მემამულე სიო ბერიძეც იყო, გაიგონა

თუ არა ინგლისელების საქართველოში მოსვლის ამბავი, სიო ბერიძემ სიტყვა გააწყვეტინა გიორგის და უთხრა:

– „თუ ღმერთი გწამს, გიორგი, თავი დაგვანებე, ძლივსძლივობით ორი ღერი რუსული ვისწავლე, ახლა ინგლისურს რა მასწავლის... არ გვინდა ბატონო, არაო...“

გუბერნატორის გაბრაზებული ცოლი

ამბობენ, რომ პრეზიდენტ რეიგანის მეუღლე ნენსი სერიოზულ გავლენას ახდენდა თავის ქმარზეც და ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებზეც. რეიგანის გუბერნატორობის დროს, კალიფორნიის შტატში, იგი გაბრაზებული იყო ვინმე პირსზე და თურმე დამუქრებია:

– თუ პირსი კალიფორნიაში ჩამოვა, ძალიან მინდა ვურჩიო მას, რომ ტროტუარზე არ გადააფურთხოს!

ცოლეგის შიში

რუსეთის მონარქისტული იმპერიის უკანასკნელი დღეებია. 1917 წლის 2 მარტს ნიკოლოზ მეორე გადადგა. პეტერბურგში, თავად პავლე პუტიატინის ბინაში შეიკრიბა რუსეთის ძველი და ახალი პოლიტიკური ელიტის რამდენიმე წარმომადგენელი. აქ არიან ნიკოლოზ მეორის ძმა, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, თავადი ლვოვი, მილიონერი როძიანკო, კადეტი მილიუკოვი, ნეკრასოვი, კერენსკი, ნაბოკოვი, შინგარიოვი, გუჩკოვი, შულგინი...

აზრი ორადაა გაყოფილი: გუჩკოვი, მილიუკოვი და სხვები მოითხოვენ, რომ მიხეილ ალექსანდრეს ძემ უარი არ თქვას იმპერატორობაზე. შემდეგ იგი თავის უფლებამოსილებას გადასცემს დამფუძნებელ კრებას და ასე მოხდება ახალი რევოლუციური ხელისუფლების ლეგიტიმაცია. რუსეთი სისხლისღვრას გადაურჩება. კერენსკი და მისი მომხრეები წინააღმდეგნი არიან. მიხეილ ალექსანდროვიჩი ითხოვს დროს მოსაფიქრე-

ბლად და მეზობელი ოთახისკენ მიემართება, მაგრამ მის წინ სწრაფად აღიმართება ალექსანდრე კერენსკი:

– თქვენო უმაღლესობავ, დამპირდით, რომ რჩევას არ ჰკითხავთ თქვენს მეუღლეს.

კერენსკის შეეშინდა, რომ დიდი მთავრის მეუღლე, პატივმოყვარე გრაფინია ბრასოვსკაია, რომელსაც უსაზღვრო გავლენა ჰქონდა თავის ქმარზე, აიძულებდა მიხეილს, უარი არ ეთქვა იმპერატორობაზე, მაგრამ დიდმა მთავარმა დააწყნარა კერენსკი:

– დამშვიდდით ალექსანდრ ფიოდოროვიჩ, ჩემი მეუღლე აქ არ არის. ის გატჩინოში დარჩა.

ხუთი წუთის შემდეგ დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდროვიჩი სალონში დაბრუნდა და ძალიან მშვიდი ხმით განაცხადა:

– მე გადავწყიტე გადადგომა.

იმპერატორის უკმაყოფილება

იმპერატორ ვესპასიანეს ერთი ახალგაზრდა გამოეცხადა და დიდი მადლობა მოახსენა მაღალ თანამდებობაზე დანიშვნისათვის. ახლადგამომცხვარი დიდმოხელე კეთილსურნელოვან არომატს აფრქვევდა.

– უმჯობესი იქნებოდა, რომ ნივრის სუნად ყარდე, – მიახალა მას ვესპასიანემ და მაღალ თანამდებობაზე ამ ახალგაზრდის დანიშვნის ბრძანება სასწრაფოდ გააუქმებინა.

სპარტელი დედა

ჟან-ჟაკ რუსოს მოჰყავს ერთი ეპიზოდი სპარტელთა ცხოვრებიდან: „სპარტელ ქალს ხუთი ვაჟიშვილი ჰყავდა ლაშქრად წასული და ბრძოლის ამბავს ელოდა. მოდის ჰილოტი (მონა) და ბრძოლის შესახებ დედის შეკითხვაზე პასუხობს:

– თქვენი ხუთივე შვილი მოკლეს.

– ულირსო მონავ, განა ამის შესახებ გკითხე?

– ჩვენ გავიმარჯვეთ.

დედა მირბის ტაძარში და მადლობას სწირავს ღმერთს გამარჯვებისათვის.

ჰანიბალის დასკვნა

„რომმა კი არა, კართაგენის სენატმა დაამარცხა ჰანიბალი“ – ამბობენ, რომ ეს იყო სახელგანთქმული კართაგენელი მხედართმთავრის, ჰანიბალის უკანასკნელი სიტყვები.

პირველი მხედრიონელის აღშფოთება

საქართველოს უზენაესი საბჭოდან დელეგაცია გამოყვეს, „მხედრიონელთა“ ლიდერთან – ჯაბა იოსელიანთან მოსალაპარაკებლად. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ცდილობდა ოპოზიციური აქციის მონაწილეთა შემორიგებას.

პარლამენტარები ჯაბას მხედრიონელთა მიერ მიტაცებულ ჭადრაკის სასახლეში ეწვივნენ. იოსელიანმა სტუმრები ცივად მიიღო და მამა არჩილსაც შეუღრინა:

– რას მიედ-მოედები, რა აბელი, რის კაენი?

ნიკოლოზ პირველის გულმოწყალება

რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი ამგვარად აწერდა სასიკვდილო ბრძანებებს ხელს:

„იმსახურებს სიკვდილით დასჯას, მაგრამ, მადლობა ღმერთს, სიკვდილით დასჯა ჩვენში არ არის. გაატარეთ თორმეტჯერ 1000 კაცის რიგში“ – ე. ი. ორ რიგად დაწყობილ ათას ჯარისკაცს დასჯილისთვის 12-12-ჯერ უნდა დაეკრა შპიცრუტენი (სპეციალური წკეპლა).

კა-გე-ბე-ს კომპეტენცია

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებელთაგანის, ვახტანგ ძაბირაძის მიერ მიცემული ინტერვიუდან „ივერია-ექსპრესისათვის“:

„როდესაც დავიწყეთ პოლიტიკური მოღვაწეობა 1978 წელს, ჩვენ ვიცოდით, რა გველოდა. პირველ სხდომებს სულ 6-7 კაცი ესწრებოდა, მათ შორის მე და დათო ბერძენიშვილიც. ერთ-ერთ სხდომაზე იმდენად ცოტანი შევიკრიბეთ, რომ ჩემი გულისტკივილი გამოვთქვი ამის გამო. მაშინ დათოს ძმამ, ლევან ბერძენიშვილმა თქვა:

ჩვენ რამე გავაკეთოთ და შეკრებით ყველას შეგვკრებენ“.

რუსი დეპუტატის მისამართი

როცა რუსეთის იმპერიის პირველი სახელმწიფო სათათბირო გარეკეს და მის დეპუტატებს დევნა დაუწყეს, ერთ-ერთი დეპუტატი ალადინი ლონდონიდან ფინეთში მიემგზავრებოდა, რათა შემდეგ რუსეთში დაბრუნებულიყო. მატარებელში იგი შეხვდა გაზეთ „ფრანკფურტერ ცაიტუნგის“ კორესპონდენტს, რომელსაც გამოთხოვებისას თავისი ბინის მისამართი დაუტოვა და იქვე წააწერა:

„ვიქნები ამ მისამართზე ან პეტრე-პავლეს ციხეში“.

თეორია და პრაქტიკა

აკადემიკოსმა ა. ა. ბოგომოლეცმა წამოაყენა სიცოცხლის ხანგრძლივობის თეორია და სტალინის ხელშეწყობით დააარსა ექსპერიმენტული ბიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტი. მაგრამ იგი, სამწუხაროდ, ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა – 1946 წელს, 65 წლის ასაკში.

როცა სტალინმა აკადემიკოსის გარდაცვალების ამბავი გაიგო, თქვა:

– ყველანი მოგვატყუა.

რუსული „ნიუსი“

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის დროს რუსული გაზეთები გამუდმებით იუწყებოდნენ თავიანთი არმიის ძლევამოსილი გამარჯვებების შესახებ. ერთი პარიზელი კორესპონდენტი ამგვარი ტრაბახა ახალი ამბების შემდეგ ვარიანტს სთავაზობდა მკითხველებს:

„გაიმართა დიდი ბრძოლა. თურქებმა დაკარგეს 10 000 ჯარისკაცი, ჩვენთან კი ერთი პატარა კაზაკი დაიბადა“.

სვიმონ დიდი და კოლბეურელი დედაკაცი

სვიმონ ქართლის მეფეს იმერეთის შემოერთება ეწადა. შეკრიბა ლაშქარი და დაიძრა ლიხისაკენ. კოლბეურის მთა რომ გადაიარეს, ერთი სოფლელი დედაკაცი მიეახლა მეფეს და შეეხვეწა:

– ერთი შვილი მყავს, მეფევ-ბატონო, წაიყვანე და იმსახურე.

იუკადრისა ქართლის მეფემ ქალის თხოვნა, ლაშქარი მრავლად ჰყავდა. აკი მოგვითხრობს მემატიანე: „იარვიდა მეფე სვიმონ... დიდებითა დიდითა და ძალითა მრავლითა“. ამიტომაც მიუბრუნდა ქალს და ეუბნება:

– დედაკაცო, მე კაცითა მთვრალი ვარ, კაცი არა მეჭირება.

გადაიარეს თუ არა ლიხის მთა ქართლელებმა, ზედიზედ აიღეს იმერეთის ციხეები: კუარისა, სკანდისა, კაცხისა, შევიდნენ ქუთაისში. იმერეთის მეფე როსტომი ოდიშს გაიქცა და დახმარება მანუჩარ დადიანს სთხოვა. სამეგრელოს მთავარმა შემოუთვალა ქართლის მეფეს: „შეირიგე როსტომ და მეც შენად ყმად ვიქმნები, ამას იმერეთიც დაანებე და დაგვიმონე, და დაგრჩება ქვეყანა“.

განრისხდა მაშინ ქართლის გვირგვინოსანი და ტახტმპყრობელი, შეუთვალა: „მოვალ და დამხუდი“.

მაგრამ ამჯერად ზურგი აქცია ფორტუნამ ქართლის მეფეს. ოფშკვითთან დაბანაკებულ მის ლაშქარს მოულოდნელად დაესხნენ თავს იმერელ-მეგრელნი და მძიმედ დაამარცხეს ოსმალთა და ყიზილბაშთა მმუსვრელი სვიმონ დიდი.

ისე დამარცხდა მეფე, რომ „წამოვიდა მარტო, ერთი კაცი აღარ ახლდა“. მოდის ჯავრისაგან გულგასენილი, ლაშქარშემოფანტული გვირგვინოსანი, მიადგა ისევ იმ სოფელს კოლბეურის მთის ძირას. მოხდა ისე, რომ ის დედაკაცი მინდვრად მუშაობდა, თოხნიდა. დაინახა თუ არა მარტოდმყოფი მეფე, მიხვდა, დამარცხებულაო ომში, კვლავ მიეახლა და ჰკადრა:

— მეფეო, ვეჭვობ, მაშინ რომ კაცითა მთვრალი იყავ, გამოგნელებია.

ლუი XI-ის სტრატეგია

საფრანგეთის მეფე ლუი XI ინტრიგების, ჯაშუშობისა თუ მოსყიდვის დიდოსტატი იყო და სიცრუესაც ხშირად მიმართავდა მოწინააღმდეგეების დასასუსტებლად.

„ნუ დაიჯერებ იმას, რასაც სხვები გეუბნებიან. დაიჯერე ის, რასაც თვითონ ნახავ. თუ ისინი გატყუებენ, კეთილი — თქვენ უფრო მეტი ტყუილი უთხარით“, ასე არიგებდა მეფე თავის ელჩებს. როცა მას მრჩევლები საყვედურობდნენ, მტრების მოსასყიდად ძალზე დიდ ფულს ხარჯავო, ლუი XI პასუხობდა:

„ინგლისთან ომი საფრანგეთს უფრო მეტი დაუჯდება“.

კარტერის აღიარება

აშშ-ის ექსპრეზიდენტი თავის მემუარებში წერს:

„მე შევხვდი მათ, რომლებიც ან უკვე იყვნენ ამერიკის პრეზიდენტები, ან ცდილობდნენ გამხდარიყვნენ — რიჩარდ ნიქსონი, აგნიუ, მაკგოვერნი, უოლესი, რეიგანი, როკფელერი, მასკი და პრეზიდენტების მიმართ მოწინების გრძნობა გამიქრა“.

სტალინი თეატრში

სტალინი მოსკოვის აკადემიურ თეატრში სპექტაკლს ესწრებოდა. დამთავრდა მეორე მოქმედება. სტანისლავსკი და თეატ-

რის სხვა ხელმძღვანელები კრთომით შეჰყურებდნენ, ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. დუმდა სტალინიც.

– ამხანაგო სტალინ, როგორ მოგეწონათ ჩვენი სპექტაკლი?

– მოსაწყენია.

ყველა შეშფოთდა. ამით კმაყოფილმა სტალინმა კი დაამატა.

– შესვენებებზე.

პუშკინის მოგონება იმპერატორებზე

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი თავდაპირველად მამის მკვლელების გარემოცვაში მეფობდა. უვაროვი ერთ-ერთი იმ შეთქმულთაგანი იყო, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 1801 წლის 11 მარტს, ალექსანდრე პირველის მამის, იმპერატორ პავლე პირველის მკვლელობაში.

როცა უვაროვი გარდაიცვალა, მის დაკრძალვაზე ალექსანდრე პირველიც იყო. ალექსანდრე პუშკინი ერთგან იგონებს: „დაკრძალვის დროს გრაფმა არაკჩეევმა ვიღაცას ხმამაღლა გადასძახა:

„ერთი მეფე აქედან აცილებს. ნეტავი იქ მეორე როგორღა დახვდება?“.

ფოკიონი და დემადე

არჩევნების დროს ათენელებმა ძველი სტრატეგოსის, ფოკიონის მაგიერ დემადე აირჩიეს სტრატეგად. გამარჯვებით გაამაყებული დემადე ფოკიონს მიუახლოვდა და ეუბნება:

– შენი ჭუჭყიანი მოსასხამი მათხოვე, სტრატეგოსობის დროს რომ გემოსა.

– შენ ამ მოსასხამის გარეშეც გეყოფა საკუთარი ჭუჭყი, – მიუგო ფოკიონმა.

რუსეთუმეების აზრით...

არჩილ ჯორჯაძე ქართველ კოსმოპოლიტ და რუსეთუმე სოციალ-დემოკრატებს აკრიტიკებდა, რომელთა მსგავსნი დღესაც ბლომად არიან ჩვენში და ამიტომ კრიტიკოსის ქვემორე აზრი თანამედროვე აქტუალობას ინარჩუნებს.

სოციალ-დემოკრატების აზრითო, წერს ჯორჯაძე, საქართველო „ზულუ-ბუშმენთა ქვეყანას მიაგავს, სადაც ხალხი მოუხარშავ ხორცსა ჭამს და ტანზე საცმელს არ იკარებს. ამ ბედკრულ ველურებს მეთვრამეტე საუკუნეში დიდი ბედნიერება ეწვიათ, მოვიდა დიდებული, განვითარებული, კულტურით ძლიერი რუსეთი, მფარველობა გაუწია ველურებს, ჭამა-სმა ასწავლა, ტანისამოსსაც მიაჩვია, ფრაკ-სერთუკებში გამოაწყო ბუშმენები; პირში სიგარა მისცა, თვალს ბინოკლი გაუკეთა, ხუჭუჭიან თმებზედაც მაღალი ცილინდრი ჩამოაცო, და დადის დღეს ამ ტანისამოსში გამოწყობილი ზულუ-ქართველი ქუთაისის ბულვარზე და ტფილისის პროსპექტზე და სტკბება ბედნიერებით, სტკბება გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფილ მაძღარ სიცოცხლით!"

თუ?

როდესაც არმან ჟან დიუ პლეს დე რიშელიეს გარდაცვალების ამბავი გაიგო, თურმე რომის პაპ ურბან მერვეს უთქვამს:

„თუ ღმერთი არსებობს... კარდინალ რიშელიეს ბევრ რამეზე მოუხდება მის წინაშე პასუხის გაცემა, მაგრამ, თუ იგი არ არსებობს... მაშინ მან სასურველი ცხოვრება განვლო".

ციცერონის ვარჯიში

ერთხელ ციცერონმა სენატის ტრიბუნიდან დიდი ხოტბა შეასხა რომაელ სარდალს და მაგნატს, მარკუს კრასუსს. მაგრამ სულ რამდენიმე დღის შემდეგ იგივე კრასუსი ციცერონმა საშინლად გამოლანძღა. მაშინ კრასუსმა ჰკითხა:

– განა შენ არ იყავი, ცოტა ხნის წინ რომ მაქებდი?

– დიახ, მე გახლდით, – უპასუხა ციცერონმა, – მჭევრმეტყველებაში გავივარჯიშე. მინდოდა ჩემი სიტყვის ძალა ჩირის ფასად ღირებულ საგანზე ლაპარაკში გამომეცადა.

წინაპრების პატივისცემა

როდესაც რონალდ რეიგანი ამერიკის პრეზიდენტი გახდა და თეთრ სახლში შევიდა თავის ოჯახთან ერთად, ისინი შეუდგნენ საცხოვრებელ და სამუშაო ოთახებში ავეჯის გადაადგილებას, დიზაინის შეცვლას და თავის გემოზე მოწყობას. პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტში რეიგანმა ჩამოაღებინა ადრინდელი პრეზიდენტების, თომას ჯეფერსონისა და ჰარი ტრუმენის პორტრეტები, რომლებიც წინა პრეზიდენტის, ჯიმი კარტერის რჩეულები იყვნენ. მათ მაგიერ რეიგანმა ჩამოაკიდებინა დუაიტ ეიზენჰაუერისა და კალვინ კულიჯის პორტრეტები.

რეიგანის სიმპათია კულიჯმა თურმე იმით დაიმსახურა, რომ მას ამერიკის ვალები შეუმცირებია, ხოლო ეიზენჰაუერმა იმის გამო, რომ, თურმე, ახალგაზრდობის დროს, რონიმ მას გოლფში თამაშის დროს 10 დოლარი მოუგო.

წინასწარმეტყველება

როდესაც ნაპოლეონი კუნძულ ელბაზე გადაასახლეს, თურმე მისი ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ჟოზეფ ფუშე ამბობდა:

„ნაპოლეონი კუნძულ ელბაზე – იტალიისთვის, საფრანგეთისთვის და მთელი ევროპისთვის იგივე იქნება, რაც ვეზუვი პომპეის გვერდით“.

ციცერონის მტრის ნამცხვარი

ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ბრალად ედებოდა შხამგარეული ნამცხვრით საკუთარი მამის მოწამვლა,

განაცხადა, ციცერონს კარგად გამოვლანძღავო. ეს მუქარა ციცერონის ყურამდეც მივიდა და ამ უკანასკნელს პასუხიც არ დაუყოვნებია:

„უფრო მეტი სიამოვნებით მივიღებ ლანძღვას შენგან, ვიდრე შენს ნამცხვარსო“.

მონარქისტული რუსეთის უკანასკნელი გმირი

1917 წლის 6 აპრილს საფრანგეთის ელჩ მორის პალეოლოგს თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია:

„მაშინ, როდესაც სოციალისტური პროპაგანდის გავლენით, ჯარები ფრონტებზე ყოველდღიურად იშლებიან, ერთი პატარა არმია, რომელიც ქურთისტანის საზღვრებთან იბრძვის, გენერალ ბარათოვის მეთაურობით, მამაცურად აგრძელებს თავის რთულ საქმეს.

მან დაიკავა ქერმანშაჰი, შემდეგ ყიზილრაბა, ახლახან შეაღწია მესოპოტამიაში და ბაღდადის მახლობლად შეუერთდა ინგლისელებს.

მსოფლიო ომის საერთო სურათის ფონზე, ამ ბრწყინვალე ოპერაციას, ცხადია, ეპიზოდური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, შესაძლოა, ეს იყოს უკანასკნელი გმირობა, რომელიც შეეძლებათ ისტორიკოსებს ჩაწერონ რუსეთის სამხედრო მატიანეში“.

მორის პალეოლოგი არაფერს წერს და, სავარაუდოა, არც იცოდა, რომ გენერალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილი-ბარათოვი, წარმოშობით ქართველი სამხედრო მოღვაწე იყო, მაგრამ გარუსებული და რუსეთის მონარქიის ერთგული..

ციცერონი ეთანხმება გელიუსს

იულიუს კეისარმა წინადადება შეიტანა სენატში, რათა ერთერთი პროვინციის მიწები ჯარისკაცებისთვის დაერიგებინათ. სენატორთა უმრავლესობა გულისწყრომით შეხვდა კეისრის ინიციატივას. ლუციუს გელიუსმა, რომელიც მოხუცებულო-

ბისაგან მთლად მიხრწნილი იყო, განაცხადა: სანამ მე ცოცხალი ვარ, ეს არ მოხდებაო.

– მოვიცადოთ, – მიმართა სენატორებს მარკუს ტულიუს ციცერონმა, – გელიუსი ხომ დიდი ხნით არ თხოულობს ვადის გადადებას.

რონის პარადოქსი

რონალდ რეიგანის სრულფასოვანი დებიუტი, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა, 1964 წლის 27 ოქტომბერს შედგა. ამ დღეს იგი გამოვიდა ტელევიზიით, საპრეზიდენტო არჩევნებში ბარი გოლდუოტერის კანდიდატურის მხარდასაჭერად. როგორც მაშინ აღნიშნავდნენ, ამერიკელები მიხვდნენ, რომ „რეიგანი გოლდუოტერის პოზიციას უფრო კარგად გადმოსცემდა, ვიდრე თვით გოლდუოტერი. რაც მთავარია, მართალია, გოლდუოტერი არჩევნებში დამარცხდა, მაგრამ ამერიკელმა კონსერვატორებმა იგრძნეს, რომ მათ იდეოლოგიას გამოუჩნდა ახალი ვარსკვლავი და ლიდერი.

ყველაზე მეტად მაყურებელზე, მსმენელზე და, საერთოდ, ელექტორატზე ზემოქმედებდა რეიგანის გახსნილი, ოპტიმისტური და ერთაზროვანი პოზიცია, რომელსაც ის თავის გამოსვლებში მოკლე გამონათქვამების სახით აფიქსირებდა:

„არ მისცე საშუალება ნაძირალებს, რომ გამოგფიტონ“.

„დაიცავით წესები, ან აქედან მიბრძანდით“.

და, რა თქმა უნდა, კეთილგანწყობილი ღიმილით თანდართული პირდაპირობა, რაც განსაკუთრებით მოქმედებდა. ერთხელ ჟურნალისტმა კითხვა კანონმდებლობის სფეროს შესახებ დაუსვა. რონიმ ჯერ თავის თანაშემწე ექსპერტებს მიმოავლო თვალი, მერე თავი ანება მათ და უპასუხა:

„ისე, რომ ვთქვათ, უარს სულაც არ ვიტყოდი კარნახზე, თუ რომელიმეს შეუძლია გაიხსენოს ჩემი პროგრამა კანონმდებლობის სფეროში“.

სწრაფი დახმარება

კარდინალ მაზარინის მთხოვნელი ეახლა. საქმეებში ჩაფლულმა მაზარინიმ მოუთმენლად ჰკითხა:

– ორი სიტყვით მითხარით, რა გაწუხებთ.

– შიმშილი და სიცივე, – იყო პასუხი.

კარდინალმა მაშინვე უკარნახა მდივანს:

– პური და შეშა.

თემისტოკლეს დაცემა და აღზევება

როდესაც ათენელებმა ერთხელ უკვე ქალაქიდან გაძევებულ და შეურაცხყოფილ თემისტოკლეს კვლავ შესთავაზეს ხელისუფლების სათავეში ჩადგომა, უკანასკნელმა შენიშნა:

„ცუდია, როცა ადამიანები ერთსა და იმავე ჭურჭელს ღვინის სასმელადაც იყენებენ და ღამის ქოთნადაც“.

ილიას წინასწარმეტყველება

1906 წელს პეტერბურგში, მრეწველმა და მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა სადილი გაუმართა რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს ქართველ დეპუტატებს. მოწვეულთა შორის იყვნენ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში არჩეული ილია ჭავჭავაძე და ქართველი სოციალ-დემოკრატები: ნოე ჟორდანია, ივანე გომართელი, ისიდორე რამიშვილი და სხვები. სადილის დამსწრე ჟურნალისტი მალაქია ბოლქვაძე გადმოგვცემს:

„სადილის ბოლოს დავით სარაჯიშვილი შამპანური ღვინით გაგვიმასპინძლდა. ავარდა პრობკა და აივსო ჭიქები შუშხუნა შამპანით. ისიდორე რამიშვილმა არაჩვეულებრივად შეათამაშა სახე, ულვაშებში ჩაიცინა და მოსვა შამპანური ღვინო... დაცალა ჭიქა და სიცილით თქვა:

– ძალიან გემრიელი ყოფილა შამპანური. პირველად ვსვამ. მშვენიერი ღვინოა. ამიტომ ვერ შორდება და იცავს თავის

ცხოვრებას ბიუროკრატია და ბურჟუაზია. რა თქმა უნდა, ასეთი ღვინის დაკარგვა ეძნელებათ.

ისიდორეს გულწრფელმა, ირონიულმა სიტყვებმა საერთო სიამოვნება გამოიწვია. შამპანური კიდევ დალიეს. ილია გამხიარულდა და გულახდილად შენიშნა:

– სოციალ-დემოკრატიას შამპანური დაუტკბილდა“.

ჩერჩილის რჩევა

ერთ-ერთი დეპარტამენტის დირექტორის გარდაცვალების შემდეგ დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ უინსტონ ჩერჩილს ჩინოვნიკმა შეკითხვითა და თხოვნით მიმართა:

– შემიძლია თუ არა, იმედი ვიქონიო, რომ მიცვალებულის ადგილს დავიკავებ?

– საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, – მიუგო ჩერჩილმა, – მაგრამ ამ საკითხზე ჩემთვის კი არა, სასაფლაოს დირექტორისთვის უნდა მიგემართათ.

რუსი გენერლის ბრძანებები

რუსეთის არმიის უმამაცესი გენერალი იაკობ კულნევი, ალანდის კუნძულების დაპყრობის წინ, 1809 წელს, ამგვარი სახით აძლევდა ჯარისკაცებისადმი ბრძანებებს:

„С нами Бог, Я перед вами, князь Багратион за нами“.

ბარბაროსთა ულტიმატუმი

როდესაც ვესტგუთების ბელადმა ალარიხმა რომს ალყა შემოარტყა და მარადიულ ქალაქში არსებული მთელი ოქრო-ვერცხლი და სიმდიდრე მოითხოვა, რომაელთა მიერ წარგზავნილმა პირებმა ჰკითხეს, მცხოვრებლებს რაღას უტოვებო?

– სიცოცხლეს, – უპასუხა ბარბაროსთა ბელადმა.

გარსევან ჩოლოყაშვილის ეშმაკობა

როდესაც 1513 წელს კახეთის მეფე ავგიორგი მიიცვალა, ქართლელებმა დრო იხელთეს და შემოერთების მიზნით კახეთი დაიკავეს. დაპყრობის განმტკიცებისათვის საჭირო იყო ავგიორგის მცირეწლოვანი მემკვიდრის, ლევანის ხელში ჩაგდება, მაგრამ საქმეც ის იყო, რომ კახელმა თავადებმა ლევანი გადამალეს და ხელსაყრელ დროს უცდიდნენ მის გასამეფებლად.

ხმა დადიოდა, რომ ლევანი იმალებოდა კახელი დიდკაცის – გარსევან ჩოლოყაშვილის სახლში, ამიტომ დავით X ქართლის მეფემ თავისი ძმის, ბაგრატ მუხრანბატონის მეთაურობით დელეგაცია წარგზავნა ეჭვმიტანილ თავადთან. თან ლაშქარიც აახლა, თუ მშვიდობიანად არაფერი გამოვიდოდა, საქმე ძალას უნდა გადაეწყვიტა.

გარსევან ჩოლოყაშვილმა სტუმრები დიდი პატივით მიიღო და პურობა გაუმართა. როცა ქართლელები შეზარხოშდნენ, მასპინძელს თავისი ვიზიტის მიზანი მოახსენეს: პატიოსანი კაცი ხარ, ჩვენ ვიცით, რომ ლევან ბატონიშვილი თქვენს სახლში იმალება და დაგვანებეო. მართლაც, ლევან ბატონიშვილი მერიქიფის ტანსაცმელში იყო გადაცმული და თავის სტუმარ-მოსისხლეებს ღვინოს უსხამდა.

მაშინ გარსევან ჩოლოყაშვილმა ალავერდის ხატზე დაიფიცა და სტუმრებს მიმართა:

„რაოდენიცა თქვენ ჩემსა სახლში არ იხილენით და რაც თქვენმა თვალმა არ ნახა, იმის მეტი არა მყვანდეს, არცა დიდი კაციშვილი და არცა ცოტასი“.

ქართლის მეფის წარგზავნილებს ეჭვი არ შეპპარვიათ მასპინძლის პატიოსნებაში. ის დღე ქეიფში გაატარეს და ხელცარიელები დაბრუნდნენ. გადარჩენილი უფლისწული კი, როგორც ცნობილია, კახელებმა მოგვიანებით გაამეფეს და ქვეყანას დიდი წარმატებით განაგებდა 1520-დან 1574 წლამდე.

მაოს სათხოვარი

ეტყობა ჭარბი მოსახლეობის პრობლება თუ დაუსახლებელი საბჭოთა ტერიტორიების მიმზიდველობა ჩინელი კომუნისტების ბელადს, მაო ძედუნსაც აწუხებდა. სტალინთან შეხვედრის დროს მან საბჭოთა ლიდერს სთხოვა, 20 მილიონი ჩინელი დაესახლებინა შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ უარი მიიღო.

მე ჩემი 200 მილიონიც მყოფნისო, ასე გადმოგვცემენ სტალინის პასუხს.

ასტრონომი და ყაენი

ირანელ მეცნიერსა და ენციკლოპედისტს, ნასირ ად დინ ტუსს ობსერვატორიის აშენება ეწადა ქალაქ მარაღაში. იგი თხოვნით წარუდგა მონღოლ ილხანთა სახელმწიფოს დამაარსებელ ჰულაგუ ყაენს, მაგრამ ამ უკანასკნელს თანხა ებევრა, ამ ასტრონომიას რა სარგებელი აქვს ისეთი, რომ ამდენი ფული დავახარჯოო.

ოსმალო ისტორიკოსის, ქათიბ ჩელების ცნობით, ნასირმა ყაენს უთხრა:

— განმარტებისათვის ერთ მაგალითს გაჩვენებთ. უბრძანე, ერთმა კაცმა მთაზე დიდი ტაშტი აიტანოს და იქიდან ქვემოთ დააგოროს, ოღონდ ისე, რომ არავინ იცოდეს.

როგორც ითქვა, ისეც გაკეთდა. ტაშტი რომ დააგორეს, მისმა ხმაურმა დაბანაკებულ ლაშქარში აურზაური გამოიწვია, ნასირი და ჰულაგუ კი, რაკი ხმაურის მიზეზი იცოდნენ, მშვიდად იდგნენ და სეირს უყურებდნენ. მაშინ მეცნიერმა მონღოლთა მბრძანებელს მოახსენა:

— აი, ასეთია ასტრონომიის სარგებელი: უვიცი რომ შიშსა და უსიამოვნებას განიცდის, მოვლენების მცოდნეს ეს არ ემართება და ცოდნის შესაბამისად იქცევა.

ჰულაგუმ ობსერვატორიისათვის დიდი ქონება გასცა. ასე დაარსდა მარაღის ცნობილი ობსერვატორია 1259 წელს.

სადღეგრძელო

ლეონიდ ბრეჟნევის ვიზიტის დროს საქართველოში, 1981 წელს, რესპუბლიკის პარტიულმა მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ საბჭოთა ლიდერის სადღეგრძელო შესვა:

„ვლადიმერ ილიას ძე ლენინს რომ ერთი წუთით მაინც შესძლებოდა, დაენახა ჩვენი ცხოვრება და ჩვენი მუშაობა... ის ნამდვილად იტყოდა: თქვენ ამხანაგებო, სწორი გზით მიდიხართ!.. და ამ ერთადერთ მართალ ლენინურ გზაზე ჩვენ მივყავართ კომუნიზმის მშენებლობის დიდ ორგანიზატორს, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს...“

„მეტისმეტად გადაჭარბებული ხომ არ იყო თქვენი სადღეგრძელო?“ – ჰკითხა ჟურნალისტმა ბესიკ ფიფიამ მრავალი წლის შემდეგ ედუარდ შევარდნაძეს. „თეთრი მელია“ ცოტა ხანს დაფიქრდა და უპასუხა:

„ჰო, ხანდახან მიწევდა ხოლმე იმის თქმა, რისი მოსმენაც სიამოვნებდა ბრეჟნევს“.

ქალბატონის საჩუქრები

მადამ პომპადურს ბევრი მოსამსახურე ჰყავდა სასახლეში, რომლებიც არცთუ იშვიათად იპარავდნენ სხვადასხვა ნივთს. როდესაც ისინი ქალბატონს ახალ წელს ულოცავდნენ ხოლმე საჩუქრის მოლოდინში, მადამ პომპადური პასუხობდა:

– მე გჩუქნით ყველაფერს, რაც გასული წლის განმავლობაში მოიპარეთ ჩემი სასახლიდან.

ღვინო და ორაგული

1511 წელს კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე გიორგიმ საკუთარი მამა მოკლა, თვალები დაუბნელა ძმას, დიმიტრის, და ხელისუფლება მიიტაცა. ამის შემდეგ ეს უზურპატორი დღენიადაგ აოხრებდა ქართლის სამეფოს და მის დაპყრობას ლამობდა. ქართლის მეფე დავით მეათე უძლური აღმოჩნდა

და ავგიორგის (ასე უწოდეს კახელებმა მამისმკვლელ მეფეს) წინააღმდეგ ბრძოლა თავის ძმას, ბაგრატს მიანდო. ქართლელ-კახელთა ბრძოლამ დაძაბული ხასიათი მიიღო.

ერთხელ ავგიორგიმ ბაგრატი ალყაში მოიმწყვდია. გარემოცვა სამ თვეს გრძელდებოდა. ციხესიმაგრეში ჩაკეტილი ბაგრატი და მისი რაზმი სულს ღაფავდნენ. არც მოალყეები ფიქრობდნენ გაცლას. მაშინ ავგიორგიმ ბაგრატს დაცინვა დაუწყო, თან ალყაში მოქცეულთა განწყობილება სურდა გაეგო და ციხეში მომწყვდეულ მეფის ძმას „გაუგზავნა ღვინო ერთითა საღვინითა და შეუთვალა, ვითარმედ: ძე ხარ მეფისა, ნუ უკუე უღვინობითა მიგჭირდეს და სვი ესე“.

მეციხოვნეები ხომ შიმშილობდნენ, მაგრამ იმ დღეს შემთხვევით ორაგული მოენადირებინათ. ბაგრატმა არ დააყოვნა, ავგიორგის ხელადა ღვინისათვის მადლობა შეუთვალა, სამაგიერო საჩუქრად კი ახალი თევზი გაუგზავნა და დააბარა:

„ხანია რომე დგახარ პირსა ქსანისასა, და ვერ გიშოვია ორაგული, და ან ესე იკმიე და წარვედ ქვეყანასა შენსა“.

ავგიორგიმ იფიქრა, სამი თევზა ეს ხალხი ალყაში მყავს და აქამდე ცოცხალი ორაგული არ შემოჰკლებიათ, მაგ ციხის აღება როდისღა იქნებაო, მოხსნა ალყა ციხეს და ქართლს გაეცალა.

ტალეირანის შეგონება

სახელმწიფო საბჭოს ერთმა ახალგაზრდა მოხელემ ტალეირანი ინახულა და ესაუბრა თავისი გულწრფელობისა და გულახდილობის შესახებ.

– ჯერ კიდევ ყმაწვილი ხართ, – უთხრა ყველა ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა, – იცოდეთ, მჭევრმეტყველების ნიჭი იმიტომ აქვს ადამიანს მომადლებული, რომ თავისი აზრი დამალოს და ნიღბის აფარებით გამოთქვას, რაც სათქმელი აქვს.

იმპერატორის სიყვარული

ერთი ქალი ირწმუნებოდა, რომ იწვოდა იმპერატორ ვესპასიანეს სიყვარულით და, როგორც იქნა, მიიქცია მისი ყურადღება. იმპერატორმა ერთი ღამე გაატარა ამ ქალთან და თანაც 400 000 სესტერცია აჩუქა. როცა კანცელარიის საქმეთა მმართველმა ჰკითხა იმპერატორს, როგორი ფორმულირებით გაეტარებინა ნაჩუქარი სოლიდური თანხა საკანცელარიო საქმეებში, მან უპასუხა:

„იმპერატორ ვესპასიანეს არაჩვეულებრივი სიყვარულის გამო“.

ტიბერიუსის ტაქტიკა

იმპერატორი ტიბერიუსი თურმე ძალიან იშვიათად ცვლიდა თავის მოხელეებს და ამბობდა:

„როცა ბუზები გაძღებიან, ისე ძლიერ აღარ იკბინებიან, როგორც მშივრები“.

ყველაზე ხანმოკლე პრეზიდენტობა

სანამ რონალდ რეიგანს ამერიკის პრეზიდენტად აირჩევდნენ, ამ პოსტზე მისი მიზანშეუწონლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ასახელებდნენ მის ასაკს – 1981 წლის თებერვალში რეიგანს 70 წელი შეუსრულდა. ცნობილი პუბლიცისტი მ. ჩაილდსი თავის თანამემამულეებს მოაგონებდა, რომ ერთადერთი პრეზიდენტი, რომელიც რეიგანივით ხანდაზმული იყო, ამერიკის მეცხრე პრეზიდენტი უილიამ ჰენრი ჰარისონი გახლდათ და იგი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ 6 კვირაში გარდაიცვალაო.

მაგრამ ჩაილდსი ცდებოდა: პრეზიდენტი ჰარისონი არჩევიდან ზუსტად 30 დღის შემდეგ, 1841 წლის 4 აპრილს გარდაიცვალა გართულებული ფილტვების ანთების გამო. მან 4

მარტს, ქარიან, ცივ ამინდში, წარმოთქვა ამერიკის ისტორიაში ყველაზე ვრცელი, ორსაათიანი საინაუგურაციო სიტყვა და ამ ხნის განმავლობაში იდგა ქუდმოხდილი, პალტოს გარეშე.

ღირსების შელახვა

1864 წელს თბილისის გუბერნიაში თავადაზნაურთა მარშლად წამოყენებული იყო დიმიტრი ყიფიანის კანდიდატურა. მოულოდნელად ამ, ერთი შეხედვით, სრულიად ღირსეულ კანდიდატს, სასტიკი მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ მუხრანსკებისა და ორბელიანების არისტოკრატიული საგვარეულოებიდან. განსაკუთრებით აქტიურობდა პოეტი-გენერალი გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი. იგი ყრილობას აღელვებული მოახსენებდა:

– წინამძღოლად ამორჩევა არა საპატიო თავადის, არამედ უბრალო აზნაურისა, შეურაცხყოფაა მთელი საზოგადოებისათვის; ამორჩევა ყიფიანისა კი უფრო მეტი შეურაცხყოფა იქნება, ვინაიდან ის გამოგდებულია სამსახურიდანო.

პოეტ-გენერალს გვაროვნული ღირსება ისე შეელახა, რომ მან (და უმაღლესი არისტოკრატიის 29 წარმომადგენელმა) კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

საქმე არც ამით დამთავრებულა. როცა დიმიტრი ყიფიანი გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლად აირჩიეს, გრიგოლ ორბელიანი ჯავრისაგან ლოგინად ჩავარდა და თვენახევარი იწვა. მეფისნაცვალი ხშირად ნახულობდა მას და ამშვიდებდა, ყიფიანს მარშლად არ დაამტკიცებენო.

დ. ყიფიანი მარშლად მაინც დაამტკიცეს.

ალექსანდრეს ამბიცია

ალექსანდრე მაკედონელს მეგობრებმა ჰკითხეს, ოლიმპიურ შეჯიბრებებში, სირბილში ხომ არ მიიღებ მონაწილეობასო?

– სიამოვნებით, – უპასუხა ალექსანდრემ, – თუკი ჩემი მონააღმდეგეები მეფეები იქნებიან.

რუზველტის არჩევანი

როდესაც ამერიკელებმა პანამის არხი ჩაიგდეს ხელში, ამის შესახებ შეერთებული შტატების პრეზიდენტს, თეოდორ რუზველტს განუმარტავს:

„მე რომ ტრადიციული მეთოდები გამომეყენებინა, შედეგი იქნებოდა ნახევარი საუკუნე ლაქლაქი და მხოლოდ ამის შემდეგ – პანამის არხი... მე ვარჩიე უპირველეს ყოვლისა მიმეღო პანამის არხი, ხოლო ამის შემდეგ – ნახევარი საუკუნის ლაქლაქი.

იმპერატორის იმედი

ავსტრიის იმპერიაში ფრანც II-ის მმართველობის პერიოდში, როგორც ცნობილია, დიდი გავლენით სარგებლობდა პირველი მინისტრი და შემდგომ სახელმწიფო კანცლერი – კლემენს ვენცელ ლოთარ მეტერნიხი. როცა ერთხელ იმპერატორს მოახსენეს, რომ სახელმწიფო ხაზინა თითქმის დაცარიელებულიაო, ფრანც II-მ მოხელეები დაამშვიდა: არაფერია, მე და მეტერნიხს გვეყოფაო.

სარდალთა კლასიფიკაცია

ეფესოში, სელევკიდების მეფის, ანტიოქე მესამის კარზე, ძველი სამყაროს ერთ-ერთი დიდი მხედართმთავარი, ჰანიბალ ბარკა მის დამამარცხებელ რომაელ სარდალ პუბლიუს კორნელი სციპიონ აფრიკელს შეხვდა. ტიტე ლივიუსის გადმოცემით, მათ შორის შემდეგი დიალოგი გამართულა:

– ვინ მიგაჩნია უპირველეს სარდლად? – ჰკითხა სციპიონმა.

– ალექსანდრე მაკედონელი. იგი მცირე ძალებით ანადგურებდა მრავალრიცხოვან ურდოებს და გაიარა სივრცენი სამყაროს კიდემდე, რაც მანამდე წარმოუდგენელი იყო.

– შემდეგი ვინაა?

– პიროსი, – უპასუხა ჰანიბალმა, – მან პირველმა შემოიღო ბანაკის მოწყობა, არავინ საქმის ისეთი ცოდნით არ ირჩევდა

ადგილს და არ აწყობდა არმიას, არავის შეეძლო ადამიანის განწყობა თავის სასარგებლოდ, ისე როგორც პიროსს

– მესამე?

ჰანიბალი არც დაფიქრებულა, მესამე ადგილზე თავისი თავი დაასახელა.

სციპიონს გაეცინა და ჰკითხა:

– მაშინ რაღას იტყოდი, ჩემთან რომ გაგემარჯვა?

– მაშინ ჩემს თავს დავაყენებდი ალექსანდრეზე, პიროსზე და ყველა დანარჩენ სარდლებზე მაღლა, – უპასუხა ჰანიბალმა.

ეიზენჰაუერის გულახდილობა

პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი ამერიკელთა მარიონეტის, ნიკარაგუის დიქტატორის, ანასტასიო პირველის შესახებ ამბობდა:

„მე მას ძალიან კარგად ვიცნობ. იგი ნამდვილი ძაღლის-შვილია, მაგრამ – ჩვენი ძაღლის შვილი“.

ჩინოვნიკური მორალი

ნიკოლოზ მეორის დროს მექრთამეობა გაფურჩქვნის სტადიაში შევიდა. იმ პერიოდში დამახასიათებელი კლასიკური დიალოგი შემოუნახა შთამომავლობას სამთო დეპარტამენტის დირექტორმა, ვინმე სკალკოვსკიმ.

მოიჯარე მიმართავს დეპარტამენტის დირექტორს:

– თქვენო აღმატებულებავ, მე თქვენ მოგართმევთ სამი ათასს და ამის შესახებ მამაზეციერიც ვერას შეიტყობს.

მისი აღმატებულება პასუხობს:

– მომეცით ხუთი ათასი და ვისაც გენებოთ იმას მოუყევით.

რუსეთის იმპერატორის ლექტორი

პეტერბურგის უნივერსიტეტიდან მღელვარების გამო ბევრი

პროგრესული პროფესორ-მასწავლებელი დაითხოვეს. იმხანად უნივერსიტეტს თვით დათხოვნების მთავარი ინიციატორი, იმპერატორი ნიკოლოზ პირველი ეწვია.

„ვინ წაიყვანს ფილოსოფიის კურსის ლექციებს? – წამოიძახა თურმე იმპერატორმა, – აი, ის!" და თითი პოლიციელისკენ გაიშვირა.

ვესპასიანეს გადასახადები

იმპერატორი ვესპასიანე ყოველ ღონეს ხმარობდა სახელმწიფო ხაზინის შესავსებად, ისე რომ გადასახადი საზოგადოებრივ საპირფარეშოებზეც კი დააწესა. მისმა მემკვიდრემ და მომავალმა იმპერატორმა ტიტუსმა უსაყვედურა მამას, სირცხვილია, ასეთი გზით ნაშოვნი ფული ხელში როგორ უნდა აიღოს კაცმაო.

სწორედ ამ დროს, იმპერატორი საპირფარეშოებზე დაწესებული გადასახადებით შემოტანილ ფულს ითვლიდა. მან მაგიდაზე დახვავებული მონეტები მოხვეტა, ერთი ბღუჯა ცხვირთან მიუტანა თავის ვაჟიშვილს და ჰკითხა:

– აბა ნახე, უდის შარდის სუნი?

– არა, – იყო ტიტუსის პასუხი.

– მაშ, დაიმახსოვრე, რომ ფულს სუნი არა აქვს.

მიტროპოლიტის სანუხარი

რუსეთის მიტროპოლიტი პლატონი ექვსცხენიანი ეტლით ეწვია აკადემიის პრეზიდენტს, ქალბატონ ეკატერინე დაშკოვას. ამ შესანიშნავმა ქალმა მეუფეს შეჰკადრა:

– თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, თქვენ ექვსი ცხენი გიბიათ ეტლში, მაშინ, როცა ქრისტე ფეხით დადიოდა.

– მართალია, – უპასუხა მწყემსმთავარმა, – ქრისტე ფეხით დადიოდა და ცხოვარნი მისნი უკან მისდევდნენ, მე კი ექვსცხენიანი ეტლითაც ვერ დავწევივარ ჩემს სულიერ შვილებს.

მეფეები და პაპები

მეფე ფრანცისკ პირველი რომის პაპ ლეონ X-ს ეწვია და საქრისტიანოს წინამძღვრის მდიდრული ცხოვრებით გაოცებულმა შენიშნა: დაბადებაში წერია, რომ ძველად სასულიერო მწყემსნი ღარიბად და სადად ცხოვრობდნენო.

– მართალია, მიუგო პაპმა, – მაგრამ ეგ მაშინ იყო, როცა მეფეები ცხვარს აძოვებდნენ, – მიუგო ლეონ მეათემ.

კატონის უკმაყოფილება

რომის სენატში ერთი პოლიტიკური მოღვაწე სრულიად უადგილოდ ლაპარაკობდა უბრალო და თავდაჭერილი ცხოვრების შესახებ, მაშინ, როდესაც იგი არც ერთით იყო ცნობილი და არც მეორით. მას სიტყვა შეაწყვეტინა კატონმა და მიაძახა:

– აღარ გაათავებ? შენ მდიდარი ხარ, როგორც კრასუსი, ცხოვრობ, როგორც ლუკულუსი და ლაპარაკობ, როგორც კატონი.

მართლაც, რომში კარგად იყო ცნობილი მარკუს ლიცინიუს კრასუსის იგავმიუწვდომელი სიმდიდრე და ვერცხლიმოყვარეობა; მრავალრიცხოვანი სტუმრიანობითა და უზრუნველი ნადიმებით სახელგანთქმული ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი და მომჭირნე ცხოვრების სტილით გამორჩეული მარკუს პორციუს კატონ უმცროსი.

ისევ პრეზიდენტის ნლოვანების შესახებ

საარჩევნო კამპანიის დროს, ტელევიზიით გამოსვლისას რეიგანმა თავდაჯერებულად განაცხადა, რომ ის თითქმის ყველაზე უმცროსი იყო ევროპელ ლიდერებს შორის, რომლებთანაც მას მოუხდებოდა ურთიერთობა. მაგრამ ჟურნალისტები ასეთ ტყუილს ხომ არ შეარჩენდნენ და მაშინვე ჰკითხეს:

– კი მაგრამ, ჟისკარ დესტენი ხომ თქვენზე ახალგაზრდაა?

– ვინა? – ვერ გაიგო თუ არ იცოდა საფრანგეთის პრეზი-

დენტის გვარი რონიმ. ასეთი უცოდინრობა მისგან არცთუ გასაკვირი იყო. ჟურნალისტმა გაუმეორა და განმარტა კიდეც:

– ჟისკარ დესტენი, საფრანგეთის პრეზიდენტი.

– არც ისე, – არ გატყდა რეიგანი და ალბათ ზუსტად არც იცოდა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი მასზე მთელი 15 წლით უმცროსი გახლდათ.

მოკლედ, ინციდენტი გახმაურდა და რეიგანის მომხრეებმა გადაწყვიტეს, პრესმდივანს განმარტებითი პრესკონფერენცია გაემართა. მან განმარტა, რომ რონალდ რეიგანი ჟურნალისტისაგან მოშორებით იჯდა და ვერ გაიგო დესტენის გვარი. ამ განმარტებამ ჟურნალისტებში უფრო მეტი აჟიოტაჟი გამოიწვია. ახლა ისინი უცოდინრობაში კი არა, პრეზიდენტობის კანდიდატს სმენის სისუსტეში სდებდნენ ბრალს: რომ მას არ ესმის, რომ ბერდება და ა. შ.

– ჩვენ შეგვიძლია „ვაშინგტონ პოსტში“ გამოვაქვეყნოთ შესწორება, – მიმართა ჟურნალისტმა პრესმდივანს, – რომ რეიგანმა იცის ჟისკარ დესტენის ვინაობა და თანამდებობა, მაგრამ არ ესმის.

მაშინ პრესმდივანმა პირველი ვარიანტი შესთავაზა ჟურნალისტებს:

– ჯობს, გააგრძელოთ იმაზე ლაპარაკი, რომ მან ბევრი რამე არ იცის, ვიდრე ილაპარაკოთ, რომ ის მეტად ასაკოვანია.

ეზოში ნასროლი კენჭები

აბატი ბოვე მექუდის შვილი იყო და ყმაწვილკაცობაში თვითონაც ამ ხელობას სწავლობდა. მაგრამ, როცა სასულიერო სამსახურში ჩადგა, გადაწყვიტა ან ეპისკოპოსობისათვის მიეღწია, ან ბასტილიაში ამოეყო თავი.

ერთხელ ვერსალის სასახლეში მიწვეულმა აბატმა ქადაგებისას მოურიდებლად გაკიცხა მაღალი წრის გარყვნილი ცხოვრება. საფრანგეთის მეფე ლუი მეცამეტემ, რომელიც ქადაგებას ესწრებოდა, თავის თავზე არ მიიღო შენიშვნა, კარდინალ რიშელიეს მიუბრუნდა და ეუბნება:

– მგონი, ამ მქადაგებელმა ბლომად კენჭები ისროლა თქვენი ბოსტნისკენ.

– დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, – მიუგო რიშელიემ, – მაგრამ ისე მაგრად ისვრის, რომ ჩემი ბოსტნის მაგიერ კენჭები პირდაპირ ვერსალის ბაღში ცვივა.

ნერონის ქორწინება

სვეტონიუსი მოგვითხრობს რა იმპერატორ ნერონის აღვირახსნილ სექსუალურ თავგადასავლებს, წერს, რომ ვინმე სპორთან, ახალგაზრდა ყმაწვილთან იგი ისე ცხოვრობდა, როგორც ცოლთან; გადაიხადა დიდი ქორწილი წესების დაცვით და თავის სახლში წაიყვანაო. ვიღაცას მოსწრებულად შეუნიშნავს ამ „ქორწინების“ შესახებ:

„ბედნიერები იქნებოდნენ რომაელები, რომ ნერონის მამას ჰყოლოდა ასეთი ცოლი“.

ერთჯერადი დახმარება

სიკვდილმისჯილი თომას მორი ეშაფოტისკენ რომ მიემართებოდა, ერთ-ერთ ახლობელს სთხოვა, კიბეზე ასვლაში მიხმარებოდა:

– მხოლოდ ასვლის დროს დამეხმარეთ, უკან ჩამოსვლა აღარ დამჭირდება.

პომპეუსის ნამალი

რომაელ მხედართმთავარ გნეუს პომპეუსს ავადმყოფობის ჟამს ექიმებმა საჭმელად დაუნიშნეს შაშვის ხორცი, თან განუცხადეს, ზაფხულში შაშვი არსად არ იშოვება და ეს ფრინველი მხოლოდ ლუკულუსს ჰყავსო.

პომპეუსმა მსახურებს ლუკულუსთან წასვლის ნება არ დართო:

„როგორ, ლუკულუსი რომ განცხრომით არ ცხოვრობდეს, პომპეუსი ვერ იცოცხლებს?“ – თქვა მან და ექიმებს სთხოვა, უფრო ხელმისანვდომი წამალი დაენიშნათ მისთვის.

მკურნალის დასკვნა

რას არ ამბობდნენ და გადმოგვცემენ ნაპოლეონისა და გენერალ ბოჰარნეს ქვრივის, მომხიბლავი ჟოზეფინას სიყვარულზე, იმასაც, რომ, თითქოს, ამ ქალის სიყვარული არ იყო მუდმივი; ან, მას შემდეგ, რაც ნაპოლეონი მას გაეყარა და ცოლად შეირთო ავსტრიის იმპერატორის ასული მარია-ლუიზა, ჟოზეფინასაც გაუცივდა გული საფრანგეთის იმპერატორის მიმართ.

მაგრამ ხმებსა და ჭორებზე მეტად ერთი ეპიზოდი მეტყველებს: ნაპოლეონთან განშორების შემდეგ ჟოზეფინა მალმეზონის სასახლეში ცხოვრობდა. იგი 1814 წლის 29 მაისს გარდაიცვალა. როდესაც იმპერატორმა მკურნალ ექიმს ჰკითხა თავისი ყოფილი მეუღლისა და ბოლომდე მოყვარული ქალის გარდაცვალების მიზეზი, ექიმმა უპასუხა:

„დარდი, წუხილი თქვენ გამო“.

ტიბერიუსის გადასახადები

ახლობლებს, რომლებიც ტიბერიუსს ურჩევდნენ, მძიმე გადასახადებით დაებეგრა პროვინციათა გამგებლები, რომის იმპერატორი პასუხობდა:

„კარგმა მწყემსმა ტყავი კი არ უნდა გააძროს ცხვრებს, არამედ კარგად გაკრიჭოსო“.

დაუჯერებელი რეალობა

ფაქტია, რომ რუსეთის სოციალისტების უმრავლესობა არ მოელოდა არც რევოლუციას და, მით უფრო, რევოლუციის უზარმაზარ თანმდევ მოვლენებს, რომლებმაც უამრავი სისხლი

და ნგრევა გამოიწვია. კადეტების ლიდერთაგანი, ვასილი მაკლაკოვი არწმუნებდა საფრანგეთის ელჩს რუსეთში, მორის პალეოლოგს, რომ ამ მოულოდნელობის გამო თვით რევოლუციის ლიდერები არ აღმოჩნდნენ მზად:

– გუშინ მე ველაპარაკე ამის შესახებ მაქსიმ გორკის და ჩხეიძეს (კარლო ჩხეიძე – რუსეთის სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი – დ. შ.). ისინი ამ წუთამდე გონს ვერ მოსულან მოულოდნელობისაგან.

მორის პალეოლოგს ეს ჩანაწერი თავის დღიურში 1917 წლის 9 აპრილს აქვს გაკეთებული. აქვეა რუსული რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერის, ალექსანდრე კერენსკის მოგონებაც.

1917 წლის 10 მარტს მასთან ბინაში მისი პოლიტიკური მეგობრები შეიკრიბნენ.

„ყველანი ერთსულოვნად მივიდნენ დასკვნამდე, რომ რევოლუცია რუსეთში შეუძლებელია“.

ორი დღის შემდეგ რუსეთის მონარქია დაემხო.

ფოკიონის ღირსება

საბერძნეთის საუკეთესო ადამიანები ღარიბები იყვნენო, გვარწმუნებს ელიანი. ერთ-ერთი იყო ფოკიონი, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელმა 100 ტალანტი გაუგზავნა.

– რატომ მიგზავნის ფულს? – იკითხა ფოკიონმა. უპასუხეს, რომ ალექსანდრე მას მიიჩნევს ყველაზე უფრო ღირსეულად ათენელთა შორის.

– მაშინ დაე, მომცეს ნება, ასეთივედ დავრჩე, – უპასუხა ფოკიონმა და დიდი დამპყრობლის ნაჩუქარ ფულზე უარი განაცხადა.

შეცდომების ლიმიტი

ნაპოლეონ მესამეს საფრანგეთის ძველი იმპერიის ძლიერების აღდგენის მანია ჰკლავდა. 1860-იან წლებში მან

მექსიკის დასაპყრობად წამოიწყო ომი. რამდენიმე წლის შემდეგ საფრანგეთი ამ ომში სამარცხვინოდ დამარცხდა. სწორედ ამასთან დაკავშირებით უთხრა საფრანგეთის იმპერატორს ტიერმა:

– უკვე აღარ დარჩა შეცდომები, რომლებიც თქვენ შეგეძლოთ დაგეშვათ, იმიტომ რომ ყველა შესაძლებელი შეცდომა უკვე დაუშვით.

მაგრამ ტიერიც კი შეცდა. ნაპოლეონ მესამეს წინ კიდევ ერთი დიდი შეცდომა ელოდა: 1870 წლის დასაწყისში იგი პრუსიასთან ომში ჩაება, რომელშიც საფრანგეთმა კატასტროფა განიცადა, ხოლო იმპერატორი ტყვედ ჩაუვარდა პრუსიელებს. კაიზერ ვილჰელმ პირველს ნაპოლეონმა დამამცირებელი სიტყვებით მიმართა:

„რამდენადაც მე ვერ მოვახერხე სიკვდილი ჩემს ჯარისკაცებს შორის, ისღა დამრჩენია, ჩემი დაშნა თქვენს უდიდებულესობას ჩავაბარო“.

სპარტელი მოქალაქის აღტაცება

ჟან-ჟაკ რუსო თავის განთქმულ პედაგოგიურ თხზულებაში „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“, მსჯელობს მოქალაქის მორალზე და მოჰყავს მაგალითი:

„ლაკედემონელმა მოქალაქემ, ვინმე პედარეტმა სამასკაციანი სათათბიროს წევრობა ითხოვა და უარი როცა უთხრეს, აღტაცებული იყო, რომ სპარტაში მასზე ღირსეული სამასი კაცი აღმოჩნდა “.

ლუკულუსის ვახშმობა

მას შემდეგ, რაც რომაელმა მხედართმთავარმა, ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსმა სამხედრო საქმიანობას თავი დაანება, არანაკლებად გაითქვა სახელი ე. წ. „ლუკულუსის ქეიფებით“ – თითქმის ყოველდღიურად იწვევდა უამრავ სტუმარს და ბოჰემური დროსტარებით იქცევდა თავს.

ერთხელ ისე მოხდა, რომ ლუკულუსს მარტო უნდა ევახშმა. როცა ერთი კაცისთვის განკუთვნილი ვახშამი მიართვეს, ლუკულუსმა ლანძღვა დაუწყო მსახურებს. მათ თავი იმართლეს, რაკიღა მოწვეული არავინ გყავდათ, არ გვეგონა, თუ ძვირფას ვახშამს ინებებდითო.

– რას ამბობთ, – შეჰყვირა განრისხებულმა სარდალმა, – განა არ იცოდით, რომ ლუკულუსი ლუკულუსთან ვახშმობდა?

შაჰ აბასის ქართული

XX საუკუნის მეორე ნახევრის ირანელი ისტორიკოსი ნასროლა ფალსაფი, რომელსაც სამტომიანი ფუნდამენტური ნაშრომი აქვს დაწერილი შაჰ აბასის შესახებ, ერთგან წერს:

„რადგანაც სამეფოს ბევრი გამგებელი, სამეფო კარის დიდებული, ჯარის სარდალი, მეგობრები და ახლობელნი შაჰ აბასისა ქართველები იყვნენ და ჰარამხანაშიც უამრავი ქართველი ქალი ჰყავდა, რომელნიც თავიანთი სილამაზის გამო მის სხვა ცოლებს შორის შაჰისთვის უფრო სასურველნი და მასთან უფრო დაახლოებულნი იყვნენ, შაჰი ქართულ ენასაც დაუფლებოდა. დონ გარსია, ესპანეთის მეფის ელჩი, რომელიც ირანში ჩავიდა ჰიჯრით 1026 წელს, თავის მოგზაურობის წიგნში წერს, რომ ერთ დღეს აუდიენციისას მან ოსმალეთის ელჩი, იმის გამო, რომ მას დიდი ჩალმა ეხურა თავზე, ირანის სასულიერო წოდების დიდ ჩინოსნად ჩათვალა. შაჰმა მისი შეცდომა რომ გაიგო, ბევრი იცინა. იმისათვის, რათა ოსმალეთის ელჩი არაფერს მიმხვდარიყო, შაჰმა ესპანეთის ელჩს ქართულად აუხსნა საქმის ვითარება. საუბარს თარგმნიდა ესპანური და ქართული ენების მცოდნე თარჯიმანი“.

მხოლოდ ერთი ნაბიჯი

1812 წელს მოსკოვიდან უკანდახეულმა და რუსული ყინვების მიერ სასტიკად დამარცხებულმა ნაპოლეონმა სარდლობა

მარშალ მიურატს გადაულოცა და სასწრაფოდ საფრანგეთისაკენ აიღო გეზი. გზად საფრანგეთის იმპერატორი ვარშავაში შეჩერდა და იქ კრახით დამთავრებული სამხედრო კამპანიის შესახებ თავისებური დასკვნა გააკეთა:

„შეიძლება მე შევცდი, რომ მოსკოვამდე მივედი, შეიძლება ცუდი გავაკეთე, რომ იქ მეტისმეტად დიდხანს დავრჩი, მაგრამ დიდიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. დაე, შთამომავლობამ განსაჯოს“.

სხვა ინფორმაციით, ამგვარი სიტყვები მან ეტლში, ჯერ კიდევ რუსეთის გზებზე ჯაყჯაყის დროს უთხრა კოლენკურს.

მითი თუ რეალობა

გადმოცემის მიხედვით, 855-858 წლებში თითქოს რომის პაპის ტახტზე აღმოჩნდა ქალი – ინგლისელი იოანა. ლეგენდა ამბობს, რომ შემდგომ ეკლესია გულმოდგინედ ცდილობდა ამ ფაქტის დამალვას და დავიწყებას. ლეგენდისავე თანახმად, თანამედროვეებმა მამაკაცურად ჩაცმულ პაპში თითქოს ქალი შეიცნეს მაშინ, როცა იოანამ ერთ-ერთი საზეიმო პროცესიის დროს პირდაპირ შუა ქუჩაში იმშობიარა და იქვე გარდაიცვალა.

ამ ისტორიას თავს დავანებებდი მისი ბუნდოვანების გამო, რომ არა ისტორიისავე გადმოცემა, რომლის თანახმადაც იოანას პაპობის მითი თუ რეალობა თვით იან ჰუსმა გამოიყენა პაპობის წინააღმდეგ. მან კონსტანცის საეკლესიო კრებაზე განაცხადა, რომ ეკლესიას შეუძლია უპაპოდ არსებობა, რადგან ორნახევარი წელიწადი პაპის ტახტზე ქალი იჯდაო. კრებაზე მყოფი 22 კარდინალი, 49 ეპისკოპოსი და 272 ღვთისმეტყველი ამ გამანადგურებელ განცხადებას თითქოს სამარისებური სიჩუმით შეხვდა.

სიკვდილმისჯილი ფოკიონი

ათენელ სახელმწიფო მოღვაწესთან ერთად სიკვდილით უნდა დაესაჯათ ვინმე ფუდიპიც. უკანასკნელმა თავის მარ-

თლება და პატიების თხოვნა დაიწყო. მაშინ ფოკიონმა უთხრა:

– როგორ, განა შენთვის პატივი არ არის ფოკიონთან ერთად სიკვდილი?

დანტონი და როგესპიერი

ჟორჟ დანტონს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწეს, მეგობრებმა შეატყობინეს, რომ იაკობინელთა ბელადი მაქსიმილიან რობესპიერი მას გილიოტინის ცელს უმზადებდა და ინგლისში გაქცევა ურჩიეს. „განა ადამიანს შეუძლია, თავისი სამშობლო საკუთარი ფეხსაცმლების ქუსლებით თან წაიღოს?“ – უპასუხა მან.

ჟორჟ ჟაკ დანტონი 1794 წლის 5 აპრილს მოაკვდინეს გილიოტინით. სიკვდილის წინ იგი თავს იმხნევებდა: „წინ, დანტონ, სისუსტე არ უნდა შეგეტყოს“, ხოლო, როცა იმ სახლს ჩაუარა, რომელშიც რობესპიერი ცხოვრობდა, შესძახა: „მაქსიმილიან, გელოდები, შენ მალე მომყვები უკან!“.

სხვა ისტორიებსაც ჰყვებიან: ეშაფოტზე დანტონმა გადააგდო თოკი, რომლითაც ხელების შეკვრას უპირებდნენ, რობესპიერისთვის გამოგადგებათო. როცა ჰკითხეს, შენი უკანასკნელი სურვილი რა იქნებაო, უპასუხა: „ჩემი თავი იმის ღირსია, რომ ხალხს უჩვენოთ, ხოლო გვამი – რობესპიერსო“.

მაქსიმილიან რობესპიერმა სამთვენახევრის შემდეგ, 1794 წლის 28 ივლისს გაიზიარა თავისი ყოფილი თანამებრძოლისა და მოწინააღმდეგის ბედი.

კოზიმო მედიჩის გამგზავრება

ფლორენციის მმართველმა, ახალი პლატონური აკადემიის დამაარსებელმა კოზიმო მედიჩიმ სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო და თავი ქალაქის მოშორებით მდებარე ვილაში გადააყვანინა, ცოლმა ჰკითხა:

– რად ჩაფიქრებულხარ და თვალები რად დაგიხუჭავს?

– უცნაური ქალი ხარ, – უპასუხა კოზიმომ, – შენ ორი კვირით ადრე იწყებ ხოლმე ფუსფუსს, როცა საზაფხულოდ ქალაქიდან აგარაკზე აპირებ გადაბარგებას და ნუთუ მე არ უნდა დავფიქრდე, როცა სხვა ქვეყანაში გასამგზავრებლად ვემზადები? თვალებს კი იმიტომ ვხუჭავ, რომ სიბნელეს შევეჩვიო.

შემდეგ მან მოახმობინა გამოჩენილი ფლორენციელი ჰუმანისტი მარსილიო ფიჩინო და სთხოვა, პლატონის „დიალოგები" წამიკითხე ხმადაბლაო. კითხვის დროს მედიჩიმ სამუდამოდ დაიძინა.

ლომები თუ მგლები?

1989 წლის 26 მაისს თბილისში დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდა ვაკის პარკში შეკრებილი უამრავი ხალხი. თვითმხილველი მიხა გეგეშიძე გადმოგვცემს: „ტრიბუნასთან მდგარი ცნობილი პოეტი საკუთარი ლექსის ბოლო სტრიქონს ომახიანად კითხულობს:

„...ტყვია მიზანში მოსახვედრია,
თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია!".

მქუხარე ტაში, შეძახილები – „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გაუმარჯოს! გაუმარჯოს!" გუგუნებს ხალხი. პოეტს ახალგაზრდა სტუდენტი ცვლის. მოულოდნელად იმართება „შემოქმედებითი" კამათი ძველსა და ახალგაზრდა თაობას შორის:

– ჩვენ არა ვართ ლომები – ამტკიცებს სტუდენტი – ჩვენ მგლები ვართ! ლომებს ათვინიერებენ, მგლების მოთვინიერება კი შეუძლებელია! – ვაშაააა!

სუვოროვის ანგარიში

როცა რუსი მხედართმთავარი ალექსანდრ სუვოროვი კვდებოდა, მასთან გამოცხადდა იმპერატორ პავლე პირვე-

ლის მიერ გამოგზავნილი ობერშტალმაისტერი გრაფი ივანე პავლეს ძე ქუთაისოვი. მან განკარგულება გადასცა სუვოროვს, რომელსაც, თავის მხრივ, მოქმედების ანგარიში უნდა წარედგინა იმპერატორისათვის. სუვოროვმა განუმარტა:

„მე ღმერთისთვის ჩვენებისა და ანგარიშისათვის ვემზადები და მეფეზე ფიქრიც კი არ მინდა“.

ნიურნბერგი

1946 წლის 16 ოქტომბერს ნიურნბერგის ციხის ეზოში სისრულეში მოიყვანეს მეორე მსოფლიო ომის მთავარი სამხედრო დამნაშავეების მიმართ გამოტანილი განაჩენი. 2 საათსა და 11 წუთზე პირველად ჩამოახრჩვეს იოახიმ ფონ რიბენტროპი. შემდეგ მას მიჰყვა მესამე რაიხის გენერალფელდმარშალი კეიტელი. მისი უკანასკნელი სიტყვების მსმენელნი იყვნენ სასიკვდილო აქტის მცირერიცხოვან დამსწეთა – ოთხი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელნი:

– მე მივმართავ ყოვლისშემძლე ღმერთს და ვთხოვ შეიბრალოს გერმანელი ხალხი. ჩემამდე ორ მილიონზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი დაიღუპა. ახლა მე ჩემს შვილებთან მივდივარ.

წინა ღამით კი საწამლავით მოისწრაფა სიცოცხლე გერინგმა. ბარათში, რომელიც მან ნიურნბერგის ციხის უფროსის სახელზე დატოვა, ეწერა: „ისტორიას არ ახსოვს, რომ ფელდმარშალი ჩამოეხრჩოთ“.

წმინდა ლავრენტის ხუმრობა

წმინდა ლავრენტიმ იდეისათვის დათრგუნა ტკივილი და როცა კოცონზე წვავდნენ, თვითონ მიიტანა წამების ადგილზე რკინის ცხავი, რაზედაც უნდა დაეწვათ, ხოლო, როცა ცეცხლი აბრიალდა, მხოლოდ ეს ითხოვა: შემაბრუნეთ, ერთი მხარე საკმაოდ შეიწვაო.

ბარონ ბენიგსენის ერგოკვერცხი

როდესაც რუსეთის იმპერატორ პავლე პირველს შეთქმულები შეუვარდნენ საძინებელში, სკარიატინი შარფით ცდილობდა მის მოხრჩობას, ხოლო გენერალ იაშვილს მაგრად ჰყავდა მსხვერპლი ჩაბღუჯული. მკვლელობის აქტი მაინც გაჭიანურდა. განწირული იმპერატორი წინააღმდეგობას განაგრძობდა. მაშინ ბარონმა ლეონტი ბენიგსენმა რომელიღაც მძიმე საგანი ჩაარტყა თავში იმპერატორს, წამოძახილით:

„ჩვენ ძალიან შევტოპეთ საიმისოდ, რომ უკან დავიხიოთ. როცა ერბოკვერცხის გაკეთება უნდათ, საჭიროა კვერცხის გატეხვა".

ბოლოს, იაშვილმა და ტატარინოვმა, როგორც იქნა, მოუღეს ბოლო იმპერატორს.

საშუალო ამერიკელი

ამერიკელებს მოსწონდათ რონალდ რეიგანის დაუჯერებელი შეცდომებისა და უვიცობების მოსმენა, მხიარულობდნენ და მიიჩნევდნენ, რომ მათი პრეზიდენტი მათსავით უბრალო, ბევრის არმცოდნე საშუალო ამერიკელი იყო. ამიტომ მათ არ აშფოთებდათ, როცა რონის ინდონეზია და ინდოჩინეთი ერთმანეთში ერეოდა, ან თავს არ იწუხებდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ განესხვავებინა ერთმანეთისაგან ავღანეთი და პაკისტანი.

ერთხელ კი, როცა ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოში განიხილებოდა საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვართან შექმნილი დაძაბული ვითარება, რეიგანი სერიოზულად დაინტერესდა და იკითხა:

— საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვარი? რა, ნუთუ ისინი მეზობლები არიან?

შამილი და ბარიატინსკი

რუსთა ჯარებმა შამილის უკანასკნელი სიმაგრე – ღუნიბი რომ აიღეს, მთიელთა ბელადმა თავი დამარცხებულად ცნო და თავისი ხმალი კავკასიის მეფისნაცვალ გენერალ-მაიორ ალექსანდრე ბარიატინსკის გადასცა.

შამილი არად აგდებდა ტყვეობას, თითქოს გამარჯვებული ყოფილიყოს, ამაყად უცქერდა რუსებს და როცა ბარიატინსკის ხმალი გადასცა, ერთი გემრიელი მთქნარებაც მიაყოლა. ბარიატინსკის ალბათ მოუდრეკელი ტყვის გაკენწვლა მოუნდა და ირონიულად შენიშნა: ნელა, რამხელა პირს აღებ, არ გადამყლაპოო.

შამილმა გულმშვიდად მიუგო:

– ნუ გეშინია, ღორის ხორცს არ გეახლები.

გაბრაზებული ქართველი დეპუტატი

გადმოგვცემენ, რომ, როდესაც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში კარლო ჩხეიძე იმპერიის ხელისუფლებას ამათრახებდა, ცნობილმა შოვინისტმა ვლ. პურიშკევიჩმა წამოისროლა: „რა ენაზე ლაპარაკობს ეს კავკასიელი მაიმუნი?“.

ჩხეიძემ უპასუხა:

„Когда ваши предки по лесам бродили, наши – Евангелие переводили“.

პოლიკრატიდას პასუხი

პოლიკრატიდა სხვებთან ერთად გაგზავნეს მოსალაპარაკებლად სპარსთა მეფის სტრატეგოსებთან. ამ უკანასკნელებმა ელჩებად მოგზავნილებს ჰკითხეს:

– თქვენ უშუალო მეთაურმა გამოგგზავნათ თუ სახელმწიფომ?

– თუ წარმატებას მივაღწიეთ იმ საქმეში, რისთვისაც მოვედით, სახელმწფომ გამოგვგზავნა, და თუ ვერა – მეთაურმა, – იყო პოლიკრატიდას პასუხი.

მონღოლი ნოინის ოპტიმიზმი

რუმის სასულთნოს წინააღმდეგ, მონღოლთა მხარეზე ქართველებიც იბრძოდნენ. მემატიანის ცნობით, ყიასედინის ლაშქარი 400 000-ს აღწევდა თითქოს. ციფრი ფრიად გადაჭარბებულია, მაგრამ ცხადია, რომ თურქ-სელჩუკთა ჯარის რაოდენობა დიდად სჭარბობდა მონღოლთა და ქართველთა მხედრობას.

მიუხედავად ამისა, მონღოლთა მთავარსარდალი ბიჩოი ნოინი თურქთა მრავალრიცხოვნებას მაინცადამაინც არ შეუშფოთებია. პირიქით, იგი ქართველ მოკავშირეებს არწმუნებდა, კარგადაა საქმეო.

სარგის ჯაყელი, „კაცი მხნე და შემმართებელი, ხელოვანი ბრძოლათა შინა", გაკვირვებული იყო მონღოლთა ნოინის აუღელვებლობით. სარგისის კითხვაზე, თუ რა იყო გასახარელი მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვნებაში, ბიჩოი ნოინმა უპასუხა:

„არა კეთილად მეცნიერ ხარ ნათესავსა ჩუენ მონღოლთასა (ე. ი. კარგად არ იცნობ მონღოლებსაო – დ. შ). რათგან მოგვცა ღმერთმან ძლევად არად შეგვირაცხიეს სიმრავლე სპათა, რამეთუ უმრავლესთა უმჯობესად ვიდრემე ვსძლევთ და უმრავლესითა აღვივსებით ალაფითა". მაშ, რაც უფრო მეტნი არიან თურქები, მით უფრო მეტი ნადავლი დაგვრჩებაო.

ბისმარკის გულმოწყალება

როცა პრუსიის არმია დამარცხებული საფრანგეთის დედაქალაქს მიადგა, ბერლინელი ქალბატონები ოტო ფონ ბისმარკს ეახლნენ და შესჩივლეს:

– თავადო, ნუთუ ისეთი უგულო აღმოჩნდებით, რომ რაიმსის კათედრალს ზარბაზნებს დაუშენთ?

„რკინის კანცლერმა" ირონიით ჩაიღიმა და თქვა:

– ომში ისე უნდა მოიქცე, როგორც ომს ესაჭიროება.

ბოლოს კი დააშოშმინა მანდილოსნები:

– არა ქალბატონებო, რაიმსს ჩემი ზარბაზნები გვერდით ჩაუვლიან.

ჰანიბალის თანამებრძოლი

კანესთან ბრძოლის წინ რომაელებს 80 000 ქვეითი და 6 000 ცხენოსანი ჰყავდათ. კართაგენელთა არმია ორჯერ ჩამოუვარდებოდა მოწინააღმდეგეს – 40 000 ქვეითი და 10 000 ცხენოსანი. როცა რომაელთა ლაშქარი იხილა ჰანიბალის ერთ-ერთმა და მრავალნაცადმა თანამებრძოლმა ჰისკონმა, გაკვირვება გამოთქვა, რომელიც დაფარულ შიშს უფრო ჰგავდა. ჰანიბალმა ეს შენიშნა და ჰკითხა:

– მაგრამ არის უფრო საოცარი რამ, ჰისკონ.

– მაინც რა?

– ის, რომ მრავალრიცხოვან ადამიანთა შორის ერთ კაცსაც ვერ ნახავ, ჰისკონი რომ ერქვას.

ამბობენ, რომ ჰანიბალის ნათქვამმა გაამხნევა კართაგენელი მეომრები. ასეა თუ ისე, კანეს ბრძოლა კართაგენელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

ქართველობის პატივი

1916 წლის 16 თებერვალს რუსეთის არმიამ ოსმალეთთან მიმდინარე ბრძოლების დროს ერზრუმი აიღო. მაშინ გენერალი იუდენიჩი თურმე მიუბრუნდა მის გვერდით მდგარ გიორგი კვინიტაძეს და უთხრა:

„გიორგი ივანოვიჩ, განდობთ თქვენ, როგორც ქართველს, პირველი შეხვიდეთ ერზრუმში“.

მოხიბლული იმპერატორი

რუსეთის იმპერატორის ყურამდე მივიდა ხმები, რომ პეტერბურგის დრაგუნთა პოლკის მეთაური დეხტერევი საზღვარგარეთ აპირებს გაქცევასო. იმპერატორმა დაუყოვნებლივ დაიბარა სასახლეში დეხტერევი. მისი უდიდებულესობის განრისხებულ შეკითხვაზე, მართალია თუ არა ეს ხმებიო, მამაცმა ოფიცერმა, რომელსაც არც ჭკუა აკლდა, მიუგო:

– მართალია, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ, საუბედუროდ, კრედიტორები არ მიშვებენ.

ეს პასუხი ისე მოეწონა პავლე პირველს, რომ ბრძანება გასცა, მიეცათ დეხტერევისათვის შესაბამისი თანხა და საგზაო ეტლი.

რას იშიძრებდნენ ინგლისელები, რომ...

ინგლისელთა საპატრულო გემები ფხიზლად დარაჯობდნენ კუნძულ ელბას, რომელზეც 1815 წელს საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონი იყო გადასახლებული. როდესაც ნაპოლეონი კუნძულიდან გამოიქცა, მისი ხომალდი ინგლისურ სამხედრო გემ „ზეფირს“ წააწყდა. ინგლისელებმა ფრანგებს გადასძახეს, იმპერატორი როგორ ბრძანდებაო. ეს რომ გაიგონა ნაპოლეონმა, თავის მოდარაჯეებს სიცილით გადასძახა:

– იმპერატორი კარგად ბრძანდება.

ინგლისელებს ფიქრად არ მოსვლიათ, რომ მათ თვით ნაპოლეონი ელაპარაკებოდა და ფრანგული ხომალდი მშვიდობიანად გაატარეს. როგორც იტყვიან, „ფორტეს ფორტუნა ადიუვატ“ – მამაცთ ბედი სწყალობთ.

სტალინის სადგური

1939 წელია. კრემლში, სტალინის თანდასწრებით პარტიული კინოელიტა უყურებს ფილმს „მატარებელი მიდის აღმოსავლეთისაკენ“. ეტყობა ბელადს ფილმი არ მოეწონა ან მოსწყინდა, ეკრანზე კი ამ დროს მატარებელი რომელიღაც სადგურში გაჩერდა.

– ეს რომელი სადგურია? – იკითხა სტალინმა.

– დემიანოვკა – უპასუხეს.

– აი, აქ კი, მე უნდა ჩამოვიდე, – თქვა სტალინმა და დარბაზიდან გამოვიდა.

ალარიხის ულტიმატუმი

408 წელს ვესტგოთების მეფე ალარიხმა მესამედ შემოარტყა ალყა რომს. ამჯერად არც ქრთამმა და არც დიდძალმა კონტრიბუციამ არ გასჭრა, რომაელები რომ სთავაზობდნენ ალარიხს. ბარბაროსთა მრისხანე მბრძანებელმა საბოლოოდ გადაწყვიტა, ხელთ ეგდო მსოფლიო იმპერიის აუღებელი დედაქალაქი, რომელსაც ვერაფერი მოუხერხა თვით ჰანიბალმა.

მოლაპარაკებით რომ ვერა გააწყვეს რა, ალყაშემორტყმულთა ელჩებმა რომის მოსახლეობის მძვინვარე წინააღმდეგობის პერსპექტივით სცადეს ალარიხის შეფიქრიანება.

– თუ ზავზე არ დაგვთანხმდები, ომი მოგიხდება სახელოვანი რომის მრავალრიცხოვან მეომარ მოსახლეობასთან.

– ბალახი რაც უფრო ხშირია, მით უფრო ადვილი მოსათიბია, – მკვახედ მიაძახა ელჩებს ვესტგოთების ბელადმა.

408 წლის 24 აგვისტოს ვესტგოთებმა მარადიული რომი აიღეს.

უცნაური მთხოვნელი

მიხეილ მიხეილის ძე სპერანსკი იმპერატორ ალექსანდრე მეორის უახლოესი მრჩეველი იყო, მაგრამ ამან არ უშველა და ლიბერალური შეხედულებებისათვის ციმბირში გადაასახლეს. როცა ციმბირისაკენ მიემართებოდა, მას გამცილებლად ახლდა ერთი კეთილი და ბრიყვი პოლიციის მოხელე. ტიხვინის მიყრუებულ სადგურზე გამოსაცვლელ ცხენებს არ იძლეოდნენ. მაშინ პოლიციელი სათხოვნელად და საქმეში ჩასარევად გადასახლებულ დიდმოხელესთან მივიდა და ეუბნება:

– თქვენო მაღალაღმატებულებავ, დიდსულოვნება გამოიჩინეთ, ეს მუდრეგები ცხენებს არ გვაძლევენ.

რა გაეწყობოდა, სპერანსკი საქმეში ჩაერია და ცხენები იშოვა საკუთარი გადასახლების ადგილამდე მისაღწევად.

ჭირის დივერსია

მეთორმეტე საუკუნეში ესპანელებმა პირენეის ნახევარკუნძულზე მოკალათებული არაბები დაამარცხეს და მათი სახალიფოს მთავარი ქალაქი კორდოვა აიღეს. კორდოვის ემირმა ალმანსორმა ბრძოლით რომ ვერაფერი გააწყო, შავი ჭირი შეიყარა, მოწინააღმდეგის ბანაკში შეაღწია და ტყვედ ჩაბარდა. ალმანსორი გარდაიცვალა, მაგრამ ბანაკში მოდებულმა შავმა ჭირმა მუსრი გაავლო ესპანელთა ჯარსაც.

თომას მორის თხოვნა

როდესაც სიკვდილით სჯიდნენ ინგლისელ ჰუმანისტსა და სახელგანთქმული წიგნის „უტოპიის“ ავტორ თომას მორს, მან ჯალათს სთხოვა, მოვალეობის აღსრულების დროს ხელი არ ეხლო მისი წვერისათვის, რომელსაც „ოდნავადაც არ ედო ბრალი სახელმწიფო დანაშაულში“.

სწორედ ამ ბრალდებით დასაჯეს თომას მორი.

კეისრის უარი

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მეგობრები იულიუს კეისარს სთხოვდნენ, მცველები აეყვანა. ბევრი მათგანი საკუთარ სამსახურსაც სთავაზობდა რომის დიქტატორს. ის კი არ თანხმდებოდა და ერთხელ განუცხადა კიდეც თავის კეთილისმყოფელებს:

„გაცილებით უკეთესია ერთხელ სიკვდილი, ვიდრე განუწყვეტლივ მის მოლოდინში ყოფნა“.

ბრძანება ყველასათვის

ეგვიპტეში ლაშქრობის დროს, აუტანელი სიცხის პირობებში, ნაპოლეონმა ბრძანა, ყველას ფეხით ევლო, ცხენები კი მხოლოდ დაჭრილებისთვის, ავადმყოფებისთვის და ტვირთისთვის გამო-

ეყოთ. ბრძანება ახალი დაგზავნილი იყო, რომ ნაპოლეონთან მისი მეჯინიბე ვალონი შევიდა და ჰკითხა:

– გენერალო, რომელი ცხენის დატოვებას ინებებთ თქვენთვის?

– ყველამ ფეხით უნდა იაროს! – დაუყვირა ნაპოლეონმა, – მათ შორის მე – პირველმა, შენ რა, არ იცი ბრძანების შესახებ?

მეფე და დედაკაცი

მეფე ერეკლესთან მოხუცი დედაკაცი მისულა მოწყალების სათხოვნელად. მეფემ ქალი დაასაჩუქრა, თან ამბავი გამოჰკითხა, შვილები არა გყავსო? შვიდი შვილი მყავსო, შვიდივე ვაჟიაო.

– მერედა შვიდი ვაჟის პატრონს სამოწყალო რა გაგჭირვებია? – გაოცდა მეფე.

– ნეტავი ერთი მყავდეს და შენისთანა, – მიუგო დედაკაცმა. აქედან წამოვიდა ანდაზაც: „ბევრი რად უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანი“.

ხუთ წუთში

1984 წლის აგვისტოში ყოველკვირეული რადიოგამოსვლის წინ, რადიოხმის ჩაწერის შემოწმების დროს რეიგანს სთხოვეს ეთერში რამდენიმე ციფრი დაესახელებინა. ციფრების მაგიერ რეიგანმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა:

„ძვირფასო თანამემამულე ამერიკელებო! მოხარული ვარ შეგატყობინოთ, რომ ახლახან მოვაწერე ხელი დადგენილებას რუსეთის სამუდამოდ კანონგარეშედ გამოცხადების შესახებ. ბომბვა დაიწყება ხუთი წუთის შემდეგ“.

ქართველი ქალის მამულიშვილობა

ოფიშკვითის ბრძოლაში დამარცხებულ ქართლის მეფე სვიმონ დიდს სოფელ კავთისხევში შემოაღამდა და ერთ ქოხს

მიადგა. მასპინძელი მარტომყოფი ქალი აღმოჩნდა, მისი ქმარი ლაშქარში ყოფილიყო წასული. ქალმა სტუმარი მიიპატიჟა, სუფრა გაუშალა. დადარდიანებული იყო მეფე და არა მიირთვა რა. მასპინძელმა უგუნებობა შეატყო და სტუმარს ჰკითხა „მეფისა და სპისა მისისა, თუ მეფე რა იქმნაო“.

არ ვიცი, მიუგო სტუმარმა.

„და რაჟამსა ესმა დედაკაცსა მისი სიტყვა ესე, დიდად იწყინა და იმწუხარა და იტირა“. ხოლო ამის შემდეგ ქალმა ქმრის ამბავი ჰკითხა სტუმარს, თან აღუწერა მისი გარეგნობა, ასეთი და ასეთი კაციაო. როცა ამაზედაც უარყოფითი პასუხი მიიღო, მაშინ ქალმა თქვა:

„თუ ღმერთმან იპრიანა და მეფე მორჩა და ის მშვიდობით არის, ჩემი ქმარიც იმის ჭირის სანაცვლო იყოს და სხუანი, რომელნიცა მყვანან, იგინიც“.

სვიმონ დიდს მეტად ესიამოვნა ქალის ამგვარი თავდადება მეფისა და ქვეყნისათვის, დიდის პატივით ეპყრობოდა თურმე. შემდეგ ქალს ქმარიც მშვიდობით დაბრუნებია. მეფემ მას აზნაურობა უბოძა და როგორც ბერი ეგნატაშვილი გადმოგვცემს: „არიან ახლად გაკეთებულნი კაცნი იგი, რომელნი არიან ქვლივიძენი“.

ალექსანდრე და გიმნოსოფისტები

ინდოეთში ლაშქრობის დროს ალექსანდრე მაკედონელმა ტყვედ ჩაიგდო რამდენიმე ბრაჰმანი, რომლებსაც ბერძნები გიმნოსოფისტებს უწოდებდნენ. ისინი დახელოვნებულნი იყვნენ დასმულ კითხვებზე სხარტი და ორაზროვანი პასუხების გაცემაში. ალექსანდრემ ტყვეები გააფრთხილა, თუ მის კითხვებზე უადგილო და შეუფერებელ პასუხებს მიიღებდა, სიკვდილით დასჯიდა მათ.

ჰოდა, პირველ გიმნოსოფისტს ალექსანდრემ ჰკითხა, თქვენი აზრით, მკვდრები მეტნი არიან თუ ცოცხლებიო?

— ცოცხლები, რადგან მკვდრები აღარ არსებობენ.

მეორეს ჰკითხა: ზღვა მეტ ცხოველს კვებავს თუ დედამიწაო?

– დედამიწა, როგორც ზღვის ნაწილი, – იყო პასუხი.

მესამეს ჰკითხა: ყველაზე უფრო ეშმაკი ცხოველი?

– ის, რომელიც ადამიანს ჯერ არ უნახავს.

მეოთხეს ეკითხება: რატომ წააქეზე საბუ აჯანყებისათვის? საბუ იყო მაკედონელ დამპყრობთა წინააღმდეგ აჯანყებული ერთ-ერთი რაჯა, რომელიც ჯერ დამორჩილდა ალექსანდრეს, მერე კი, გიმნოსოფისტთა რჩევით, განუდგა აზიის დამპყრობელს.

– იმიტომ წავაქეზეთ საბუ, რომ იგი ისევე სახელოვნად მომკვდარიყო, როგორც ცხოვრობდა.

– თქვენი აზრით, დღე წინ იყო თუ ღამე? – ჰკითხა მეხუთეს.

– დღე წინ იყო, ერთი ღამით.

მეექვსეს: ყველაზე უკეთ როგორ შეიძლება სხვების სიყვარულის დამსახურებაო?

– თუ შენ იქნები ყველაზე ძლიერი, მაგრამ არა – ყველაზე საშინელი.

მეშვიდეს: როგორ შეიძლება ადამიანის ღმერთად გადაქცევაო?

– ამისათვის საჭიროა მხოლოდ იმის გაკეთება, რაც ადამიანს არ შეუძლია.

მერვეს: რა უფრო ძლიერია, სიკვდილი თუ სიცოცხლეო?

– სიცოცხლე, რადგან მას მრავალი ტანჯვის მოტანა შეუძლია.

დაბოლოს: როდემდე უნდა იცოცხლოს ადამიანმაო?

– მანამდე, სანამ მისი სიკვდილი სიცოცხლეზე უკეთესი იქნება.

საშიში შეთავაზება

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში სტუმრობის დროს, ედუარდ შევარდნაძემ ღუმელთან ახლოს მისვლა მოინდომა, მაგრამ ცეცხლის ნაპერწკლები ცვიოდა და დაცვის თანამშრომლებმა არ მიუშვეს. მაშინ პრეზიდენტი მის უკან მდგომ ჟურნალისტებს მიუბრუნდა და ღიმილით შესთავაზა:

– თქვენ შეგიძლიათ მიხვიდეთ.

ციცერონთან ვახშმობა

მარკუს ლიცინიუს კრასუსმა, რომელიც შორეულ სირიაში სალაშქროდ ემზადებოდა, უმჯობესად ჩათვალა, რომ სახელგანთქმული ორატორი მარკუს ტულიუს ციცერონი მისი მეგობარი ყოფილიყო და არა მტერი. ამ მიზნით, კრასუსმა პირფერობა დაუწყო და ერთხელაც ეუბნება ციცერონს, შენთან ვახშმობა მწადიაო. ციცერონმა ხალისით მიიღო სტუმარი.

რამდენიმე დღის შემდეგ კრასუსმა სიტყვა ჩამოუგდო ციცერონს ვინმე ვიტინიუსზე, რომელიც ორატორს მტრად ჰყავდა გადაკიდებული და ეუბნება: შენთან შერიგება და მეგობრობა უნდაო.

– როგორ, – წამოიძახა ციცერონმა, – ვიტინიუსსაც ხომ არ უნდა ჩემთან ვახშმობა?

ლუი მეთოთხმეტის ლექსები

საფრანგეთის მეფე ლუი მეთოთხმეტე ხანდახან მეტად უხეირო ლექსებს წერდა. ერთხელ თავისი ნამოღვაწარი ცნობილ პოეტს, ბუალოს წაუკითხა და ჰკითხა:

– აბა, რას იტყვით, ძვირფასო თანამოკალმევ?

ბუალომ პირმოთნედ უპასუხა:

– თქვენთვის შეუძლებელი არაფერია, თქვენო უმაღლესობავ. აი, აზრად მოგივიდათ, უხეირო ლექსები შეგეთხზათ და ესეც შეუდარებელი ოსტატობით გააკეთეთ.

ორი მხედართმთავრის გასაჭირი

ვატერლოოს ბრძოლის დროს რომ შესაღამოვდა, ორივე მებრძოლ მხარეს გაუჭირდა. მარცხენა ფრთამ დახმარება სთხოვა ინგლისელთა ჯარის მთავარსარდალ ველინგტონს.

– აღარავინ მყავს, – უპასუხა ველინგტონმა, – დაიხოცნენ და ფეხს ნუ მოიცვლიან!

იმავდროულად მარშალმა ნეიმ სთხოვა ფრანგთა იმპერატორს მაშველი ჯარით დახმარება.

– საიდან გავაჩინო, – შეჰყვირა ნაპოლეონმა, – ჯარისკაცებს მე ხომ ვერ გამოვჩეკავ?!

ჯანმრთელი პრეზიდენტი

იმერეთის გუბერნატორის თქმით, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ქუთაისში ვიზიტს იგი თურმე ორი წელი ელოდა. მინდოდა ყველაფერი საკუთარი თვალით გეხილათო, თქვა მან და პრეზიდენტის მისამართით მცირე საყვედურიც გამოთქვა: „ადრე ხშირად ჩამოდიოდით ამ მხარეში, ბაღდათში, საირმეში ისვენებდით, ახლა დიდი ხანია არ ყოფილხართ...“

„ეს ჯანმრთელობის სიმტკიცის ნიშანია“ – შეაწყვეტინა პრეზიდენტმა.

ჯამბაზები

1805 წელს ეგვიპტის ხელისუფლების სათავეში მოექცა მაკედონელი არნაუტი მუჰამედ-ალი. მან ძალაუფლებისაკენ მიმავალ გზაზე ჩამოიცილა ყველა მოწინააღმდეგე. მოსვენებას უკარგავდა მხოლოდ უმამაცესი ქართველი მამლუქი ალ-ალფი, რომელიც ზედიზედ ამარცხებდა მის ჯარებს.

მხოლოდ მაშინ, როდესაც ალ-ალფი მოულოდნელად გარდაიცვალა, მუჰამედმა შვებით ამოისუნთქა და განაცხადა, ამიერიდან, მართლაც ვარ ეგვიპტის გამგებელიო და დაამატა: „მე და ალ-ალფი ერთსა და იმავე თოკზე, მოპირდაპირე მხარეებზე მოსიარულე ჯამბაზები ვიყავით“.

1811 წლის 11 მარტს მუჰამედმა კაიროს მახლობლად, მუკატამის მთაზე, სისხლიანი აღლუმი მოუწყო და ხელის ერთი დაკვრით გაანადგურა ქართველი მამლუქები, რითაც დასასრული დაუდო მათ რამდენიმესაუკუნოვან ბატონობას ეგვიპტეში.

დიოკლეტიანეს კომბოსტო

305 წლის 1 მაისს რომის იმპერატორმა გაიუს ავრელიუს ვალერიუს დიოკლეტიანემ ყველასათვის მოულოდნელად მოიხსნა უმაღლესი ხელისუფლების ინსიგნიები, დატოვა „მარადიული ქალაქი“, თავის მშობლიურ ილირიაში განმარტოვდა და მებოსტნეობას მიჰყო ხელი. ახლობლები და პირფერი კარისკაცები დაჟინებით ურჩევდნენ გადამდგარ იმპერატორს, დაბრუნებულიყო და კვლავ აეღო მსოფლიო იმპერიის მბრძანებლის კვერთხი. ერთხელაც მისმა მემკვიდრეებმა – გალერიუსმა და მაქსიმილიანემაც სთხოვეს ხელისუფლებაში დაბრუნება, მაგრამ გაჯიუტებულმა ექსიმპერატორმა ღიმილით უპასუხა მათ:

– თქვენ რომ გაჩვენათ კომბოსტო, რომელიც მე ჩემი საკუთარი ხელით დავთესე და მოვიყვანე, ამგვარ წინადადებას აღარ შემომთავაზებდით.

გონება და ყბები

– რატომ მაქვს მე ჭაღარა თავი და შავი წვერი, თქვენ კი შავი თმა და ჭაღარა წვერი? – ჰკითხა კარდინალმა რიშელიემ მკურნალ დელოურს.

– ადვილი მისახვედრია, – უპასუხა მკურნალმა, – თქვენს უგანათლებულესობას გონებით უფრო მეტი უშრომია, მე კი ყბებით უფრო მეტი მიმუშავია.

კალონის ფინანსები

– როგორ გეყოთ გამბედაობა, სამეფო ფინანსების მართვა-გამგეობა გეკისრათ, როცა თქვენი პირადი საქმეებისთვისაც კი ვერ მოგივლიათ? – ჰკითხეს საფრანგეთის ფინანსთა გენერალურ კონტროლიორს შარლ ალექსანდრ კალონს.

– სწორედ ამიტომაც მოვკიდე ხელი სამეფო ფინანსების მართვას, რომ საკუთარი ფინანსები მეტისმეტად ამეწეწა – უპასუხა კალონმა.

ბისმარკის ბანკირი

საფრანგეთ-პრუსიის მოლაპარაკებებს კონტრიბუციის შესახებ ესწრებოდა კანცლერ ოტო ფონ ბისმარკის მიერ მოწვეული ბანკირი ბრეიხრედერი. დამარცხებული საფრანგეთის მხარეს ჟიულ ფავრი წარმოადგენდა. იგი ძალიან ღელავდა, რადგან პრუსიელები ხუთმილიონიან კონტრიბუციას ითხოვდნენ. რომ დაემტკიცებინა, რამდენად შეუძლებელი იყო საფრანგეთისთვის ასეთი მძიმე კონტრიბუციის გადახდა, ფავრმა წამოიძახა:

– არა, თუნდაც ქრისტეს დაბადებიდან დაიწყოთ და დღევანდლამდე თვალოთ, ამ ციფრამდე მაინც ვერ მიაღწევთ.

– ნუ სწუხხართ, სწორედ ამისათვის მოვიწვიეთ ეს ბატონი, – მიუგო ბისმარკმა და ბანკირ ბრეიხრედერზე მიუთითა, – იგი ქვეყნიერების შექმნიდან ითვლის.

ალექსანდრე და მისი სარდალი

სამხედრო თათბირზე ერთ-ერთი სარდალი ალექსანდრე მაკედონელს დაჟინებით ურჩევდა, მიეღო საზავო პირობები, რომელსაც სპარსეთის მეფე დარიოს III სთავაზობდა მაკედონელებს. ეს პირობები მართლაც ხელსაყრელი იყო ალექსანდრესთვის: იგი იღებდა სპარსეთის იმპერიის თითქმის ნახევარს და 10 000 ტალანტს. გარდა ამისა, დარიოსი მაკედონელთა მეფეს ცოლად სთავაზობდა თავის ერთ-ერთ ქალიშვილს, სამხედრო კავშირს და მეგობრობას. ზავი იმიტომაც ჩანდა მომგებიანად, რომ მაკედონელთა არმია დაღლილ-დაქანცული იყო, ხოლო მოსალოდნელი ბრძოლები მეტად საშიში და შედეგებით გაურკვეველი მოჩანდა.

ამიტომაც ეუბნებოდა პარმენიონი მეფეს:

– მე რომ ალექსანდრე ვიყო, ამჟამად შექმნილ ვითარებაში მივიღებდი ამ საზავო პირობებს და არ მივანდობდი თავს შემდგომ ხიფათსა და ომის ცბიერ ბედს.

– მე რომ პარმენიონი ვიყო, – მიუგო მაკედონელთა მეფემ

თავის სარდალს, – მეც ასე მოვიქცეოდი. მაგრამ, რადგანაც ალექსანდრე ვარ და არა პარმენიონი, ასე მოქცევა არ შემიძლია.

მთავარია სიმშვიდე

მარენგოსთან ბრძოლის დროს ცუდად იყო ფრანგების საქმე. გამარჯვების სასწორი საცაა ავსტრიელების მხარეს უნდა გადახრილიყო. ამგვარ ვითარებაში შეშფოთებულმა გენერალმა ბერტიემ აღელვებით მოახსენა ნაპოლეონს საბრძოლო პოზიციების არევ-დარევის შესახებ.

– გენერალო, – შენიშნა იმხანად საფრანგეთის პირველმა კონსულმა და მთავარსარდალმა, – შეეცადეთ, ასეთ დროს გულცივად ილაპარაკოთ ხოლმე.

სად ეგონა ბრეჟნევს თავი?

ბრეჟნევი სამჯერ იყო საქართველოში, მათ შორის, მესამედ – გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1981 წელს. საბჭოთა საქართველოს კომუნისტმა ლიდერმა ედუარდ შევარდნაძემ დიდი პატივი სცა სტუმარს.

ვიზიტის დასასრულს, ბრეჟნევს რესპუბლიკის მთელი ხელმძღვანელობა აცილებდა. იგი თვითმფრინავის ტრაპთან იდგა. შევარდნაძე მაგრად მოეხვია კრემლის პატრონს, როგორც ბესიკ ფიფია გადმოგვცემს, ცრემლიც კი მოუვიდა, ხოლო ბრეჟნევი ნამდვილად ატირდა და შევარდნაძეს მიმართა:

„გმადლობ, ძვირფასო გეიდარ, შენი სტუმართმოყვარეობისათვის, ამას არასოდეს დავივიწყებ!".

გეიდარ ალიევი ხომ საბჭოთა აზერბაიჯანის პარტიული ლიდერი გახლდათ.

ფელდმარშლის საფულე

ფელდმარშალ მოლტკეს ერთი ჩვეულება ჰქონდა: ოფიცერთა საკრებულოში შევიდოდა, წინ დაიდებდა ხოლმე ოქროთი

გატენილ ქისას და გუნებაში გადაწყვეტილი ჰქონდა, საფულე იმ ოფიცრისათვის მიეცა, რომლისგანაც საქმიან და ჭკვიანურ ლაპარაკს გაიგებდა.

მოხუცმა 90 წელზე მეტხანს იცოცხლა და ამბობენ, ისე მიიცვალა 1891 წელს, საფულე გაუხსნელი დარჩაო.

ფრანკლინი და შვილიშვილი

ცნობილი ამერიკელი დიპლომატი ბენჯამინ ფრანკლინი საფრანგეთში ელჩად ყოფნის დროს ლიტერატურულმა საზოგადოებამ თავის სხდომაზე მიიწვია. ფრანკლინმა ფრანგული ენა კარგად არ იცოდა და გადაწყვიტა, ტაში მაშინ დაეკრა, როცა სხვები დაუკრავდნენ. სხდომის შემდეგ შვილიშვილმა, რომელიც მას ახლდა, ჰკითხა:

— რა მოგივიდა ბაბუა, ყველაზე მეტად მაშინ უკრავდი ტაშს, როცა შენ გაქებდნენ.

არც უნდოდათ და არც იცოდნენ

ცნობილი ბერძენი კანონმდებელი ლიკურგე თანამოქალაქე სპარტელებს ურჩევდა, ერთსა და იმავე მტერზე ხშირად არ ელაშქრათ, რათა უკანასკნელნი თავდაცვაში არ გაწაფულიყვნენ.

ამიტომ იყო, რომ შემდგომ, წერს პლუტარქე, მეტისმეტად კიცხავდნენ მეფე აგესილაეს, რომელმაც ბეოტიაში ხშირად ლაშქრობებითა და თავდასხმებით თებელები სპარტელთა მსგავს მეომრებად აქცია. თებელებთან ბრძოლაში დაჭრილი მეფე აგესილაე რომ იხილა, სპარტელმა სახელმწიფო მოღვაწე ანტალკიდამ მას უთხრა:

— კარგი ჯილდო კი მიიღე თებელებისგან, რომლებსაც მაშინ ასწავლე ბრძოლა, როცა ეს არც უნდოდათ და არც იცოდნენ.

იმპერატორის ძმა

ერთმა დიდმოხელემ იმპერატორ ვესპასიანეს მოახსენა: ჩემი ძმა მოგიყვანე, უსამსახუროდ არის და ძალიან გთხოვ, რომელიმე პროვინციის მმართველად დანიშნოთო.

ვესპასიანემ იცოდა, რომ ამ მოხელეს ძმა არ ჰყავდა. ამიტომ უთხრა: შენ ცოტა ხანს გარეთ გადი და შენი ძმა შემოაგზავნეო. როგორც კი უცნობი იმპერატორთან შევიდა, ვესპასიანემ უჩურჩულა:

– რამდენსაც მაგ მოხელეს დაპირდი თანამდებობისთვის, ის თანხა მე მომეცი და ახლავე დაგნიშნავ მაგ ადგილზე.

მთხოვნელმა იქვე ჩაუთვალა ფული იმპერატორს და დაპირებული თანამდებობაც მიიღო.

ხოლო თავის დიდმოხელეს ვესპასიანემ უთხრა:

– ეგ კაცი ჩემი ძმა აღმოჩნდა, შენ კი სხვა ძმა მოძებნე.

ახალგაზრდა ტალეირანი

– რატომ ხართ ასე ნაღვლიანი? – ჰკითხა ერთხელ ლუი XV-ის ფავორიტმა, მადამ დიუბარიმ ტალეირანს, – ნუთუ არც ერთი სამიჯნურო თავგადასავალი არ გაგაჩნიათ?

მაშინ საფრანგეთის მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი შარლ მორის დე ტალეირან პერიგორი ჯერ კიდევ ახალგაზრდა გახლდათ.

– ეჰ მადამ, პარიზი ისეთი ქალაქია, სადაც გაცილებით იოლი საშოვნია ქალი, ვიდრე კარგი სააბატო (ე. ი. თანამდებობაო).

სპარტელი და უცხოელი

პლუტარქე ირწმუნება, რომ ძველმა სპარტელებმა არ იცოდნენ, რა იყო მრუშობა. ერთმა უცხოელმა სპარტელ გერადას ჰკითხა, რითი სჯიან მრუშებს თქვენს ქვეყანაშიო?

– ჩვენში, უცხოელო, მრუში არაა, – მიუგო სპარტელმა.

– კი მაგრამ, რომ აღმოჩნდეს, მაინც? – დაიჟინა უცხოელმა.

– მაშინ ჯარიმად გადაიხდის იმხელა ხარს, რომელიც ტაიგეტის მწვერვალიდან თავს გადმოყოფს და მდინარე ევროტში წყალს დალევს.

– მერედა, სად ნახულა ამხელა ხარი? – გაუკვირდა უცხოელს.

– მაშ ვის უნახავს სპარტაში მრუში? – მიუგო გერადამ.

პალმერსტონის პასუხი

ბალკანეთის ომების დროს რუსეთის ერთ-ერთმა მეფისწულმა ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეს სთხოვა, ინგლისი დახმარებოდა ბალკანელებს. უელსის პრინცმა ეს თხოვნა გადასცა თავისი ქვეყნის მაშინდელ პრემიერმინისტრ ლორდ პალმერსტონს, რომელმაც, თავის მხრივ, რუსეთის მეფისწულს განუცხადა:

– ბედნიერი ვარ, დაგარწმუნოთ ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის გულკეთილობაში, მაგრამ, ამავე დროს, გაცნობებთ, რომ თვით ინგლისს გული არა აქვს.

უცოლო სტრატეგი

ძველ სპარტაში უცოლობა საძრახისად ითვლებოდა. სახელოვანი სტრატეგი დერკოლიდა, რომელიც უცოლო იყო, ერთ თავყრილობაზე შევიდა. მას ადგილი არ დაუთმო ერთმა ახალგაზრდამ და უთხრა:

– შენ ჯერ არავინ გაგიჩენია ქვეყანაზე, რომ შემდგომ მე დამითმოს ადგილი.

ბუცეფალი

ალექსანდრე მაკედონელმა თავისი პორტრეტის დახატვა დაავალა ცნობილ აპელევსს. მხატვარმა შეასრულა მეფის ბრძანება, მაგრამ ალექსანდრემ დაიწუნა ნახატი, მე არ მგავსო.

იმ ადგილზე, სადაც ნახატი იყო გამოფენილი, ალექსანდრეს

უსაყვარლესი ცხენი ბუცეფალი ჩაატარეს. ცხენმა ჭიხვინი ატეხა. მაშინ აპელევსმა ალექსანდრეს უთხრა:

– დიდო მბრძანებელო, თქვენი ცხენი ხელოვნების უკეთესი მცოდნე აღმოჩნდა, ვიდრე თქვენ.

„დაპყრობილი“ მწვერვალი

ედუარდ შევარდნაძემ ქუთაისში ყოფნის დროს სპეციალური დიპლომებით დააჯილდოვა ის ახალგაზრდები, რომლებმაც პრეზიდენტის იუბილეს დღეებში ედუარდ შევარდნაძის სახელობის პიკი დაიპყრეს.

– მაგ მწვერვალზე მეც ვიყავი ახალგაზრდობისას, მაგრამ ეს ფაქტი არ დამიფიქსირებია, – იხუმრა პრეზიდენტმა.

იმპერატორის ქანდაკება

იმპერატორ ვესპასიანესთან გამოცხადდნენ პროვინციული ქალაქის წარმომადგენლები და მოახსენეს, გადაწყვეტილი გვაქვს, ჩვენს ქალაქში იმპერატორის ძვირფასი მონუმენტი დავდგათ, რისთვისაც ნებართვას ვითხოვთო.

ვესპასიანემ ხელისგული გაუწოდა მათ და უთხრა:

– ძალიან გთხოვთ, ეგ ქანდაკება ამ პიედესტალზე დადგით.

მარიუსის რჩევა

ცნობილი რომაელი სარდალი გაიუს მარიუსი პონტოს სახელგანთქმულ მეფეს მითრიდატე VI ევპატორს ურჩევდა:

„ან შეეცადე რომაელებზე ძლიერი იყო, ან უსიტყვოდ შეასრულე მათი ბრძანებანი“.

ვოლტერის წერილი

მარი ფრანსუა არუე ვოლტერის მსახურმა წერა-კითხვა არ იცოდა. ერთხელ მან თავის ბატონს სთხოვა, სოფელში ჩემს ნათესავებთან გასაგზავნი წერილი დამიწერეთო. წერა რომ დაამთავრა, ვოლტერმა ხმამაღლა წაუკითხა მსახურს წერილი და ჰკითხა:

– კიდევ ხომ არ დავუმატო რამე?

– დიახ, ბატონო, – უპასუხა მსახურმა, – მისწერეთ, რომ ბოდიშს ვუხდი ასეთი სულელური სტილისათვის და რომ წერილის ავტორი თქვენ ბრძანდებით.

ცუდი პერსპექტივა

როცა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა გამწვავდა, დიდმა ბრიტანეთმა, რა თქმა უნდა, ამერიკის მხარე დაიჭირა და მოსალოდნელი კონფლიქტის დროს საკუთარი აეროდრომები შესთავაზა სამხედრო თვითმფრინავების დასასხდომად.

ნიკიტა ხრუშჩოვმა გადაწყვიტა, ბრიტანეთის ხელმძღვანელობას შეხვედროდა, მაგრამ ინგლისელებმა თავაზიანი უარი განაცხადეს უმაღლესი დონის შეხვედრაზე.

მაშინ საბჭოთა ლიდერი ჩაჯდა კრეისერ „ორჯონიკიძეში“, რომელიც პირდაპირ ბრიტანეთის სანაპიროებს მიადგა. ინგლისელები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: არც უკან დახევა უნდოდათ, არც მათ ცხვირწინ მყოფი ხრუშჩოვის იგნორირება შეიძლებოდა. მაშინდელ პოპულარულ გამოთქმას თუ დავესესხებით, გვიანღა იყო „ბორჯომის“ დალევა, ეს არ უშველიდათ.

საპატიო გამოსავალი თვით ხრუშჩოვმა უკარნახა ინგლისელებს: მან სურვილი გამოთქვა, შეხვედრა ქვეყნის პარლამენტში შემდგარიყო. პარლამენტში საბჭოთა ხელმძღვანელმა ბრიტანელებს თავისი აზრი გაუზიარა:

თუ ინგლისელები ამერიკელებს დაეხმარებოდნენ მოსალოდნელ სამხედრო კონფლიქტში, მაშინ აღარაფერი დარჩე-

ბოდა არა მარტო ინგლისისგან, არამედ იმ კუნძულებისაგანაც რომლებზეც ეს ქვეყანა მდებარეობდა.

მეორე დღეს შედგა საბჭოთა და ბრიტანეთის ხელისუფალთა უმაღლესი დონის შეხვედრა.

დიაგნოზების სიმრავლე

რომის იმპერატორს მარკუს ურპიუს ტრაიანეს ეკუთვნის მედიკოსებისათვის არცთუ საამაყო კალამბური, თანაც სიკვდილის წინ თქმული:

„მე ვკვდები იმის შედეგად, რომ ექიმებს ჩემი ავადმყოფობის გამო სხვადასხვა აზრი ჰქონდათ“.

მსახიობის მოთხოვნა

საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად, როგორც ვიცით, საფრანგეთმა დაკარგა ელზასი და ლოტარინგია. ომის შემდეგ ფრანგმა მსახიობმა კოკლენმა ბერლინიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც სთხოვდნენ, გერმანიაში ჩასულიყო და მონაწილეობა მიეღო რამდენიმე სპექტაკლში. დეპეშის ბოლოს ეწერა:

„გთხოვთ, სასწრაფოდ შეგვატყობინოთ, რას ითხოვთ სპექტაკლებში მონაწილეობისათვის?“

კოკლენმა დეპეშითვე უპასუხა:

„ელზასსა და ლოტარინგიას“.

დაპატიმრება უცოდინროებისთვის

მარშალი პელისიე არ იყო ცნობილი ზრდილობით. ხშირად ის საშინლად გაანჩხლდებოდა ხოლმე და უმართებულოდაც ექცეოდა ოფიცრებს. ერთხელ, ალჟირში ყოფნისას, ისე გაცეცხლდა, რომ მათრახი სახეში შემოჰკრა ოფიცერს. ამ უკანასკნელმა დამბაჩა ამოიღო და მხედართმთავარს ესროლა, მაგრამ რევოლვერმა უმტყუნა და არ გავარდა.

მაშინ პელისიემ ბრძანა, ოფიცერი დაეპატიმრებინათ და განაცხადა:

„ვაპატიმრებ იმიტომ, რომ იარაღის მოვლა-პატრონობა და მოხმარება არ სცოდნია“.

უკანასკნელი გამარჯვება

ინგლისელმა ადმირალმა ჰორაციო ნელსონმა ტრაფალგარის საზღვაო ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ სასიკვდილოდ დაიჭრა. გამარჯვებული ადმირალის უკანასკნელი სიტყვები იყო:

„დაბოლოს, მეც მომკლეს“.

დავჯილდოების მიზეზი

რომელიღაც დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით, იმპერატორმა პავლე პირველმა გრაფ როსტოპჩინს მოაგონა, რომ საჭირო იყო ჯილდოების გაცემა. გრაფმა იმპერატორის ყურადღება მიაქცია ანდრეი რაზუმოვსკის, რათა ისიც დაეჯილდოებინათ. რაზუმოვსკი იმხანად ელჩის მოვალეობას ასრულებდა ვენაში.

მაგრამ ეს უკანასკნელი სასიყვარულო ძაფებით იყო დაკავშირებული რუსეთის იმპერატორის პირველ მეუღლესთან, ნატალია ალექსეევნასთან. ეს ამბავი პავლემაც იცოდა, ამიტომაც მოულოდნელობისაგან შეცბა, შემდეგ ხელებით თავზე რქები გამოსახა და როსტოპჩინს შეუტია, ნუთუ შენ არ იცი ეს ამბავიო?

როსტოპჩინმა იგივე მოძრაობა გაიმეორა და უპასუხა:

— სწორედ მაგისთვის არის საჭირო რაზუმოვსკის დაჯილდოება, რომ მომხდარი რომანის შესახებ არ ილაპარაკონ.

„მზრუნველი“ ბებია

რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ს ძალიან სურდა, მისი შვილიშვილი და ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე ბავშვობაშივე

განაფულიყო სამხედრო საქმეში. ამ მიზნით, სხვა ღონისძიებებთან ერთად, რომელთა მიზანიც იყო პატარა უფლისწულის მეომრული აღზრდა, მისი გაღვიძებისთანავე, სისხამ დილით ზარბაზნებს აქუხებდნენ ხოლმე.

ეკატერინესთვის მოულოდნელად, ზარბაზნების ყოველდღიურმა ზალპებმა სხვა სამწუხარო შედეგი გამოიღო – უფლისწული თითქმის დაყრუვდა.

ძველი მტრები

პლუტარქე თავის უკვდავ „პარალელურ ბიოგრაფიებში" მოგვითხრობს: „ლუსკულუმის ახლოს ლუკულუსს ჰქონდა აგარაკები, მაღალი კოშკები, საიდანაც ყველაფერი შესანიშნავად მოსჩანდა, მრავალი ღია დარბაზი და სასეირნო ხეივნები. პომპეუსმა, რომელიც ერთხელ იყო აქ, ლუკულუსს უსაყვედურა:

– საზაფხულოდ მშვენიერი სახლებია, მაგრამ ზამთარში აქ ყოფნა ყოვლად შეუძლებელი იქნება.

ლუკულუსს ამაზე გაეცინა და უპასუხა:

– იქნებ გგონია, წეროებსა და ყარყატებზე ნაკლები ჭკუა მაქვს და წლის დროთა მიხედვით საცხოვრებელ სახლს არ გამოვიცვლი?

ფილიპეს თავმდაბლობა

ფილიპე მაკედონელი ძალიან ამაყობდა ქერონეასთან ბრძოლაში ათენელებზე მოპოვებული გამარჯვებით, მაგრამ ცდილობდა, როგორმე თავი მოეთოკა. მისი ბრძანებით, ერთ-ერთ მონა-მსახურს დავალებული ჰქონდა, ყოველდღე გაეფრთხილებინა მაკედონიის მეფე, რომ იგი სავსებით ჩვეულებრივი ადამიანი იყო და მეტი არაფერი.

დილას სამჯერ ამგვარი გაფრთხილებით იწყებდა ყოველდღიურ ცხოვრებას ფილიპე მაკედონელი, მამა ალექსანდრესი, რომელმაც ღმერთად გამოაცხადა თავი.

დეუს პერდიდი

იმპერატორი ტიტუსი დღეს არ გაუშვებდა ისე, რომ მთხოვნელები არ მიეღო, ვინმესთვის არ დაეყვავებინა, ვინმეს არ დახმარებოდა, ან არ დაპირებოდა მაინც რაიმეს. როცა მას საყვედურობდნენ, რომ იმაზე მეტს ჰპირდებოდა, ვიდრე შეეძლო, იგი პასუხობდა: იმპერატორთან საუბრის შემდეგ არავინ არ შეიძლება მწუხარე დარჩესო.

ერთხელ, როცა სადილობის დროს ტიტუსს გაახსენდა, რომ მთელი დღის განმავლობაში არავისთვის გაეკეთებინა კარგი საქმე, მაშინ წარმოთქვა ცნობილი სიტყვები: „ჩემო მეგობრებო, მე დღევანდელი დღე დავკარგე“ („დაკარგული დღე“ – დეუს პერდიდი“).

ტეხასელთა მისალმება

აშშ-ის პრეზიდენტ ჯონ კენედის ჩასვლას ტეხასის შტატში, დალასში, ამ ქალაქის ცენტრალური გაზეთი „დალას მორნინგ ნიუსი“ ამგვარი მისალმებით შეხვდა:

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მისტერ კენედი, იმ ქალაქში, რომელმაც ჯერ კიდევ 1960 წელს თქვენი არჩევის დროს უარყო თქვენი ფილოსოფია და პოლიტიკა, და კიდევ უფრო გადაჭრით, თავგამოდებით, სრული ზიზღით უარყოფს მას 1964 წელს“.

კრომველის სკეპტიციზმი

ოლივერ კრომველის მეგობრებმა შენიშნეს, თუ რამდენად აღფრთოვანებული იყო ხალხი მისი პიროვნებით და მიუთითეს მის შესახვედრად გამოსულ მრავალრიცხოვან მოსახლეობაზე. კრომველმა ღიმილით უპასუხა მეგობრებს:

– ეგენი უფრო მეტნი იქნებოდნენ, ჩამოსახრჩობად რომ მივყავდე.

ალავერდი-ხანის განსასვენებელი

თურმე ალავერდი-ხანმა, მრისხანე შაჰ-აბასის სახელგანთქმულმა მთავარსარდალმა, მოხელეს, რომელსაც მისთვის დასაკრძალავი აკლდამის გაკეთება ჰქონდა დავალებული, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ჰკითხა, რა მდგომარეობაში იყო მისი საუკუნო განსასვენებლის მშენებლობა. მოხელემ გულუბრყვილოდ უპასუხა:

– მაღალი გუმბათი და აივანი, რომელიც დასამარხ ადგილად არის განკუთვნილი, სრულყოფილი სახით დასრულდა და თქვენს მობრძანებას ელის.

ეს ალავერდი-ხანი ნარმოშობით გამაჰმადიანებული ქართველი იყო, გვარად უნდილაძე. მასზე ამბობდა სწორედ შაჰ-აბასი: მთელი ირანი მე მემორჩილება, მე კი ალავერდი-ხანს ვემორჩილებიო.

არქიმედეს უკანასკნელი სახვეწარი

ძვ. წაღ. 212 წელს რომაელებმა, როგორც იქნა, აიღეს სიცილიის ქალაქი სირაკუზი. ქალაქი დიდი ხნის განმავლობაში ვაუკაცურად უმკლავდებოდა მომხდურთა ალყას. სირაკუზის დაცვას ხელმძღვანელობდა დიდი ბერძენი მათემატიკოსი და ფიზიკოსი არქიმედე, რომელიც შეეწირა კიდეც ბრძოლას. პლუტარქე მისი სიკვდილის რამდენიმე ვარიანტს გადმოგვცემს.

ერთის მიხედვით, დიდი მეცნიერი ისე ყოფილა გატაცებული ნახაზზე მუშაობით, რომ ქალაქის დაცემა ვერ გაუგია. მის წინ მოულოდნელად აღმართულმა რომაელმა მეომარმა უბრძანა, ჯარის უფროსთან გაჰყოლოდა, რაზეც არქიმედეს განუცხადებია, სანამ ამ ამოცანას არ ამოვხსნი და პასუხს არ მივიღებ, ვერსად ვერ გამოგყვებიო.

მეორე ვერსიის მიხედვით, როცა მახვილგაშიშვლებული რომაელი მეომარი მივარდა, არქიმედემ ხვეწნა-მუდარა დაუწყო, ცოტა დამაცადე, დასმული საკითხი გადავწყვიტოო.

სასიამოვნო ინფორმაცია

ბავარიის იუსტიციის მინისტრმა ფილიპ ჰელდმა კორესპონდენტებს განუცხადა: „ჩვენ დიდად ვზრუნავთ პატიმრებზე. ამას წინათ ერთ-ერთ საპატიმროს საექსპლუატაციოდ გადაეცა ახალი შენობა და სიამოვნებით გაუწყებთ, რომ დღეს იქ თავისუფალი ადგილი აღარ არის".

მამლუქები და ფრანგები

ფრიდრიხ ენგელსი თავის „ანტიდიურინგში" არჩევს რა რაოდენობრივი კატეგორიის თვისობრივში გადაზრდის პრობლემას, მოჰყავს ნაპოლეონის აზრი სახელგანთქმული მამლუქების ინდივიდუალურ სამხედრო მამაცობაზე და მასთან შედარებით ევროპული სამხედრო ორგანიზაციის უპირატესობაზე.

გავიხსენოთ, რას წერდა ნაპოლეონი: ორი მამლუქი აუცილებლად სჯობს სამ ფრანგს; ასი მამლუქი 100 ფრანგს უდრის; სამასი ფრანგი ჩვეულებრივად სჯობს სამას მამლუქს, ხოლო 1000 ფრანგი ყოველთვის ამარცხებს 1500 მამლუქს.

პრემიერმინისტრის მეუღლე

დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის, მარგარეტ ტეტჩერის ქმარი დენის ტეტჩერი მორჩილად ასრულებდა მოდიასახლისო ოჯახის უფროსის მოვალეობას. ერთხელ მას საფულე სახლში დარჩა და დოკუმენტის გარეშე სცადა ბანკიდან საკრედიტო ბარათის გამოტანა. მან ბანკის თანამშრომელს აუხსნა, რომ პრემიერმინისტრის მეუღლეა, სახლში დარჩა დოკუმენტები და თუ შეიძლება, გამონაკლისის სახით მისცენ საკრედიტო ბარათი და ა. შ.

მაგრამ ბანკის თანამშრომლებმა მას ზრდილობიანად აუხსნეს, რომ მისი პასპორტის ფოტო არც ისე ჰგავდა გაზეთებში გამოქვეყნებული დენის ტეტჩერის ფოტოებს და არ შეეძლოთ საკრედიტო ბარათის გაცემა სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.

მარგარეტის მეუღლეს მეორე ასეთი შემთხვევაც ჰქონდა. ერთხელ, როცა ტაქსი დროზე ვერ გააჩერა, დევის ტეტჩერი ავტობუსში ჩაჯდა, რომელიც, მისთვის მოულოდნელად, ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიერ დაქირავებული აღმოჩნდა. მალე ავტობუსში საავადმყოფოს პაციენტები ამოვიდნენ და მედდაც ამოჰყვა, რომელმაც პაციენტების რაოდენობის შემოწმების მიზნით მათი გადათვლა დაიწყო. დევისს რომ მიადგა, მედდამ ჰკითხა: „თქვენ ვინღა ხართ?“.

– მე პრემიერმინისტრის მეუღლე ვარ.

მედდამ თავი გადააქნია და პაციენტების გადათვლა განაგრძო.

ასურეთის მეფის კრედო

ასურეთის მითიური მეფის, სარდანაფალის საფლავს თითქოსდა ჰქონდა წარწერა: „გემრიელად ვჭამდი, ტკბილად ვსვამდი და გულიანად ვმხიარულობდი, სხვა დანარჩენს კი არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი“.

გულნატკენი მხედართმთავარი

რომაელი მხედართმთავრის, პუბლიუს კორნელიუს სციპიონ აფრიკელის საფლავის ლოდს, კაცისას, რომელმაც შემუსრა რომის უსაშინლესი მტერი ჰანიბალი, თურმე ეწერა: „უმადურო სამშობლოვ, შენ ვერ მიიღებ ჩემს ძვლებს“.

სციპიონს ბრალი დასდეს ქრთამის აღებაში. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი რომის კოლონია ლიტერნეში გადასახლდა, იქ ცხოვრობდა, იქვე დაასაფლავეს და არა რომში, თავის სამშობლოში.

შეურაცხყოფილი ალექსანდრე

ელიანე წერს: „არ შემიძლია არ გამეცინოს ალექსანდრეზე, ფილიპეს შვილზე. როცა მან გაიგო, რომ დემოკრიტე თავის

თხზულებაში ლაპარაკობდა მრავალრიცხოვანი მსოფლიოების არსებობაზე, მან შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, რადგან ამ მსოფლიოთაგან ერთზეც კი არ მბრძანებლობდა. ღირს კი ლაპარაკი, როგორ დასცინებდა მას დიდი გამქირდავი დემოკრიტე?“.

ორაკულის ნინასწარმეტყველება

ვიდრე მდინარე ყიზილ-ირმაკს ანუ ჰალისს გადალახავდა, ლიდიის მეფე კრეზემ მისან ორაკულს სთხოვა ეწინასწარმეტყველა მომავალი ომის ბედი. იგი სპარსელებთან საომრად მიემართებოდა. ორაკულმა უპასუხა:

– მდინარეზე კეთილად გადასვლას ერთი დიდი სახელმწიფოს დანგრევა მოჰყვება.

ასეც მოხდა – დამარცხების შემდეგ კრეზემ სახელმწიფო დაკარგა.

რწმენა და ხელისუფლება

როდესაც აბდ ალ-მალიქს ხალიფად გახდომის ამბავი შეატყობინეს, მან გვერდზე გადასდო ყურანი და თქვა:

„ამიერიდან ჩვენი გზები გაიყარა“.

იმპერატორის სიხარული

როცა ნიკოლოზ მეორის აღმზრდელმა და მასწავლებელმა დაასრულა ლექციების კურსის კითხვა, რუსეთის მომავალმა იმპერატორმა საზეიმო ტონით აღნიშნა თავის დღიურში:

„ღირსშესანიშნავი ფაქტი: ამიერიდან საბოლოოდ და სამუდამოდ შევწყიტე სწავლა“.

საპატიო და აუცილებელი

იულიუს კეისარს გზაში ავდარმა მოუსწრო და იძულებული გახდა, ერთ ღარიბულ ქოხში შეეფარებინა თავი. ქოხი პატარა წინკარისა და ერთი ოთახისაგან შედგებოდა, რომელიც ერთ კაცს თუ დაიტევდა ძლივს. მაშინ კეისარმა ოთახში მოსვენება თავის დაჭრილ მეგობარს, ოპიუსს შესთავაზა, თვითონ კი სხვებთან ერთად კარის წინ მოკალათდა, მეგობრებსა და ამალას კი მიმართა:

„საპატიო ადგილი ყოველთვის ძლიერებს უნდა დაეთმოთ, ხოლო აუცილებელი კი ავადმყოფებს“.

გულწასული თუ მძინარე მხედართმთავარი

მატიანე ირწმუნება, რომ, თითქოს, 1380 წელს გამართულ კულიკოვოს სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს დიმიტრი დონელს, რუსთა ჯარების მთავარსარდალს, ცნობა წაერთვა. იგი ხის ქვეშ მხოლოდ მაშინ იპოვეს გულწასული თუ მძინარე, როცა რუსთა მამაცმა მხედრობამ მამაის თათართა ურდოები უკვე გაანადგურა.

სტალინის საჩუქარი

1943 წელს სტალინი და ჩერჩილი ერთმანეთს რომ შეხვდნენ, როგორც ანტიჰიტლერული მოკავშირეები, თანმიმდევრულად იცავდნენ დიპლომატიურ ეტიკეტს, ურთიერთპატივისცემასაც ავლენდნენ, როგორც ღირსეული მოწინააღმდეგენი. იცოდა რა ბრიტანეთის პრემიერმინისტრის ბახუსური მიდრეკილებები, ერთ-ერთი სადილის დროს, რომელიც საბჭოთა საელჩოში მიმდინარეობდა, სტალინი დაინტერესდა, თუ რომელი კონიაკი უყვარდა ჩერჩილს. უკანასკნელმა დაუფიქრებლად უპასუხა:

– რა თქმა უნდა, ნამდვილი ხენესი.

სტალინმა შენიშნა, რომ ხენესის მირთმევაც შეიძლება, მაგრამ ის პირადად სტუმრისათვის რეკომენდაციას გაუწევდა ქართულ კონიაკ „ენისელს".

პრემიერმინისტრს გაუკვირდა:

– როგორი კონიაკი უნდა იყოს საქართველოში, მაშინ, როცა, საერთოდ, ამ სასმელის სახელი საფრანგეთთანაა დაკავშირებული?

– გასინჯეთ ქართული კონიაკი, ვფიქრობ, არ ინანებთ, – უთხრა სტალინმა.

ჩერჩილი უხალისოდ დათანხმდა, მაგრამ, როცა „ენისელი" გასინჯა, წამოიძახა:

– არასოდეს მსგავსი რამ არ დამილევია!

– მოგეწონათ? გპირდებით, რომ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გექნებათ „ენისელის" დალევის საშუალება.

გადმოგვცემენ, რომ 91 წლის ასაკში გარდაცვალებამდე, უინსტონ ჩერჩილი „ენისელს" მიირთმევდა, რომელსაც საბჭოთა კავშირიდან მას სტალინის სიკვდილის შემდეგაც უგზავნიდნენ.

ალექსანდრეს საბოლოო ხვედრი

ძველი ავტორების გადმოცემით, ალექსანდრე მაკედონელის საფლავს ამკობდა წარწერა: „ეს საფლავი საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, ვისაც არ ჰყოფნიდა მთელი სამყარო".

ვითომ ეს მართალია?

ამასაც გადმოგვცემენ, რომ რომის შვიდგზის კონსული გაიუს მარიუსი ლუციუს კორნელიუს სულასთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ, მას შემდეგ, რაც ბრძოლის დაწყების ბრძანება გასცა, ხის ქვეშ წამოწვა და დაიძინა. იგი მხოლოდ მისმა დამარცხებულმა და უკუქცეულმა თანამებრძოლებმა გააღვიძეს.

რა უფრო კარგია ქვეყნისთვის?

ინდოეთში ლაშქრობისას ალექსანდრესთან ალყაშემორტყმული ქალაქის ელჩები გამოცხადდნენ და ზავი ითხოვეს. მაკედონელთა მეფემ ისინი თავაზიანად მიიღო, ყველაზე უხუცესს – აკუფისს კი სთხოვა, ბალიშზე ჩამომჯდარიყო. აკუფისს მოეწონა ალექსანდრეს კეთილშობილური ქცევა და ჰკითხა:

– რის შესრულებას მოითხოვ ჩვენგან, რომ შენი მეგობრები გავხდეთ?

– შენმა ხალხმა თავის მმართველად შენ უნდა აგირჩიოს და ჩვენ ძველებურად ასი საუკეთესო ვაჟკაცი გამოგვიგზავნოს, – მიუგო მაკედონელმა.

– ხელმწიფევ, მე უფრო უკეთესად წარვმართავ ჩემს სამეფოს, თუ შენ ასი საუკეთესო ადამიანის მაგივრად ამდენივე არამზადას გამოგიგზავნი.

დუელი კარდინალის სიყვარულისთვის

ასეთ ფაქტსაც გვამცნობს ისტორია, რომ კარდინალ რიშელიეს სიყვარულის დაუფლებისათვის, ბულონის ტყეში დუელი ჰქონდა ორ არისტოკრატ მანდილოსანს – მადამ პოლინიაკსა და მადამ ნესლეს.

ყოველდღიური ბრძანება

მარშალმა ლიოტემ საოცარი გააფთრება იცოდა ხოლმე, მოიშველებდა ბერეტს, დაახეთქებდა მიწაზე და ფეხით თელავდა. ამიტომაც ყოველ დილით იძლეოდა ბრძანებას:

– ჩემი ძველი ბერეტი მომიმზადეთ.

მხიარული სიკვდილი?

გადმოგვცემენ, რომ ქსერქსე – სპარსეთის მრისხანე მეფე, რომელმაც დაანგრია ბაბილონი და საბერძნეთის არაერთი ქალაქი, თავშეუკავებელმა სიცილმა მოკლა.

ასეც ხდება?

1900 წლის რომელიღაც დღეს იტალიის მეფე უმბერტო, მხლებლებითურთ ქალაქ მონტას ერთ პატარა რესტორანში შევიდა და გაოცებული, ადგილზევე გაშეშდა. დუქნის პატრონი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა მას. მეფემ ხელის დაქნევით მოუხმო ასევე სახტად დარჩენილ მეპატრონეს.

– რა გქვია? – ჰკითხა მეფემ.

– უმბერტო, თქვენო უდიდებულესობავ.

– სად დაიბადე და როდის?

– ტურილში დავიბადე, 1844 წლის 14 იანვარს.

მეფემ გაოცებისაგან შეჰყვირა. პასუხი ზუსტად ემთხვეოდა მისი დაბადების თარიღსაც, ადგილსაც. ცოტა ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ მათ ცოლებსაც ერთნაირი სახელები ერქვათ. გარდა ამისა, უმბერტო მეფედ აკურთხეს 1878 წლის 8 იანვარს, მეფის ორეულმა კი ზუსტად იმავე დროს გახსნა თავისი დუქანი.

ნაპოლეონის ბრძანებებიდან

ეგვიპტეში ლაშქრობისას, მამლუქთა მორიგი თავდასხმის დროს, ფრანგთა მთავარსარდალმა გენერალმა ბონაპარტმა სასწრაფო ბრძანება გასცა:

– გვარდიელები წინ, ვირები და მეცნიერები უკან!

საშიში დამცველი

XVIII საუკუნის დასასრულს ოსმალთა იმპერიის ფლოტს სათავეში ედგა წარმოშობით ქართველი (სხვა მონაცემებით – ბალკანელი) „კაპუდან ფაშა“ ღაზი-ჰასანი, რომელსაც რიგი ავტორებისა გენიალურ ამირბარად მიიჩნევდა. ჰასანის შესახებ ლეონიდე პინო მოგვითხრობს: „შეუბრალებელი, ენერგიული და ნიჭიერი. სტამბოლის ქუჩებში მუდამ ლომის თანხლებით დადიოდა, დივანზედაც (სათათბირო – დ. შ.) ბევრჯერ გამოჩე-

ნილა თავისი ლომის კავალრობით და დაუფეთებია ხონთქრის მინისტრები.

ერთხელ ღაზი-ჰასანი საფრანგეთის ელჩს, შუაზიოლ გუფიესაც ეწვია სასაუბროდ, ამ ლომის თანხლებით. ლომმა ფრანგ დიპლომატს თავი მუხლებზე დაუდო. ჩვენი ელჩი არ შეკრთა და ნადირს მოფერება დაუწყო. ამან იხსნა. რომ განძრეულიყო, დაიღუპებოდა. ეს იყო ელჩის გმირობა, რომელიც ჩადენილ იქნა დიპლომატიური ეტიკეტისათვის ესოდენ შეუფერებელ ვითარებაში.

ერთი თვის შემდეგ, როცა პატრონი კინაღამ შეჭამა, ეს ლომი მოკლეს, რამაც შუაზიოლ გუფიეს თავიდან ააცილა მომავალი უსიამოვნო შეხვედრები უჩვეულო ოთხფეხა „პარტნიორთან“.

მეორე ფრანგი ავტორი ჟუანენი ადმირალ ღაზი-ჰასანის დახასიათებას ასე ამთავრებს: „ამ კაცს მოშინაურებული ჰყავდა ლომი, რომელიც თავისი პატრონის ცოცხალი განსახიერება იყო და ძრწოლას ჰგვრიდა ყველას, ვინც კი ამ საშინელ მეომარს მიუახლოვდებოდა“.

ანდერძი

„მე მივაღწიე ყველაფერს და სიხარულს ვერ ვპოულობ ვერაფერში“ – ამბობდა რომის იმპერატორი სეპტიმიუს სევერუსი. თავისი მემკვიდრეებისადმი დატოვებულ ანდერძში კი მოუწოდებდა მათ:

„გაამდიდრეთ ჯარისკაცები და სხვა დანარჩენზე ნურას იზრუნებთ“.

ო ტემპორა, ო მორეს – ო დროებავ, ო ზნე-ჩვეულებანო!

ქართლის მეფის, ვახტანგ მეხუთე შაჰ-ნავაზის იგავმიუწვდომელი სიტურფით განთქმული ძმისწული თამარი, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა უპრეცედენტო ცილობის საგანი შეიქნა.

პირველად იგი ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავარმა ლევან III დადიანმა.

1663 წელს იმერეთში გამეფებულმა ბაგრატ მეოთხე უსინათლომ დაამარცხა ლევან III, წაართვა და თვითონ შეირთო თამარი. მანამდე კი, ბაგრატი გაეყარა თამარის დას თათიას, ხოლო თავისი და თინათინი, ლევან III დადიანს შერთო.

1678 წელს იმერეთში გამეფებულმა არჩილმა ბაგრატ IV-ს ტახტთან ერთად ცოლიც წაართვა და თამარი თავის პირველ ქმარს – ლევან III დადიანს დაუბრუნა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში საკუთარი დედინაცვლის, დარეჯან დედოფლის მიერ დაბრმავებული ბაგრატ IV იმერთა მეფე ვერცერთ დანაკარგს ვერ შეეგუა. მეორე წელსვე უსინათლო მეფემ ჯერ არჩილი გააძევა იმერეთიდან, ხოლო შემდეგ დადიანს დაესხა თავს, კვლავ წაჰგვარა მეუღლე და ხელმეორედ შეირთო თამარი.

1681 წელს ბაგრატ IV გარდაიცვალა. იმერეთის სამეფო ტახტზე გიორგი გურიელი ავიდა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ბაგრატ IV-ისა და თამარის ასული დარეჯანი. ახლა, იმერეთში გამეფების შემდეგ, გიორგი მეფემ დარეჯანი გაუშვა და თამარი – თავისი სიდედრი შეირთო ცოლად.

ცოტა რამ ბასტილიაზე

1476 წელს ლუი მეთერთმეტემ ბასტილიის ციხესიმაგრე საპყრობილედ აქცია. აქედან მოყოლებული, 313 წლის განმავლობაში მის ცივ საკნებში არაერთი გამოჩენილი ფრანგი მოხვდა.

ამ მრისხანე ციხის პირველი პატიმარი იყო მეფის საწინააღმდეგო შეთქმულებაში ეჭვმიტანილი ჟან დარმინიაკი. მას შემდეგ კი: ჰერცოგი დე ნემური, კარლო დე გონგო, ჰერცოგი ბირონი, ბასომპიერი, ფუკე, პლისონი, ვოლტერი...

ვინმე ლატიული დააპატიმრეს 16 წლისა და აქ იჯდა 30 წლის განმავლობაში. გაქცევის სამი უშედეგო მცდელობის შემდეგ ლატიული შეიშალა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოუშვეს. მისი

დაპატიმრება კი გამოწვეული იყო მადამ დე პომპადურზე – ლუი XV-ის ფავორიტზე, თავდასხმის ინსცენირების გამო.

იყო სხვაგვარი შემთხვევებიც, როცა გარკვეული კატეგორიის პატიმრები ბასტილიაში სულაც არ გრძნობდნენ თავს ცუდად. მაღალი კასტის პატიმრებს აქ შეეძლოთ ავეჯით მოეწყოთ კამერა, ესარგებლათ ტრაქტირით, რომელიც ბასტილიის ცხვირწინ მდებარეობდა. ამიტომ გასაგებია ბასტილიის ციხის ერთ-ერთი საპატიო პატიმრის – ქალბატონ როზეტ დე დონეს, შემდეგ ცნობილი მადამ დე სტალის ჩანაწერი, რომელიც ციხეში გატარებულ ორ წელიწადს განეკუთვნება:

„ეს იყო უბედნიერესი ხანა ჩემი ცხოვრებისა. ვიფიქრებდი კი, რომ ბედნიერება მელოდებოდა ბასტილიაში?“.

გასაგები იყო მადამ სტალის ამგვარი ჩანაწერი, მას ხომ აქ გატარებულ წლებთან მეტად რომანტიკული და ნაზი რომანის მოგონებები აკავშირებდა.

იმედგაცრუება

მეფე ერეკლეს ვაჟკაცობის ამბავი დუნიას რომ მოედო, ერთმა მთიელმა მოხუცმა გადაწყვიტა მისი ნახვა. მოხუცს ერეკლე ახოვან კაცად წარმოედგინა, მის მაგივრად კი მომცრო ტანის ახალგაზრდა შერჩა, აკი ამიტომაც შეარქვეს მეფეს „პატარა კახი“, როგორც გენერალ ბონაპარტს „პატარა კაპრალი“.

ჰოდა, რომ დაუნახავს მეფე, მოხუც მთიელს წამოუძახია: „ქება სჯობდა ნახვასაო“.

გაგარინი და დედოფალი

ინგლისში ყოფნის დროს კოსმონავტი იური გაგარინი დედოფალმა ელისაბედ მეორემ სასახლეში, ჩაიზე მიიწვია. იური არ იყო ჩვეული მაღალი წრის წვეულებათა ეტიკეტს. მან ვერაფერი გაუგო მაგიდაზე დახვავებულ სხვადასხვა დანიშნულებისა და ფორმის დანა-ჩანგლებს, არ იცოდა, როდის რომელი უნდა მოეხმარა, ამიტომ კოსმოსის პირველმა სტუმარმა გადაწყვიტა,

ზუსტად ისე მოქცეულიყო, როგორც მისი უდიდებულესობა – დედოფალი.

მაგრამ კოსმოსური თავგადასავლების გაცხარებული თხრობისას ისე გაერთო, რომ დედოფლის თვალთვალი გადაავიწყდა და მის წინ მოთავსებულ ლიმონის ნაჭერს პირდაპირ ხახაში გადაუძახა. ეს იყო და გარშემომსხდომებმა ერთბაშად ანებეს თავი ჭამასაც, სმასაც და ლაპარაკსაც. ეტყობა კოსმონავტმა მწარე შეცდომა დაუშვა, რომ ლიმონს ასე უცერემონიოდ მოექცა. ყველა მას მიაჩერდა.

უხერხული სიჩუმე ისევ დედოფალმა განმუხტა და მეორე ნაჭერი მანაც კოსმონავტის დაუნდობლობით გადაყლაპა, თან დაუმატა: „ოჰ, რა გემრიელია!“.

სტუმრებმაც გაიღიმეს და იურიმაც განაგრძო თავისი კოსმოსური შთაბეჭდილებების თხრობა.

დეკაბრისტები

1825 წლის 14 დეკემბერს პეტერბურგში, სენატის მოედანზე მოხდა დეკაბრისტების ცნობილი გამოსვლა. მეორე დღეს რუსეთის დედოფალმა დღიურში ჩაწერა: „ოჰ, უფალო! მარტო იმან, რომ ჩემი უძვირფასესი სიცოცხლე საფრთხეში იყო, საკმარისია ჭკუიდან შეშალოს ადამიანი. ღმერთო დიდებულო, რა საშინელი დღე იყო გუშინ.“

მომდევნო წლის ივლისის 13-ში პეტრე-პავლეს საპყრობილის ეზოში ჩამოახრჩეს დეკაბრისტთა ხუთი მეთაური: პავლე პესტელი, სერგეი მურავიოვ-აპოსტოლი, კირილ რილეევი, პეტრე კახოვსკი და მიხეილ ბესტუჟევ-რიუმინი. უკანასკნელ წუთს რილეევმა მღვდლის ხელი მიიკრა მკერდზე და უთხრა:

„ხედავთ, როგორ მშვიდად მიცემს გული?“.

როცა ჯალათმა ყულფჩამოცმულ გმირებს სკამები გამოაცალა ფეხქვეშ, მურავიოვს, რილეევსა და კახოვსკის თოკები გაუწყდათ და სახრჩობელის ქვეშ გათხრილ ორმოში ჩაცვივდნენ. მურავიოვმა შეჰყვირა: „უბედურო სამშობლოვ, ადამიანის ჩამოხრჩობის უნარიც კი არ შეგწევს“.

სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შემდეგ ნიკოლოზ პირველმა სასწრაფო ბარათით აცნობა დედამისს:

„ნაჩქარევად გწერ ორ სიტყვას ძვირფასო დედილო. მინდა გაცნობო, რომ ყველაფერი წყნარად და წესიერად ჩატარდა. საძაგლებს საძაგლად ეჭირათ თავი“.

ალექსანდრეს სადარდებელი

მაკედონიაში ხშირად მოდიოდა ამბები, ფილიპემ ესა თუ ის ქალაქი აიღო და ამა თუ იმ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვაო. ალექსანდრე მაკედონელი ამ ამბებს მოღუშული სახით ისმენდა და მეგობრებს ეუბნებოდა:

„ყმაწვილებო, მამაჩემი ყველაფერს დაიპყრობს და მე აღარაფერს დამიტოვებს, თქვენთან ერთად საგმირო და ბრწყინვალე საქმენი რომ ჩავიდინო“.

კეისრის პასუხი

როცა კეისარი ალპებზე გადავიდა და ერთ მცირე ხალხით დასახლებულ სოფელზე მიემართებოდა, მეგობრებმა მას სიცილით და ხუმრობით ჰკითხეს:

– ნუთუ აქაც არის რაიმე მეტოქეობა თანამდებობათა გულისთვის? ნუთუ აქაც არის ბრძოლა პირველობისათვის და შური ძლიერთა შორის?

კეისარმა სრულიად სერიოზულად უპასუხა:

– მე ვამჯობინებდი პირველი ვიყო ამათში, ვიდრე მეორე – რომაელებში.

ინსპექტორის ნინასწარმეტყველება

ბრენის სკოლის დამთავრებისას პარიზის უმაღლეს სასწავლებელში რომ გადაჰყავდათ, ახალგაზრდა ნაპოლეონ ბონაპარტს სკოლის ინსპექტორმა დახასიათებაში ჩაუწერა:

„წარმოშობით და ხასიათით კორსიკელია. ეს ახალგაზრდა შორს წავა, თუ გარემოებანი მის სასიკეთოდ წარმართავენ ცხოვრებას“.

ვის სწყალობს ფორტუნა

ნაპოლეონის პირველ გამარჯვებათა გამო ავსტრიის ჯარებთან, იტალიის ცნობილი კამპანიის დროს, ფრანგებმა ექვს დღეში ექვსი გამარჯვება მოიპოვეს. პარიზში კამათობდნენ, რა უფრო სწყალობდა გენერალ ბონაპარტს: ჭკუა თუ ბედი? ერთ ამგვარ კამათს, რომელზეც მხედართმთავართა წარმატებებს ფორტუნას წყალობას უფრო მიაწერდნენ, ფონტენელი შეესწრო.

„დავუშვათ ეს ასეა, – მიმართა მან მოსაუბრეებს, – მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბედი უმეტესად სწორედ ჭკვიან ადამიანებს სწყალობთ“.

ღირს გარისკვად?

ამერიკის პრეზიდენტებიდან ალბათ იმდენ დროს არავინ უთმობდა დასვენებას, როგორც რონალდ რეიგანი. სამუშაო დღის მეორე ნახევარში იგი ხშირად სეირნობდა სუფთა ჰაერზე, განსაკუთრებით უყვარდა სანტა-ბარბარაში, თავის რანჩოზე განმარტოება ახლობლებთან.

„გამიგია, რომ მუშაობისაგან ჯერ არავინ მომკვდარა, – ამბობდა რონი, – მაგრამ, ღირს კი გარისკვა?“.

ორმაგი სტანდარტი

ნაპოლეონი რევოლუციების წინააღმდეგი იყო, დამღუპველადაც კი მიაჩნდა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, დიდ ფრანგულ რევოლუციას მიმხრობოდა ახალგაზრდობის დროს. ერთხელ კი, უკვე გვიანდელ წლებში, მან განმარტა:

„მე რომ ფელდმარშალი ვყოფილიყავი, რა თქმა უნდა, მეფეს მივემხრობოდი, მაგრამ, რამდენადაც რევოლუციის დასაწყისში მხოლოდ პოდპორუჩიკი ვიყავი და არავითარი ქონება არ გამაჩნდა, იძულებული გავხდი, რევოლუციას მივმხრობოდი“.

გენიოსები

1895 წლის გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა იტალიელი მეცნიერის, ჩეზარე ლომბროზოს სტატია: „გენიოსების სქესობრივი გადაგვარება“, რომელშიც შემდეგი მოსაზრებებია გამოთქმული:

„გენიოს ქალებსო, წერს იტალიელი მეცნიერი, აკლიათ ქალურობა, აქვთ მამაკაცური სახე და ზნეობა. მათ ახასიათებთ მოჭარბებული „სქესობრივი მხურვალება“. ყველამ იცის საფოს – „ბერძენთა პოეტი ქალის სქესობრივი სიუკუღმართე“. მათ აქვთ მიდრეკილება, მიბაძონ მამაკაცებს. პოეტი ტელეზილა ლაშქარს უძღოდა წინ. ისინი ხშირად ირქმევენ კაცის სახელს: ჟორჟ სანდი, ჯორჯ ელიოტი, ანრი გრევილი... ელიოტს ჰქონდა მოზრდილი კაცური თავი, აწეწილი თმა, მსხვილი ულვაშებიანი ტუჩები, წამოწეული ყბა.

სანდი ბოხი ხმით ლაპარაკობდა, კაცურად უყვარდა ჩაცმა.

მადამ სტალსაც კაცური იერი ჰქონდა.

ლომბროზოს აზრით, გენიოს მამაკაცებს პირიქით, უსუსტდებათ „მამაკაცობის გამომსახველი თვისებანი“. შემჩნეულია ძველთაგანვე და საარაკოდ შექმნილი ერთი თვისება გენიოს კაცთა შორის, – განაგრძობს ლომბროზო, – „ეს გახლავთ ტანდაბლობა. ჰორაციუსი, ფილომენი, ნარზესი, ალექსანდრე, არისტოტელე, პლატონი, ეპიკურე, არქიმედე, დიოგენე, ეპიქტეტი, ერაზმი, მონტენი, ბეკარია, ბალზაკი, ტიერი, ლუი ბლანი...“

„პოპს ბალიში უნდა ამოედვა ქვეშ, სუფრას რომ მისჯდომოდა“.

„ასევე დამახასიათებელია მათთვის სიგამხდრე, მუსკულთა სისუსტე, „მამრული უძლურება და სახის ფერმიხდილობა“. გამხდრები იყვნენ: ციცერონი, დემოსთენე, სკოტი, კეპლერი,

„ალამენე ჰგავდა აჩრდილს, აღტაცების ალით აღგზნებულს“.

„სახელოვან და ბრძენ მამაკაცებს, უმეტესად არ რჩებოდათ შთამომავლობა. ბეკონი ამბობდა: „უდიდებულესნი, უაღმატებულესნი ნაწარმოებნი გვიძღვნეს კაცებმა, რომელთაც არ ჰყოლიათ შვილები... ხოლო შამფორი წერდა თურმე: „კაცი რომ თავისი ჭკუის ხმას აჰყოლოდა, ცოლს აღარავინ შეირთავდა. რაც შემეხება მე, იმიტომ არ ვირთავ ცოლს, რომ მეშინია, ვაითუ ჩემისთანა შვილი მეყოლოს“.

უკანასკნელი განსასვენებელი

აბუკირთან საზღვაო ბრძოლაში ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ ადმირალ ნელსონს მრავალი საჩუქარი მიუვიდა. მათგან ყველაზე ორიგინალური აღმოჩნდა ნელსონის ახლო მეგობრის, ხომალდ „სვიფტშორის“ კაპიტნის, ბენ გალოუელის საჩუქარი. იგი ნელსონს წერდა:

„მილორდ! გიგზავნით კუბოს, რომელიც დამზადებულია ხომალდ „ორიენტის“ მთავარი ანძისაგან. როდესაც ცხოვრებისაგან დაიღლებით, შეგიძლიათ განისვენოთ ერთ-ერთ თქვენს ნადავლში“.

გადმოცემით, ჰორაციო ნელსონს ისე მოეწონა საჩუქარი, რომ თავის კაიუტაში დაადგმევინაო.

„სტუმართმოყვარე“ დალასი

1963 წლის 22 ნოემბერს მოკლეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედი. დალასში, ტეხასის შტატის მთავარ ქალაქში ჩასვლისას, მკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე, ადგილობრივი გუბერნატორის მეუღლე მისის კონელი მიუბრუნდა მანქანაში მჯდომ კენედის და უთხრა:

— თქვენ ვერ იტყვით, რომ დალასი ცხვირჩამოშვებული გხვდებათ, — და ხალხით გაჭედილ ქუჩაზე მიუთითა.

თოღრულ-ბეგი და ლიპარიტი

1048 წელს კარინისთან ბრძოლაში თურქ-სელჩუკებმა დაამარცხეს ბიზანტიელთა, სომეხთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი. მომხდურებს ტყვედ ჩაუვარდათ ხელში მთელ იმდროინდელ აღმოსავლეთში განთქმული ქართველი სარდალი და მამაცი მეომარი, კლდეკარის ერისთავთ ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში. იმ დროს სელჩუკთა სულთანი იყო თოღრულ-ბეგი. მას გაგონილი ჰქონდა ლიპარიტის სახელი და მისი გადაბირება სცადა, რისთვისაც გამაჰმადიანება მოსთხოვა ერისთავს.

– აღვასრულებ შენს ბრძანებას, თუ ნებას მომცემ, გეახლო, – შეუთვალა ბაღვაშმა. ტყვე სარდალი სულთანს წარუდგინეს.

– ახლა აღარ შევასრულებ შენს ბრძანებას.

– რატომ? – ჰკითხა გაკვირვებულმა სულთანმა.

– თუ ვაჭარი ხარ, გამყიდე; თუ მტარვალი, მომკალი; და თუ მეფე ხარ, გამისტუმრე ჩემს ქვეყანაში, მეფურად დასაჩუქრებული.

სომეხი ისტორიკოსის, ვარდანის, სიტყვებით, თოღრულ-ბეგი განაცვიფრა ლიპარიტის სიმამაცემ.

– მე არ ვვაჭრობ შენისთანა ძლევამოსილი და სახელოვანი კაცებით, არც შენი სისხლით ხელის შესვრა მიმაჩნია პატიოსნებად. მე ვარ მეფე და მეფურად განმიტევებიხარ.

ესა თქვა სულთანმა და დიდად დასაჩუქრებული ლიპარიტი სამშობლოში გამოისტუმრა.

გენერალი კლებერი

მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა ეგვიპტე დატოვა, იქ დარჩენილ ფრანგთა ჯარის სარდალმა გენერალმა კლებერმა ინგლისელებთან ელარიშის სამშვიდობო კონვენცია დადო. შეთანხმების თანახმად, ფრანგებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, პატივით დაეტოვებინათ ეგვიპტე და სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

მაგრამ ინგლისმა, რომლის სახელითაც კონვენციას სიდნეი სმიტმა მოაწერა ხელი, გატეხა სიტყვა და ფრანგებს უსიტყვო კაპიტულაცია მოსთხოვა. ფრანგებისათვის საპატიო ევაკუაცი-

ის პირობა დამამცირებელი ტყვეობის პერსპექტივამ შეცვალა. ამ ღალატმა მამაცი კლებერის აღშფოთება და მრისხანება გამოიწვია.

„მისი განრისხება ლომის გაღვიძებას ჰგავდა", – წერს ბარონი ერნუ.

„ჯარისკაცებო! ასეთ თავხედობას გამარჯვებით პასუხობენ" – შესძახა ფრანგებს გენერალმა და იმ დროს, როცა ციხეთა უმეტესობა ოსმალებს ჰქონდათ კონვენციის თანახმად გადაცემული, ერთი თვის მანძილზე გმირული ბრძოლებით, კლებერმა უკან დაიბრუნა, ხელახლა დაიპყრო ეგვიპტე და ევროპა განაცვიფრა.

1800 წლის 14 ივნისს ფანატიკოსმა სოლიმანმა მუხანათურად მოკლა 46 წლის მამაცი გენერალი ჟან ბატისტ კლებერი, რომელსაც ზოგიერთი ისტორიკოსი ნიჭიერებით ნაპოლეონზე მაღლაც კი აყენებდა.

ალექსანდრე და დიოგენე

როდესაც ალექსანდრე მაკედონელი მთავარსარდლად გამოაცხადეს, ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდიოდნენ მასთან მისალოცად. არ ჩანდა მხოლოდ ფილოსოფოსი დიოგენე სინოპელი, რომელიც კორინთოს მახლობლად ცხოვრობდა განმარტოებით. იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ალექსანდრეს გარშემო მომხდარ ამბებს.

მაშინ მთავარსარდალი თავად გაემართა ფილოსოფოსის სანახავად. ალექსანდრესა და მისი ამალის მიახლოებისას დიოგენე წამოწოლილი იყო და ისვენებდა. დაუპატიჟებელი სტუმრების დანახვაზე იგი ოდნავ წამოიწია. მთავარსარდალი თავაზიანად მიესალმა და ჰკითხა, ხომ არაფერი გჭირდებაო, რაზედაც ცნობილი პასუხიც მიიღო: „ცოტა გვერდით გაიწი, მზეს ნუ ეფარებიო".

ამ პასუხმა ალექსანდრე შეაცბუნა, ხოლო, როცა დიოგენეს გასცილდნენ და მეგობრებმა სიცილი და ხუმრობა დაიწყეს მომხდარზე, მაკედონელმა მათ უთხრა:

„ალექსანდრე რომ არ ვიყო, დიოგენეობას ვისურვებდიო".

ოქტავიანე სიკვდილის წინ

რომის იმპერატორმა, ოქტავიანე ავგუსტუსმა სიკვდილის წინ გარშემომყოფთ მიმართა:

„ბატონებო, ხომ კარგად ვითამაშე ჩემი როლი ადამიანურ კომედიაში?!“.

ჯალათის მოხსნა

როდესაც მარატის მკვლელი, მამაცი არისტოკრატი ქალი შარლოტა კორდე სიკვდილით დასაჯეს და გილიოტინამ თავისი საქმე გააკეთა, ჯალათმა სანსონმა კალათში ჩავარდნილი შარლოტას თავი ამოიღო და ხალხის თვალწინ სილა გააწნა. პიროვნების შეურაცხყოფისა და კანონის დარღვევისათვის, რომელიც მოითხოვდა „დასჯას დამცირების გარეშე“, სანსონი სამსახურიდან მოხსნეს.

სიკვდილზე ძლიერი იუმორი

რომის იმპერატორი ტიტე ფლავიუს ვესპასიანე 70 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას სიკვდილის წუთებშიც არ დაუკარგავს იუმორის გრძნობა. ჯერ შესძახა: „ვაიმე ცუდად შევიქენი, მგონი ღმერთად უნდა ვიქცე“.

შემდეგ ვესპასიანე სამხედრო პოზაში გაიჯგიმა, სიტყვებით: „იმპერატორი ფეხზე მდგომარე უნდა მოკვდეს“.

მადამ როლანი ეშაფოტზე

როდესაც მგზნებარე რესპუბლიკელი ქალი მადამ მანონ როლანი იაკობინელების დიქტატურის დროს გილიოტინაზე აიყვანეს, მან თამამად გაიხსნა საყელოს საკინძი და წარმოთქვა უკვდავი სიტყვები:

„ოჰ, თავისუფლებავ! რამდენ ბოროტმოქმედებას სჩადიან შენი სახელით!“.

სწორი ტაქტიკა

ფილიპე მაკედონელს მოახსენეს: თუმცა ბერძნები უხვად არიან დაჯილდოებულნი თქვენი მოწყალებით, მაგრამ მაინც გლანძღავენო.

ბერძენთა დამმორჩილებელმა უპასუხა:

– მაშინ რაღა იქნებოდა, უარესად რომ მოვპყრობოდი?

თავის დაძვრენა

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი გრევი ძალიან გულახდილი კაცი იყო. ერთხელ სამხატვრო გამოფენის დათვალიერებისას, რომელილაც ნახატის დანახვაზე წამოიძახა: „ეს რა საძაგლობაა!".

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ექსპრეზიდენტი მიხვდა, რომ უხერხულად გამოუვიდა და განათლების მინისტრს ჰკითხა, ვისია ეს ნახატიო. როცა ნახატის ავტორი წარუდგინეს, გრევიმ მას ხელი ჩამოართვა და უთხრა:

– ჩვენში ასე იციან: როცა რაიმეს ყიდვა უნდათ, ვაჭრობას საქონლის ძაგებით იწყებენ.

გენერალი ხის ფეხით

გენერალ რივანორესს ბრძოლაში ყუმბარამ ცალი ფეხი მოაგლიჯა და ამის შემდეგ ხის ფეხით დადიოდა. ნერვინდენთან ბრძოლაში რივანორესს ყუმბარა ახლა ხის ფეხში მოხვდა.

– სულელები არიან, – იყვირა გენერალმა, – არ იციან, რომ ბანაკში ექვსი ასეთი ფეხი მაქვს და ამით ვერაფერს დამაკლებენ.

მეფის საყვედური

ერეკლე მეფე ბარძაყზე გამოსულმა მუწუკმა შეაწუხა, მხლებლებს დაუძახა და უთხრა, ნახეთ ერთი, რა მაქვსო. ერთმა

თქვა ძირმაგარაააო, მეორემ – თვალიაო, მესამემ – თავკბილასა ჰგავსო.

ერეკლემ ბარძაყზე ხელი დაიკრა, მერე ყურთან მიიტანა და ეუბნება:

– აბა, რა უნდა გითხრათ, აქედან აქამდე სწორი ამბავი ვერ მოგიტანიათ და ქვეყნის ამბავს როგორ შემატყობინებთ.

სამშვიდობო განცხადება

იტალიის პარლამენტის დეპუტატმა და წარსულში ცნობილმა მეძავმა ილონა სტალერმა, მეტსახელად ჩიჩოლინამ, არგენტინის ტელევიზიისადმი მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

– მზადა ვარ, ერთი ღამე გავატარო ერაყის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინთან, თუ ის ომს შეწყვეტს.

ჭკუაზე მოსული ოსმალები

გურიის მთავარმა ოსმალები დაამარცხა და სამთავროს საზღვრებიდან გადარეკა. ამის გამგონე ერთ გლეხს, როცა. გურიელი დაუნახავს, სიხარულით აღტაცებულს დაუძახია:

– ბატონო, წახდნენ ოსმალნი, შინისკენ პირი იბრუნეს.

– რეგვენო, – მიუგო მთავარმა, – წახდნენ კი არა, აწი გაკეთდა მათი საქმე: ჭკუაზე მოვიდნენ და თავიანთ სახლში მიდიან.

სიკვდილისწინა თადარიგი

ჟან-პოლ მარატის მკვლელ შარლოტა კორდეს დაპატიმრებისას ჯიბეში მხოლოდ ნემსი და ძაფი აღმოაჩნდა. ჰკითხეს, რაში გჭირდებოდა ეს საგნებიო. დალეული არისტოკრატი ქალის პასუხი უცნაურთან ერთად მამაცურიც იყო:

– ვიცოდი, მარატის მკვლელს ხალხი გამწეწავდა, ეშაფოტზე კაბაც დახეული მექნებოდა და ბრბო დამცინებდა. ამიტომაც გავიმზადე ნემსი და ძაფი.

მამაცი მარშალი ლანი

1809 წლის 22 მაისს ესლინგენის ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრეს ნაპოლეონის უსაყვარლესი გენერალი და მარშალი ჟან ლანი. იმპერატორი სასწრაფოდ გაეშურა ლანის სანახავად, რომლისთვისაც ყუმბარას ერთი ფეხი მოეგლიჯა, ხოლო მეორე მძიმედ დაეშავებინა. „ლან! მცნობთ მე?“ – ჩასძახა სულთმობრძავს ცრემლმორეულმა იმპერატორმა.

„დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, გხედავთ, მაგრამ ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენს ერთ-ერთ უერთგულეს მეგობარს უნდა გამოეთხოვოთ – მე ვკვდები“.

როგორც ევგენი ტარლე წერს, ნაპოლეონმა ლანის სიკვდილის დროს მეორედ და უკანასკნელად იტირა თავის სიცოცხლეში.

გულმოწყალება სიმამაცის ჯილდოდ

კაბეირასთან ბრძოლაში მითრიდატე პონტოელმა დაამარცხა რომაელი სარდალი ლუციუს ლუკულუსი, ხოლო მისი ცხენოსანი ჯარის მეთაური პომპონიუსი ტყვედ ჩაიგდო ხელში. აპიანეს სიტყვით, პომპონიუსი რომ მეფესთან მიიყვანეს, მითრიდატემ ჰკითხა:

– რით შეგიძლია სამაგიერო გადამიხადო, სიცოცხლე რომ შეგინარჩუნო?

– შენ რომ ლუკულუსის მეგობარი იყო – ბევრი რამით, ხოლო თუ ლუკულუსის მტრად დარჩები, არც კი გირჩევ რამეს.

ამ პასუხით გაბრაზებული პონტოელები პომპონიუსის მოკვლას მოითხოვდნენ, მაგრამ მითრიდატემ უპასუხა, რომ ის არ იხმარდა ძალას გაჭირვებაში ჩავარდნილი მამაცი მეომრის მიმართ.

რჩევათა სინთეზი

სომხეთში ლაშქრობის დროს რომაელი მხედართმთავარი ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი რთულ მდგომარეობაში

აღმოჩნდა. რომაელთა მიერ ალყაში მოქცეული სომეხთა სატახტო ქალაქი ტიგრანაკერტი ჯერ აუღებელი იყო, ხოლო ზურგში მეფე ტიგრან II დიდი იდგა, სომეხთა ძირითადი ძალებით.

მრჩეველთა ერთი ნაწილი ლუკულუსს ურჩევდა მოეხსნა ალყა და ტიგრანის წინააღმდეგ დაძრულიყო, მეორენი კი შეუძლებლად თვლიდნენ ზურგში მტრის დატოვებას და ალყის მოხსნას. ლუკულუსმა მრჩევლებს მოუსმინა და განაცხადა:

– ცალ-ცალკე არცერთი რჩევა არ ვარგა, მაგრამ ორივე ერთად კი ჭკვიანურია.

მან თავისი მხედრობა ორად გაჰყო: მურენა ლუკულუსმა ტიგრანაკერტთან დატოვა, თავად კი 24 კოჰორტით ტიგრან II-ის მთავარ ძალებს მიაშურა.

სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო

იბნ არაბშაჰის ცნობით, საქართველოს მეფის, გიორგი VII-ის მოკავშირე აჰმედ ჯალაირიანმა, მასავით ხეიბარ თემურ-ლენგთან რომ დამარცხდა, თავისი ცოლ-შვილი და ხაზინა ალინჯის მიუვალ ციხეში გადამალა და აზიის მრისხანე დამპყრობელს შეუთვალა:

„თუმცა ომში მკლავმა მიმტყუნა, სამაგიეროდ, კოჭლობა გაქცევაში ხელს არ შემიშლის“.

შეცდა ჰანიბალი?

კანესთან რომაელებზე გამარჯვება ჰანიბალის აუსტერლიცი იყო. ბრძოლა რომ დამთავრდა, სარდლები შემოეხვივნენ დიდ კართაგენელ მხედართმთავარს და არწმუნებდნენ, ახლა დაყოვნება შეუძლებელია, პირდაპირ რომისკენ უნდა დავიძრათო. განსაკუთრებით აქტიურობდა კავალერიის მეთაური მაჰარბალი.

– მეხუთე დღეს შენ გამარჯვებას კაპიტოლიუმში იზეიმებ. მომყევი უკან, მე გაგიძღვები ჩემი ცხენოსნებით და საბოლოოდ

დავუსვამთ წერტილს რომის არსებობას, – მიმართავდა მაჰარბალი ჰანიბალს.

ჰანიბალს ესიამოვნა მამაცი თანამებრძოლის თანადგომა, მაგრამ განაცხადა, რომ წინადადების განსახილველად აუცილებლად დრო იყო საჭირო.

გადმოგვცემენ, რომ ბრძოლამოწყურებულ მაჰარბალს ნირი წაუხდინა თავისი მეთაურის ზედმეტმა სიფრთხილემ, არ მოერიდა და უკმაყოფილოდ განუცხადა:

– რა თქმა უნდა, ღმერთები ერთ ადამიანს არ აძლევენ ყველაფერს. შენ, ჰანიბალო, მტრის დამარცხება შეგიძლია, გამარჯვების გამოყენება კი არა.

ყრუ-მუნჯი ილიჩი

რუსეთში რომ მონარქია დაემხო, ევროპის ემიგრაციაში მყოფმა რევოლუციონერებმა რუსეთს მიაშურეს. ლენინმაც გადაწყვიტა დაბრუნება. საჭირო იყო უცხოური პასპორტი და გარეგნობის შეცვლა. განეცკი ურჩევდა ლენინს, რომ ეპოვა ვინმე შვედი, რომელიც მას ემგვანებოდა, და რადგან ბოლშევიკების ბელადმა შვედური ენა არ იცოდა, ამიტომ ყრუ-მუნჯის როლი უნდა ეთამაშა. ლენინის ცოლი კრუპსკაია იგონებდა, ილიჩს მთელი ღამეები არ ეძინაო. ერთხელ მითხრა:

– იცი, შეიძლება მუნჯი შვედის პასპორტით წავიდე.

მე გამეცინა:

– არ გამოვა, შეიძლება ძილში დაილაპარაკო...

მამა-შვილი ფაბიუსების შეხვედრა

მოხდა ისე, რომ რომის ყოფილი დიქტატორი ფაბიუს მაქსიმე ხანდაზმულობის პერიოდში ლეგატად განაწესეს იმ არმიაში, რომელსაც მისი შვილი და იმჟამად რომის კონსული – კვინტუს ფაბიუს მაქსიმე სარდლობდა. ტიტე ლივიუსი ასე აგვიწერს მამა-შვილის შეხვედრას:

ფაბიუს უმცროსი გამოვიდა მამასთან შესახვედრად. წესის მიხედვით, ლეგატი კონსულთან მიახლოებისას, როგორც მისი ხელქვეითი, ცხენიდან უნდა ჩამოქვეითებულიყო და 12 ლიქტორის საპატიო რიგის გავლის შემდეგ ხლებოდა კონსულს.

მაგრამ ფაბიუს მაქსიმე უფროსი ლიქტორებმა პატივისცემის ნიშნად არ შეაჩერეს და რომის ყოფილმა დიქტატორმა ცხენზე ამხედრებულმა ჩაუარა თერთმეტ ლიქტორს. დაინახა რა ეს, ფაბიუს უმცროსმა სასწრაფოდ უბრძანა მეთორმეტე ლიქტორს, შეესრულებინა თავისი მოვალეობა. ლიქტორი მაშინვე აღიმართა მოხუცი დიქტატორყოფილის წინაშე, მიუთითა ჩამოქვეითებულიყო და ისე ხლებოდა თავის ძე-კონსულს. ფაბიუს უფროსი სასწრაფოდ ჩამოხტა ცხენიდან და კონსულს მიმართა:

– მე მსურდა გამომეცადე შვილო, შეიცნე თუ არა საკმარისად, რომ შენ რომის კონსული ხარ.

გამარჯვებაში დარწმუნებული

სხვათა შორის, ვატერლოოს ბრძოლის წინ ნაპოლეონი დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა. როცა ტყვეებმა მოახსენეს ფრანგთა იმპერატორს, ინგლისელები ბრძოლას ელიანო, ნაპოლეონმა უპასუხა:

– მით უკეთესი – გაპარულებს დამარცხებულები მირჩევნია.

ამაო სწავლება

პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს, რომ, როცა ანტონ კათალიკოს-პატრიარქი უფლისწულს და ქართლ-კახეთის მომავალ მეფეს, გიორგი XII-ს, ბაუმეისტერის „ლოლიკას“ უკითხავდა და ასწავლიდა, ბატონიშვილი გაუგებრად აქნევდა თავს და თავის მოძღვარს ეუბნებოდა:

„არა მესმის ესე, ვნაყავ წყალსა“.

პუშკინის განუხორციელებელი სურვილი

ალექსანდრე პუშკინი გრაფ არაკჩეევსა და პროგრესულად მოაზროვნე სპერანსკის „ბოროტებისა და სიკეთის გენიებს“ უწოდებდა, რომლებიც ალექსანდრე პირველისა და ნიკოლოზ პირველის პერიოდის რუსეთის „მოპირდაპირე კარებში იდგნენ“. როდესაც არაკჩეევი გარდაიცვალა, პუშკინი მეუღლეს წერდა:

„მიიცვალა არაკჩეევიც და მთელ რუსეთში მხოლოდ მე დამწყდა გული, რადგან ვერ მოვახერხე მასთან შეხვედრა და ლაპარაკი“.

მწარე პასუხი

ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის „წერილში“ ერთი პერსონაჟი ჰყვება:

„მე ხანდახან ფიქრში თავს კრასუსს ვადარებ, ორატორს, ვისზეც ამბობდნენ, თითქოს ისეთი ძალით შეყვარებოდეს მურენა – დეკორატიული ტბორის ლეგა, წითელთვალა მუნჯი თევზი, რომ ქალაქში მითქმა-მოთქმა დაუწყიათ... ხოლო, როცა დომიციუსმა სენატში დაცინვით მიაძახა, თევზის სიკვდილის გამო ცრემლები გიღვრიაო, კრასუსს უპასუხია:

– ჩემი თევზის სიკვდილის გამო მე ის გავაკეთე, რაც შენ არც პირველი და არც მეორე ცოლის სიკვდილის გამო არ გიქნია.

პრეზიდენტის მომავალი

აღარ მახსოვს, როდის, ალბათ 2003 წელს, ყოფილ ეროვნულ-დემოკრატს და შემდგომ სახალხო პარტიის ლიდერს, მამუკა გიორგაძეს უთქვამს:

„თუ შევარდნაძემ ასე გააგრძელა, მალე მის გვერდით მისი მდივნის, ქალბატონ ცისანას გარდა აღარავინ დარჩება“.

იაგო ომში

იესე ბარათაშვილი თავის შესანიშნავ და მრავალმხრივ საინტერესო ავტობიოგრაფიაში, რომელსაც „ცხოვრება-ანდერძი“ ეწოდება, წერს: „თელავს მდევარს დაიძახეს. მე სხვა ცხენი არა მყვანდა, ჯორებში იაბო ეგდო, იმაზე შემსვეს, ბატონი ნაბძანებულიყო. გაჭენება მოვინდომე, წამოიქცა და ორი კბილი ჩამაგდებინა. მოჰყვა და სულ დამცვივდა. ეს აქ არ იყო საწერი. ქორანიკონს 448 (1760 წ) იყო, მაგრამ ამბავმა მოიტანა. მეფის ერეკლეს ხლებაში მომივიდა ეს განსაცდელი“.

რა არის ხელისუფლება

მაკედონიის მეფის, ანტიგონე მეორე გონატის მემკვიდრე მეტისმეტად მბრძანებლურად და ქედმაღლურად ექცეოდა ქვეშევრდომებს.

„განა არ იცი, – შეაგონა ანტიგონემ თავისი შვილი, – რომ ჩვენი ძალაუფლება მხოლოდ საპატიო მონობაა“.

ადმირალი და მეზღვაური

ინგლისის ესკადრის სადგომიდან ფოსტით დატვირთული ფრეგატი უნდა გასულიყო. მეორე დღეს დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი. ამის გამო მეზღვაურთა უმეტესობამ დაწერა წერილები. ერთ მეზღვაურს დაავიწყდა წერილის საფოსტო ყუთში ჩაგდება და სინანულით მისჩერებოდა სადგომიდან უკვე დაძრულ ფრეგატს. მორიგე ოფიცერმა მკაცრად დაუცაცხანა გულმავიწყ მეზღვაურს.

იქვე მდგარმა ადმირალმა ჰორაციო ნელსონმა ხმაური გაიგო.

– რაშია საქმე? – ჰკითხა ოფიცერს.

– არაფერი ისეთი, თქვენი ყურადღების ღირსი რომ იყოს, ადმირალო, – იყო ოფიცრის პასუხი.

ნელსონი არ მოეშვა და როცა გაიგო საქმის ვითარება, სასწრაფოდ უბრძანა, მიეცათ სიგნალი და დაებრუნებინათ ფრეგატი. ასეც მოხდა. უკან მობრუნებულ საფოსტო ფრეგატს დაგვიანებული მეზღვაურის წერილიც მიუმატეს და ისე გაამგზავრეს.

იყო თუ არა ნარმატებული პასუხი?

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ოფიციალური მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, ერთ-ერთ პროტოკოლურ შეხვედრაზე, საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი გრომიკო მოულოდნელად პრეზიდენტ რეიგანის მეუღლეს, ნენსი რეიგანს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– რის სწამს თქვენს მეუღლეს, ომის თუ მშვიდობის?

– მშვიდობის, – ჩვეული სწრაფი რეაქციით გამოეპასუხა პრეზიდენტის მეუღლე.

– თქვენ დარწმუნებული ხართ ამაში?

– დიახ, – იყო თვითდაჯერებული პასუხი.

– კეთილი, ყოველლამ უჩურჩულეთ ხოლმე მას ყურებთან სიტყვა „მშვიდობა“.

– კარგით, – მიუგო ნენსი რეიგანმა, – მე ამ სიტყვას თქვენს ყურებსაც ვუჩურჩულებ.

პრეზიდენტის მეუღლე დარწმუნებული იყო, რომ ამგვარ პასუხზე უკეთესს მის მეტი ვერავინ მოიფიქრებდა.

ჩაის საფასური

დისიდენტი ვახტანგ ძაბირაძე იხსენებს: „ზონაში (გადასახლებაში – დ. შ.) ახალი შესული ვიყავი, როდესაც მე და ერთი ჩვენი თანამემამულე, რომელსაც, როგორც შემდეგ გავიგე, საკმაოდ ცუდი რეპუტაცია ჰქონდა პატიმართა შორის, ცალკე სამუშაოზე გაგვანაწილეს. სამუშაოდ მიმავალი, ზ. გოგიამ შემაჩერა, სიგარეტი მთხოვა და თან სხვათა შორის

მითხრა, რომ აქაურებს ჯერ ყველას კარგად არ ვიცნობდი და ფრთხილად ვყოფილიყავი. ყველაფერი გასაგები იყო და სიცილით მივუგე, თუ ჩემზე ინფორმაციის შეგროვებაში ვინმემ ჩაი უნდა იშოვოს (ინფორმატორებს – „სტუკაჩებს“ ადმინისტრაცია დამატებით, უფასოდ ურიგებდა ჩაის), ბარემ ჩვენებურმა იშოვოს-მეთქი.

„მარსელიეზას“ თავგადასავალი

საფრანგეთის ახლანდელი სახელმწიფო ჰიმნი „მარსელიეზა“ დაწერა ახალგაზრდა სამხედრო ინჟინერმა რუჟე დე ლილმა, 1792 წლის აპრილში. მალე კონვენტის დადგენილებით ის საფრანგეთის რესპუბლიკის ჰიმნი გახდა. იგი მრავალჯერ აკრძალეს და კვლავ აღადგინეს. უკანასკნელად იგი კოლაბორაციონისტმა ვიშიმ აკრძალა და მისი მმართველობის დროს საფრანგეთის ჰიმნი იყო: „მარშალო, ჩვენ შენთან ვართ“.

საინტერესოა, რომ „მარსელიეზას“ ადრეულ მოწინააღმდეგეთა შორის იყო თვით რუჟე დე ლილის დედა, რწმენით მონარქისტი, რომელიც თავის შვილს 1792 წელს სწერდა:

„ეს რა რევოლუციურ ჰიმნს მღერის საფრანგეთში მოხეტიალე ავაზაკთა ბრბო და ჩვენს გვარს უკავშირებს?“.

სამშობლოს მოწოდება

ტრაფალგარის საზღვაო ბრძოლის წინ, 1805 წლის 21 ოქტომბერს, ინგლისელმა ადმირალმა ჰორაციო ნელსონმა თავის ფლოტს მიმართა სიტყვებით:

„ინგლისი მოელის, რომ დღეს ყველა თავის ვალს მოიხდის“.

დიდი და პატარა

ეს ამბავი ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონშია“ მოთხრობილი და არ ვიცით, რამდენად შეესაბამება სიმართლეს. თუმცაღა,

ისტორიის მუზას ხომ არაერთხელ შეუწყნარებია – შელამაზება არა ერთთა და ორთა ამბავთა.

„1804 წელს მირიელი მღვდლად იყო ბრანიოდში. უკვე მოხუცებული, სრულიად განმარტოებული ცხოვრობდა.

ნაპოლეონი რომ იმპერატორად აკურთხეს, იმხანად ბ-ნ მირიელს პარიზში მოუხდა ჩასვლა, თავისი სამწყსოს საქმეებზე. საქმის მოსაგვარებლად, სხვა გავლენიან პირთა გარდა, იგი კარდინალ ფეშთანაც უნდა მისულიყო. ერთ დღეს იმპერატორი თავისი ბიძის სანახავად მივიდა ღირსეული მღვდელი ბ-ნი მირიელიც იქ დახვდა, მისაღებ ოთახში, რომელიც იმპერატორს უნდა გაევლო. ნაპოლეონმა შენიშნა, რომ მოხუცი რაღაც დიდი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა მას, უკან მოიხედა და უკმეხად წამოიძახა:

– ვინ არის ეს პატარა კაცი, ასე რომ მიმზერს?

– ხელმწიფეო, თქვენ პატარა კაცს უმზერთ, მე კი – დიდს, შეიძლება ამით არცერთმა არ წააგოს, – მიუგო ბ-ნმა მირიელმა.

... ცოტა ხნის შემდეგ ბ-ნი მირიელი განცვიფრებული დარჩა, როდესაც გაიგო, რომ დინის ეპისკოპოსად იყო დანიშნული.

უარი ირანს

ირანის მმართველად ქერიმ-ხან ზენდი რომ შეიქნა, ცოტა ხანში ერეკლე მეფეს ელჩები გამოუგზავნა და გაახსენა, წინათ ქართველი მეფეები ირანის შაჰებს ყოველწლიურად თორმეტ ქალ-ვაჟს უგზავნიდნენ და შენ როგორა ხარ პირობაზეო. უნდოდა გაეგო, აღიარებდა თუ არა ქართლ-კახეთის მეფე ირანის გამგებლის უზენაესობას.

პატარა კახმა ელჩები თავაზიანად მიიღო, კარგადაც უმასპინძლა, მაგრამ ირანის მბრძანებელს დანაბარებზე ცივი უარი შეუთვალა, ხოლო ელჩებს უთხრა:

„იცოდეთ, მე ქერიმი ვერ მომატყუებს, ვინაიდან ეშმაკზე ერთი დღით ადრე ვარ დაბადებულიო“.

ვატერლოო

ვიქტორ ჰიუგო ვატერლოოს ომს აღწერს თავის უკვდავ რომანში: „საბრალონი:“

„ცუდად იყო ინგლისელების საქმე, თითქოს მართლდებოდა ის წინათგრძნობა და გამარჯვების ურყევი რწმენა, ნაპოლეონს რომ მშვენიერ გუნებაზე ამყოფებდა ამ საბედისწერო დღეს და იღიმებოდა ეს დემონი ვატერლოოზე, როცა დაღვრემილი იყო აუსტერლიცზე.

ინგლისელების საქმე კი სულ უკან მიდიოდა, მოკლეს პიქტონი, რომელიც მარცხენა ფრთას სარდლობდა.

შეწუხებული იყო ველინგტონი, მაგრამ არ იმჩნევდა, გმირულად იდგა ცხენით ამხედრებული თავისი ამალის წინ. მის ირგვლივ ყუმბარა წვიმდა და ოფიცრები ეცემოდნენ განუწყვეტლივ. მაშინ ლორდმა ჰილმა ჰკითხა მთავარსარდალს:

– რა ბრძანებას გვიტოვებთ მილორდ, თუ თავი შეაკალით მაგ მოურიდებლობით?

– თქვენც ისევე მოიქეცით, როგორც მე – უპასუხა ველინგტონმა.

ტროცკის ლოგიკა და საქმე

რომან დიუგე გადმოგვცემს:

„თბილისში ერთ პატარა ეკლესიასთან ლენინის თაბაშირის ქანდაკება დგას. ტროცკიმ ქალაქში სეირნობისას ამ ეკლესიის წინ გაიარა. ზარები რეკდნენ. ტროცკიმ თქვა:

„ან ეს ძეგლი უნდა დარჩეს, ან – ეს ეკლესია“.

თქვა და გზა განაგრძო. რამდენიმე საათში ეკლესია დახურეს, რამდენიმე დღის მერე კი დაანგრიეს“.

ყველა ხელისუფლის ოცნება

ავსტრიის იმპერატორ ფრანც მეორეს უთქვამს:

„ჩვენ არ გვჭირდება გენიოსები, ჩვენ გვჭირდება კეთილი ქვეშევრდომები, რომლებიც თავის მოვალეობას ასრულებენ“.

ქათმების მაღაზიიდან ეროვნულ მოძრაობაში

1988 წლის მაისში ყოფილ კიროვის პარკში აქცია მიმდინარეობდა. ნოდარ ნათაძე თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „რაც ვიცი“, გვიყვება:

„იქვე გამომიარა გურამ პეტრიაშვილმა – დიდი შავი ჩანთით გაყინული ქათმები მოჰქონდა ფრინველის მაღაზიიდან. მას ვიცნობდი და ვიცოდი, რომ პატრიოტი კაცი იყო. შენი ადგილი აქ არის-მეთქი. გაჩერდა და ამის შემდეგ ამ შემადგენლებიდან აღარც გამოსულა“.

კამათის დასასრული

ნიკიტა ხრუშჩოვი და რიჩარდ ნიქსონი ნიუ-იორკში გამართულ საბჭოთა კავშირის მიღწევათა გამოფენის დათვალიერებისას მუდმივად კამათობდნენ. ხრუშჩოვი ყველაფერ ამერიკულს აკრიტიკებდა. ფოტოჟურნალისტ ელიოტ ერვიტის გადმოცემით, რომელიც მათ იღებდა, ნიქსონი მოთმინებიდან გამოვიდა, მან თითი ატაკა მკერდზე ნიკიტას და შეუტია:

– ჩვენ მდიდრები ვართ, თქვენ კი ღარიბები; ჩვენ ხორცს მივირთმევთ, თქვენ კი კომბოსტოს შეექცევით.

ნიკიტა ხრუშჩოვმა სხვა ვერაფერი მოიფიქრა, მაგრამ არ დააყოვნა:

– Да пошел ты на х...й.

სოლიდარობა

ისევ ნოდარ ნათაძის წიგნიდან:

„დაახლოებით 200-ათასიანი მანიფესტაცია რუსთაველის გამზირზე ახალი დამთავრებულია და კავშირგაბმულობის სახლთან ერთი ძალიან პატარა ტანის შუახნის ქურთი მოდის პლაკატით:

„ძმებო, ქურთები თქვენთან ვართ“.

კაპიტან ბონაპარტის არჩევანი

როდესაც კორსიკელი სეპარატისტებისაგან გამოქცეული კაპიტანი ბონაპარტი კუნძულიდან გაღწევას ცდილობდა, მან ბასტიიდან აიაჩოში მყოფ დედამისს პატარა ბარათი გაუგზავნა, რომელშიც სწერდა:

„მოემზადე! ეს ქვეყანა საჩვენო არ არის".

ბონაპარტების მრავალრიცხოვანმა ოჯახმა თავს უშველა და სამუდამოდ დატოვა სამშობლო.

ჭეშმარიტი ანარქიზმის არსი

ყოფილი ანარქისტი ი. გეიცმანი იგონებს:

1903-1904 წლების ზამთარში, ლონდონში, პოლონურ კლუბში ჩატარდა ლენინის ლექცია აგრარულ საკითხზე. კრებას თავმჯდომარეობდა სოციალ-დემოკრატი ლევ დეიჩი. ლექციას ესწრებოდა და კამათშიც მონაწილეობა მიუღია საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს ვარლამ ჩერქეზიშვილს.

გეიცმანის მოგონება 1924 წელს დაიბეჭდა და, გასაგები მიზეზების გამო, ავტორი ხოტბას ასხამდა ლენინის ლექციას. იგი წერს: ის იმდენად ლოგიკური და დამაჯერებელი იყო, რომ იქ დამსწრე ახალგაზრდა ანარქისტები კრებიდან მაინცადამაინც კმაყოფილები არ დაბრუნებულან. „როდესაც უკვე ხანში შესულ ჩერქეზიშვილს სახლში მივაცილებდით, რომელიღაც ახალგაზრდამ ვეღარ მოითმინა და პრეტენზიული ტონით მიმართა მას:

– უნდა ვაღიაროთ, რომ ლენინის არგუმენტები ძლიერად ურტყამს ანარქიზმს, ჩვენ კარგა გვარიანად მიგვბეგვეს.

ჩერქეზიშვილის პასუხი კლასიკური და ბრძნული იყო:

– ჭეშმარიტმა ანარქისტმა არასოდეს უნდა იგრძნოს თავი დამარცხებულად.

თამაში საბჭოთა პროპაგანდისტების ნერვებზე

ვახტანგ ძაბირაძე მართებულად შენიშნავს, რომ რონალდ რეიგანის განცხადებები „ნერვებს უშლიდა და აცოფებდა საბჭოთა პროპაგანდას“ და იქვე იგონებს ერთ ეპიზოდს: ჟენევაში აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ბირთვული შეიარაღების მწვავე პრობლემებზე. ჟურნალისტი ეკითხება რეიგანს:

– ხომ არაფერი ცნობაა ჟენევიდან?

– ძალიან სასიამოვნო ინფორმაცია მივიღე, – უპასუხა პრეზიდენტმა და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა, – ჩემი ცოლისთვის საათი უკვე დაუმზადებიათ.

მეფე და გლეხი

მეფე ერეკლეს დაღონებული გლეხი შემოხვდა მცხეთის ტბასთან. რა მოგივიდაო, ეკითხება მეფე. რაღა რა მომივიდაო, უპასუხა გლეხმა, ქალაქისკენ მოვდიოდი, გზაზე დავიღალე, ცხენიდან ჩამოვხტი და ცოტა წავიძინე. როცა გამომეღვიძა, ვნახე, რომ ცხენი მოუპარავთო.

– კი მაგრამ, შე კაი კაცო, ცხენიანი კაცი გზაში რამ დაგაძინა?

– ეეჰ მეფეო, მე მეგონა, შენ გეღვიძა – მიუგო გლეხკაცმა.

გაოცდა მეფე გვირგვინოსანი, თან ესიამოვნა გლეხის სიბრძნე და აზნაურობა უბოძა.

შეფასებები

როცა ნაპოლეონი იმპერატორი გახდა, ფრანგულ საზოგადოებაში მისი მომხრეებიც აღმოჩნდნენ და მოწინააღმდეგეებიც. „მარსელიეზას“ ავტორმა რუჟე დე ლილიმ ბონაპარტს აღშფოთებით მისწერა: „თქვენ დაიღუპებით და, რაც უფრო უარესია, თქვენთან ერთად დაღუპავთ საფრანგეთსაც“.

მაშინდელი გამოხმაურებებიდან კიდევ ერთი პოლ-ლური კურიეს ეკუთვნის:

„იყო ბონაპარტი და გახდე იმპერატორი! რა დაცემაა!“.

პარტიის პრინციპი

საქართველოს ე. წ. სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ვინმე თენგიზ ჯგუშია საარჩევნო სტრატეგიის შესახებ განმარტავდა: „ვინც ჩვენს პლაკატებს ჩამოხევს, მეორე დღეს რეანიმაციაში იქნება. ჩვენი საარჩევნო პრინციპია 3+10+20, ე. ი. სამი კაცი კომისიაში, 10 მეთვალყურე და 20 – დამრტყმელი ძალა.

ტანკით გაზაფხულზე

გვინდა თუ არა, ჯაბა იოსელიანიც ჩვენი ისტორიის ნაწილია და მასაც მოვუსმინოთ, რას გადმოგვცემს თავის წიგნში „სამი განზომილება“:

„ქალაქის კომენდანტი ლანჩავა ცოლს ბაზარში ტანკით მიაგრუხუნებს. დილით კომენდატურიდან გაუვლის, ფანჯარაში შესძახებს და ისიც კალათებით ჩამოცუნცულდება. იქვე ქალების ბრბო შეკრებილა.

– აა, მიტინგია? – იძახის ლანჩავა და ტანკის ლულას მათკენ ატრიალებინებს.

– არა კაცო, – ყვირიან ქალები, – პურის რიგია, პურის.

– ჰოო? მაშინ ორი პური მეც ამიღეთ.“.

გენერლის ალიბი

ქ-ნი ლენა ყურაშვილი საკუთარი მეუღლის, გენერალ გუჯარ ყურაშვილის შესახებ ირწმუნებოდა:

„შეთქმულებაში მონაწილეობა? ეს გამორიცხულია, ამისთვის მას ჭკუა არ ეყოფოდა“.

ურთიერთობა ლაპარაკის გარეშე

დონელი კაზაკების ატამან გრაფ მატვეი პლატოვს უყვარდა გენერალ-ფელდმარშალ ბლიუხერთან არყის სმა. ისინი, ჩვეულებრივად, ხმაამოუღებლივ და ბევრს სვამდნენ. ბოლოსდაბოლოს ბლიუხერი უგონოდ ჩაემხობოდა ხოლმე მაგიდაზე, რის შემდეგაც ადიუტანტებს ხელით მიჰყავდათ ეკიპაჟში. პლატოვი მარტო და უკმაყოფილო რჩებოდა:

– მიყვარს ბლიუხერი, სასიამოვნო ადამიანია... ერთი ცუდი ნაკლი აქვს, ვერ უძლებს...

– კი მაგრამ, – შეპბედა ერთხელ ადიუტანტმა და თარჯიმანმა სმირნოვმა პლატოვს, – ბლიუხერმა არ იცის რუსული, თქვენ კი გერმანული... რით ხართ კმაყოფილი მასთან ურთიერთობაში?

– ეხ! თითქოს ლაპარაკი საჭირო იყოს... მე ლაპარაკის გარეშეც ვიცი მისი გული... ის იმითაა სწორედ სასიამოვნო, რომ გულისხმიერი ადამიანია.

პარტიის გადაწყვეტილება

1999 წლის არჩევნების პერიოდში ე. წ. სოციალისტური პარტიის ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი აცხადებდა:

„იმდენად მძიმე და დაძაბული პერიოდია, არჩევნებამდე პროვოკაციას ვერ გამოვრიცხავ, ამიტომ გადავწყვიტეთ, სმისაგან თავი შევიკავოთ".

განაწყენებული თურქეთი

1997 წლის დეკემბერში გამართულ სამიტზე ლუქსემბურგში, თურქეთს კვლავ უარი ეთქვა ევროკავშირში შესვლაზე. თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები მხოლოდ პროტოკოლით გათვალისწინებულ ერთობლივ სადილზე მიიწვიეს. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა უარი განაცხადა მიწვევაზე და მასპინძლებს შეუთვალა:

„კარგად სადილობა თურქეთშიც შეიძლება".

არასახარბიელო წინასწარმეტყველება

კუტუზოვს რომ გენიალურობას მიაწერენ, იმ ავტორთა შორის ლევ ნიკალაევიჩ ტოლსტოიცაა. ისტორიკოს ალბერტ მანფრედს თავის შესანიშნავ წიგნში ნაპოლეონის შესახებ, მოჰყავს ამონარიდი ტოლსტოის „ომი და მშვიდობიდან“. საქმე ეხებოდა აუსტერლიცის ომის წინადღეს, იმ ზეამაღლებულ განწყობილებას, რომელიც სუფევდა მოკავშირე ავსტრიელებისა და რუსების სამხედრო სარდლობაში. ისინი დარწმუნებულები იყვნენ გამარჯვებაში.

„უკან რომ ბრუნდებოდნენ, თავადმა ანდრეიმ ველარ შეიკავა თავი, რომ არ ეკითხა მდუმარედ მჯდომი კუტუზოვისათვის, თუ რას ფიქრობდა ის ხვალინდელი ბრძოლის შესახებ.

კუტუზოვმა მკაცრად შეხედა თავის ადიუტანტს და ცოტაოდენი დუმილის შემდეგ უპასუხა:

„მე ვფიქრობ, რომ ბრძოლა წაგებული იქნება“.

სახიფათო ექსპერიმენტი

1906 წლის ქართულ ანარქისტულ ჟურნალში „ნობათი“ გადმოცემულია 1848 წლის რევოლუციის ერთი ეპიზოდი დრეზდენში, რომელშიც ხელმძღვანელ როლს ასრულებდა სახელგანთქმული რუსი რევოლუციონერი მიხეილ ბაკუნინი.

დრეზდენის ალყის თუ იერიშის წინ, როცა პრუსიელი ჯარისკაცები ქალაქის კარს მიადგნენ, „ბაკუნინმა გამოატანინა მუზეუმიდან რაფაელის მადონა და დაადგმევინა ქალაქის ჭიშკრის ზევით: ვნახოთ, პრუსიელები თუ გაბედავენ და დახვრეტენ ამ უძვირფასეს განძს ძველი ხელოვნებისაო. პრუსიელებმა მართლაც ვერ გაბედეს რაფაელის მადონას დახვრეტა და ბაკუნინმა ამასობაში დრო მოიგო.

„თუ მადონას სიცოცხლეში არ უქნია სასწაული, შემდეგ მისმა სურათმა ხომ მაინც მოახდინაო“, ხუმრობდა ბაკუნინი.

როგორ „უყვარდათ“ რუს მთავარმართებლებს ქართველები

საქართველო-კავკასიის მთავარმართებელი ალექსანდრე ტორმასოვი რუსეთში ასახლებს იმერეთის ბაგრატიონებს. ერთი ბატონიშვილი დავით ბაგრატის ძე არგვეთში ცხოვრობს განმარტოებით და მის შესახებ სწერს ტორმასოვი გენერალ სიმონოვიჩს, იმერეთის ოლქის უფროსს:

– ასევე გამოგზავნეთ თბილისში ბაგრატ ბატონიშვილის ძე – დავითი, რომელიც არგვეთში ცხოვრობს. მართალია, თქვენი აღწერილობის მიხედვით, ის გონებასუსტია და ხალხში არავითარი გავლენა არა აქვს, მაგრამ, იმის გამო, რომ იმერეთის ხალხი კიდევ უფრო გონებასუსტია და შეიძლება იგი გამოიყენონ, ეს ბატონიშვილიც გამომგზავრებული უნდა იქნას თბილისში.

ამის შემდეგ კრებულში ვათავსებთ გაზეთ „ივერიიდან“ სოლომონ ცაიშვილის მიერ შეკრებილი „ნაკვესების“ შვიდ ეპიზოდს. „ივერიის“ სტილი შენარჩუნებულია, მხოლოდ სათაურებია ჩვენ მიერ ჩამატებული.

პლატონ იოსელიანი და საბერძნეთის მეფე

ვარანცოვმა რომ პლატონ იოსელიანი ათონის მთაზე გაგზავნა. პლატონმა სხვათა შორის საბერძნეთის მეფე ოტტონიც ნახა.

როდესაც ჩვენი ფილოსოფოსი წარსდგა მეფის წინაშე, მეფემ შემდეგი თავაზიანი სიტყვა უთხრა:

– მე დიდად მიხარიან, რომ გხედავ შენ, მშვენიერის საქართველოს ერის წარმომადგენელსაო.

მშვენიერებაზედ შორს მყოფმა ჩვენმა სწავლულმა ამ პასუხით მოირიდა ეს საქებარი:

– თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ, არ იფიქროთ, რომ სხვებიც ისეთნი არიან საქართველოში, როგორც მე, მოგეხსენებათ, ოჯახს თითო მახინჯი მაინც არ მოაკლდებაო.

პოეტი-გენერალი და ჩიბუხი

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ჰკითხეს: ჩიბუხს რატომ არ სწევთო? „გოგჩის ტბის“ დამწერმა უპასუხა:

„მე ჩიბუხისა წევითა ვერ გადავივლი მთასაო,
ასე რომ ბოლი მიყვარდეს, ბუხარში შევყოფ თავსაო“.

მეფე და მეომარი

მეფე ერეკლემ ერთს გაძლიერებულ ომში თვალი შეასწრო, ერთი მეომარი ომიდან გამოსულიყო და შუა გადამტყდარი ხმალი ხელთ ეპყრა. მეფემ შესძახა:

– რას უდგეხარ და არა ომობ?

– ბატონო, ხმალი გადამიტყდა და დამოკლდა, – უპასუხა მეომარმა.

– ფეხი წინ წადგი და დაგრძელდება, – უბრძანა მეფემ და ომში შეერია.

თავადი კიკო ჩოლოყაშვილი

დავით ჭავჭავაძის (ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილის) გვამი ქალაქიდან შუამთაში რომ წაასვენეს, მუღანლოს დაუხვდა თავადი კიკო თადიას ძე ჩოლოყაშვილი თავის თათრებითა და სხვა ამალით და ჩინებული სიტყვა უთხრა განსვენებულს: „ე, თითო-თითოდ რომ მიდიხართ, ვისღა სტოვებთო!“ უთხრა, სხვათა შორის, ორატორმა, ჭეშმარიტის გრძნობითა და მწუხარებით.

შუამთაში დასაფლავების დროს თავადმა კიკომ ხელმეორედ ბრძანა სიტყვა და სხვათა შორის თქვა:

– შენი ოჯახი პირველი ოჯახი იყო საქართველოში; შამილმა შენი სახლი რომ აიკლო, ეგ იკმარა და გაბრუნდა, რადგანაც ეგონა, მთელი საქართველო ავიკელიო. თვითონ ერიც სხვაგვარად გიყურებდათ თქვენ. ჩვენს ქვეყანაში თავადობას მეფეები

აძლევდნენ საზოგადოდ, თქვენ კი თვით ერმა მოგანიჭათ ეს წოდება, მთელს კახეთში „კნიაზიანთ“ ოჯახს მარტო თქვენს ოჯახს ეძახდნენო.

დასაფლავება რომ გათავდა და სადილზედ დასხდნენ, კიკო მივიდა თავად გიორგი ჭავჭავაძესთან, მხარზედ ხელი დაჰკრა და ხუმრობით უთხრა: აბა, გიორგი! ხომ ნახე, როგორ გავაპატიოსნე მე დღეს ჭავჭავაძიანთ გვარიო.

– კნიაზო, კიკო, მართლა რომ დიდი ვალი დაგვდევი მთელ ჭავჭავაძიანთ დღევანდელის თქვენის სიტყვით. ღმერთმა ჰქნას, მალე გადაგიხადოთ მაგიერი, – უპასუხა გიორგი დავითის ძე ჭავჭავაძემ.

პეტრე დადიანი და ულვაშები

პეტრე დადიანი მოხუცებულობის დროს ულვაშებს იღებავდა. ერთხელ მეფისნაცვალმა ჰკითხა: კნიაზო პეტრე, რისგან არის, რომ ულვაშები შავი გაქვს და თმები თეთრიო.

– თქვენო ბრწყინვალებავ, – მოახსენა პეტრემ, – ეს თმები ოცის წლით უფრო ხნიერია ამ ულვაშებზე და რა გასაკვირველია.

„დიდი კნიაზი“ გიორგი ერისთავი

გრაფი პასკევიჩი რომ თავრიზზე მიდიოდა, მოწინავე ჯარით წინ გაისტუმრა თავადი გიორგი ერისთავი, „დიდ კნიაზად“ წოდებული. შტაბის უფროსად გიორგი კნიაზს ჰყოლია მურავიოვი. ეს წინა ჯარი თავრიზს რომ მიახლოვებულა, გიორგი კნიაზს აღარ მოუცდია პასკევიჩისათვის და მოუწადინებია თავრიზის აღება მარტო თავისის ჯარით. ვიდრე იერიშს მიიტანდნენ, გიორგი კნიაზმა სათათბიროდ მოიწვია ყველა თავისი ხელქვეითი აფიცრები. ყველამ ერთხმად მოიწონა გიორგი კნიაზისა, მხოლოდ მურავიოვი წინ აღუდგა და სთქვა:

– ნუ ინებებ ბატონო მაგას, მოვუცადოთ პასკევიჩს, ჩვენ

ცოტა ჯარი გვყავს, ყიზილბაშები სიმაგრეებში არიან და უსათუოდ დაგვამარცხებენო. რაც აქამდე გავიმარჯვეთ, სულ ამაოდ ჩაგვივლის და დიდ პასუხისგებაში მივეცემითო.

– ჩვენ კი ან ავიღებთ, ან სულ გავწყდებით და ვაი თქვენი ბრალი, რომ მარტო თქვენ გადარჩებით და პასუხიც თქვენ მოგეკითხებათო, – უთხრა თურმე გიორგი კნიაზმა.

ილია და აკაკი

ერთხელ ილია ჭავჭავაძეს ჰკითხეს: რატომ არის, რომ აკაკი სულ შენზე ძვირს ლაპარაკობს და შენ კი მას მუდამ აქებო.

– ორივე ვცდებით, – უპასუხა ილიამ.

საკადრისი პასუხი

ერთხელ ტიულრის სასახლეში გამართულ წვეულებაზე თუ მიღებაზე იმპერატორმა ნაპოლეონმა არცთუ ტაქტიანად ჰკითხა ჰერცოგინია დე ლინს:

„მითხარით, თქვენ ისევ ისე გიყვართ მამაკაცები?“.

პასუხიც საკადრისი მიიღო:

„დიახ ხელმწიფევ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ისინი კარგად არიან აღზრდილები“.

მუხრანბატონის სიფრთხილე თუ...

როცა იმერეთის თავადაზნაურობის დელეგაცია ერეკლე მეორეს ეახლა და იმერეთის ქართლ-კახეთის სამეფოსთან შეერთება სთხოვა, მეფემ დარბაზობა მოიწვია და საკითხის განხილვა ბრძანა. ისტორიამ შემოგვინახა ცნობა, რომ საქართველოს გაერთიანების გულმხურვალედ დაუჭირეს მხარი ორატორებმა: ჭაბუა ორბელიანმა, ქაიხოსრო წერეთელმა, ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილმა... მოკლედ, დარბაზის უმრავლესობა ქვეყნის გაერთიანებას ითხოვდა.

ერთადერთი კაცი იყო წინააღმდეგი – მეფის სიძე, იოანე მუხრანბატონი, რომელიც ამბობდა:

„დაკავშირება იმერეთისა, დიახ, ძნელია, ჩვენ ქართველთა ვერ მოგვივლია ჩვენთვის, ვითარ მოვუაროთ იმერეთსა? რათ ვექმნეთ პატრონად ქუეყანასა, რომელსაც ჰყავს საკუთარი პატრონი – შვილიშვილი მეფისა?“.

ამის პასუხად მუხრანბატონს და დარბაზს საშინლად აღელვებულმა სარდალმა დავით ორბელიანმა მიმართა:

„მართლად აღიარებს მუხრანბატონი, რომ ვერ მოუვლის იგი დღეს ქვეყანასა თავისის ხრმლითა და ბაირაღითა. მოვა დრო და მისცემს ღმერთი სხვასა მუხრანისბატონსა, რომლისა ხრმალი უფრო მჭრელი იქმნება“.

ᲛᲓᲣᲛᲐᲠᲔ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ

მეტელუს პიუსს ესპანეთში ბრძოლების დროს ჰკითხეს, თუ რის გაკეთებას აპირებდა მომდევნო დღეს. მან უპასუხა:

„ჩემს ტუნიკას ლაპარაკი რომ შესძლებოდა, დაუყოვნებლივ დავწვავდი“.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢ ᲖᲝᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

მეთერთმეტე არმია ახალი შესული იყო სამხრეთ საქართველოში, რომ ერთმა ახალციხელმა თუ ახალქალაქელმა სომეხმა ძალმომრეობისათვის რუს ჯარისკაცებს უჩივლა. მაშინ სომეხმა კომუნისტმა ზორიანმა უპასუხა:

„თურქების აქ მოსვლას სჯობს, ყველა ჩვენი ქალი რუსმა ბოლშევიკებმა გააუპატიურონ“.

ᲜᲔᲡᲢᲝᲠ ᲛᲐᲮᲜᲝᲡ ᲝᲘᲜᲔᲑᲘ

თეთრგვარდიელი ავტორი ნ. მ. გერასიმენკო თავის მემუარებში ნესტორ მახნოს შესახებ აღწერს მახნოველების ერთ-ერთ ტიპურ მიტინგს.

„აგერ, მახნო მოედანზეა. ის გარშემორტყმულია თავისი მუდმივი ამალით. აქ არიან ანარქიზმის თეორეტიკოსებიც – ვოლინი, არტენი და ბარონი, ლამაზმანი ლიაშჩენკოც, მეზღვაურის ქუდით და მაღალ, ზონრებიან ბატინკებში, დეზებით; გუროც... და ბევრი სხვაც...

მახნო ლაპარაკობს მკვეთრად, დაულაგებლად, ხან უკლებს, ხან უმატებს ხმას, 5–10 სიტყვისაგან შემდგარი ყოველი წინადადების შემდეგ კი იმეორებს თავის მუდმივ, მრისხანებით სავსე ფრაზას: „и только“; ის ლაპარაკობს ქალაქების აუცილებელი გაქრობის შესახებ, რომ ქალაქები არაა საჭირო თავისუფალი ადამიანების ცხოვრებისთვის... უნდა მივატოვოთ ახლავე ქალაქები, წავიდეთ სოფლებში, სტეპებში, ტყეებში და იქ დავიწყოთ ახალი, თავისუფალი, გლეხური ცხოვრება...

როდესაც ნესტორ მახნომ ცოლი შეირთო, ქორწილი გადაიხადა თავის მშობლიურ სოფელ გულიაი-პოლეში. თავაწყვეტილი სმა და ღრეობა ათ დღეს გრძელდებოდა და ქორწილმა კულმინაციას მიაღწია, როცა ნესტორ მახნომ საზეიმოდ გამოაცხადა „გულიაი-პოლეს თავისუფალი სახალხო-ანარქისტული რესპუბლიკა“, ხოლო თავისი თავი – მის პირველ პრეზიდენტად.

უჩვეულო სტანდარტი

სერგეი იულიევიჩ ვიტტე, რუსეთის მომავალი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, იგონებდა:

„იმპერატორ ალექსანდრე მესამის დაკრძალვაა. უამრავი ხალხია, ყველგან სამხედროებია. აღარ მახსოვს ვინ მოდიოდა ჩემ გვერდით პროცესიაში. „ნევის პროსპექტზე უცებ მესმის ხმა: „სმენა“. უნებურად მაღლა ავიხედე და დავინახე ახალგაზრდა ოფიცერი, რომელმაც სამღვდელოებისა და კუბოს მიახლოებისას ესკადრონს ბრძანება მისცა: „Смирно“. მაგრამ ამ შეძახილს მოჰყვა შემდეგი ბრძანება: „Голову направо, смотри веселей“.

ეს იყო როტმისტრი ტრეპოვი, რომელიც შემდგომ გახდა მოსკოვის გუბერნატორი, პეტერბურგის გენერალ-გუბერნა-

ტორი, ბოლოს იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და 1905 წლისთვის კი ზამთრის სასახლის კომენდანტი. მას იმპერიის ფაქტიურ დიქტატორად მიიჩნევდნენ.

რუსი მთავარმართებლის ნებართვა

რუსული პოლიტიკის არსი საქართველოში ჯერ კიდევ 1770 წელს ჩამოაყალიბა იმპერიის კანცლერმა ნიკიტა პანინმა, გენერალ ტოტლებენისადმი გაგზავნილ საიდუმლო ინსტრუქციაში:

„უნდა ვცადოთ, საქართველოში საქმე ისე მოვაწყოთ, რომ... ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს, მაგრამ ისე, რომ სული აქაური (ე. ი. რუსული – დ. შ.) იყოს, ხოლო სხეული – ქართული".

მაგრამ ხშირად რუსი ჩინოვნიკები „სხეულის ქართულობასაც" ვერ იტანდნენ. მაგ., რუსული მმართველობის დამყარების პირველ ათწლეულებში, იმერეთში, ისინი ქართველი მოხელეების მიერ ულვაშების ტარებასაც ვერ ეგუებოდნენ. როგორც მკვლევარი რევაზ ლომინაძე აღნიშნავს, საჭირო გახდა მთავარმართებელ გოლოვინის ჩარევა. იგი ერთ მითითებაში წერდა, რომ მან გაითვალისწინა იმერეთის დროებითი მმართველობის მდივანბეგების, თავადების, დავით მხეიძისა და დავით აბაშიძის თხოვნა, რომ ქართული ჩვეულებისამებრ, „ულვაში უხდება აქაურ ეროვნულ კოსტიუმს" და ნება დართო მათ, ჰქონოდათ ულვაში.

ღრმად ჩამარხული შიში

შეიძლება ითქვას, რომ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ემანუელ-ჟოზეფ სიეიესი ერთ-ერთი არასაინტერესო პიროვნება იყო – უხმაურო, სიტყვაძუნწი, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისიდან, ალბათ, ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილე, იაკობინელთა კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი, ნაპოლეონის პირველი კონსულობის დროს სამიდან

ერთ-ერთი კონსული; იგი მოესწრო და გადაიტანა მრავალი ხელისუფლება; მისი პასუხები ნებისმიერ კითხვაზე იყო ორაზროვანი, საიდანაც „ჰოც“ გამოდიოდა და „არაც“.

როგორც ალბერტ მანფრედი წერს, ფართოდ იყო ცნობილი სიეიესის პასუხი კითხვაზე, თუ რას აკეთებდა იგი ფრანგული რევოლუციის შფოთიან ეპოქაში:

„მე ცოცხალი ვრჩებოდი“.

მაგრამ, როგორც ჩანს, შფოთიანმა დრომ ისეთი ღრმა შიში დაუტოვა სიეიესს, რომ, უკვე სიბერეში, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, თურმე განუწყვეტლივ იმეორებდა ერთსა და იმავეს: „თუ ბატონი რობესპიერი მოვა, უთხარით, რომ მე სახლში არა ვარ“.

ისევ სიეიესი

ისევ ემანუელ-ჟოზეფ სიეიესს უნდა დავუბრუნდეთ მცირე ხნით, რადგან მას ეკუთვნის უკვდავი სიტყვები, რომელიც მსოფლიო ისტორიის ყველა დროს, მმართველსა და ხალხებს ეხება:

„დიდი ადამიანები გვეჩვენებიან დიდებად იმის გამო, რომ ჩვენ მუხლებზე ვართ დაჩოქილები. მოდით, ფეხზე წამოვდგეთ!“.

კრედო

აშშ-ის მომავალმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა, სკოლა რომ დაამთავრა, სასწავლებლის დაფაზე მისი ფოტოც გამოიფინა. ბიჭუნას ფოტოს ქვემოთ მოყვანილი იყო მისი მაშინდელი ცხოვრებისეული კრედოც:

„ცხოვრება – ეს ერთი მთლიანი მომხიბვლელი სიმღერაა, ასე რომ, დაუკარით!“.

იმპერატრიცას შენიშვნა-განაჩენი

ეკატერინე II თავს იწონებდა ვოლტერთან და დიდროსთან მიწერ-მოწერით, მაგრამ განმანათლებლობის იდეები დაუშვებლად მიაჩნდა რუსეთისთვის. მან ციმბირში გადაასახლა რუსი განმანათლებელი ალექსანდრე რადიშჩევი. როცა იმპერატრიცა რადიშჩევის განთქმულ ნაწარმოებს: „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში“, კითხულობდა, თავის მოსაზრებესაც ურთავდა წიგნის მინდვრებზე. იმპერატრიცა განსაკუთრებით გააღიზიანა რადიშჩევის მიერ ონორე მირაბოს შესახებ გამოთქმულმა ქება-დიდებამ. მირაბომ სახელი გაითქვა აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ თავისი გამოსვლებით. ერთ-ერთ შენიშვნაში იმპერატრიცამ წააწერა:

„აქ რადიშჩევი ხოტბას ასხამს მირაბოს, რომელიც იმსახურებს არა მარტო ერთ, არამედ რამდენიმე სახრჩობელას“.

სიტყვა და საქმე

ისტორიკოს გოჩა ჯაფარიძეს მოჰყავს მუსლიმი მემატიანე აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადის ცნობა ჯალალ ად-დინის მიერ საქართველოს მეფე რუსუდანთან მოლაპარაკებების შესახებ. ალ-ბაღდადი წერს:

„როცა მოახლოვდნენ ხვარაზმელები, მათი ელჩი ეახლა ქართველთა დედოფალს ტკბილი სიტყვით. და როცა ის მათთან იყო დარბაზობაზე, მოვიდა მაცნე ამბით, რომ ეს ხალხი (ხვარაზმელები) არბევდა (ქართველთა) ქვეყნის სანაპიროებს. მაშინ დედოფალმა უთხრა ელჩს:

– განა ასე იქცევიან მეფეები? ელჩს ერთს ალაპარაკებენ და თვითონ კი საწინააღმდეგოს აკეთებენ?

და ბრძანა მისი გაძევება“.

ფრანგების შესახებ

1916 წელია, 6 მაისი. რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-სთან აუდიენციაზე არიან საფრანგეთის ელჩი რუსეთში მორის პალე-

ოლოგი და საფრანგეთიდან მოსალაპარაკებლად ჩამოსული პოლიტიკოსები: ალბერ ტომა და ვივიანი. ფრანგების მიზანია მიმდინარე მსოფლიო ომში რუსული ჯარების გააქტიურება, რათა საფრანგეთისა და ბრიტანეთის ჯარებს მძიმე მდგომარეობა შეუმსუბუქდეს. ვივიანი ლაპარაკობს დამაჯერებლად, ხატავს ფრანგების გმირული ბრძოლის სურათებს. იმპერატორი აწყვეტინებს:

– გერმანელები კი ირწმუნებოდნენ ომამდე, რომ ფრანგებს არ შეუძლიათ იყვნენ კარგი ჯარისკაცები.

ვივიანი სხარტად პასუხობს:

– დიახ, ეს მართალია ხელმწიფევ: ფრანგი ჯარისკაცი არ არის – ის მეომარია.

შაჰ აბასის დიალოგებიდან

ირანელი ისტორიკოსი ნასროლა ფალსაფი შაჰ აბასის შესახებ წერს:

„შაჰმა, როგორც მას წესად ჰქონდა, სომეხ ხოჯა ნაზარს ჰკითხა:

– სომხების აზრით, საქართველოს ქრისტიანები სჯობიან თუ ევროპის ქვეყნებისა?

ხოჯა ნაზარმა (რომელსაც ქართველი ცოლი ჰყავდა), მიუხედავად იმისა, რომ სომხები და ქართველები ერთმანეთს მტრობდნენ, ასე უპასუხა:

– ქართველები მარხვის წესებს ევროპელებზე უკეთ და მათზე უფრო ზუსტად იცავენ.

შაჰი ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა და ხოჯა ნაზარმა ზემოთქმულს დაუმატა:

– სხვა რელიგიურ წესებს ევროპელ ქრისტიანებზე უფრო ზუსტად ქვეყნად არავინ იცავს.

მაშინ შაჰი ჟან რადეს (ფეხშიშველ კარმელიტთა სექტის ბერს) მიუბრუნდა და შეეკითხა:

– რომელნი სჯობიან, ქართველები თუ სომხები?

მან უპასუხა:

– ყოველ ერში კარგებიც არიან და ცუდებიც.

მაგრამ, რადგანაც შაჰი ზუსტ პასუხს მოითხოვდა, მან ასე განაცხადა:

– ჩემი აზრით, სომხები სჯობიან.

– მართალი ხარ, – თქვა შაჰმა, – ჩემი შეხედულებითაც, მუსლიმების შემდეგ დედამიწაზე სომხებზე უკეთესი არავინ მოიძებნება".

ფანტასტიკური ქალაქი

გრიგოლ რობაქიძე თავის დაუმთავრებელ რომანში „ფალესტრა", წერს:

„ტფილისი უცნაური ქალაქია, ხოლო 1919-1920 წლებში კიდევ უფრო აუცნაურდა. გამორეკილი თუ გამოქცეული რუსები თავს აქ აფარებდნენ. სცენიდან გაისმოდა კაჩალოვის ხმა („სამხატვრო თეატრი" აქ იყო): ხან ეშმასა და ივანეს („კარამაზოვებიდან") დიალოგს ორმაგ შლიდა, ხან პუშკინის „მებადური და ოქროს თევზის" ზღაპარს ეპიური დანელებით ხვითოებად ჰყრიდა. ტფილისშივე იყო ნ. ნ. ხოდატოვ. სცენიდან მისი ხმაც ისმოდა: თამაშობდა დოსტოევსკის მიშკინს, ან და ლექსებს კითხულობდა რუსეთზე რუსი პოეტებისას (უყვარდა მაქსიმილიან ვოლოშინის ლექსები და მათ შორის „სტენკა რაზინ"). კომპოზიტორი ნ. ნ. ჩერეპნინ კაფეში შედიოდა მთვრალი (სიმთვრალეს ვერ შეატყობდით) და ნაღვლობდა რუსეთზე. შემდეგ მუსიკაზე გადადიოდა და უეცრად წამოიძახებდა: აცადეთ ჩემს საშას – (საშა ძე იყო მისი სკვითურ-სლავურ აღნაგობით) – აბა რა ჰქნას! მხატვარი იური სერგეევიჩ სუდეიკინ რესტორანს ხატავდა, რომელსაც ქართველმა პოეტებმა „ქიმერიონი" დაარქვეს (სუდეიკინმა მართლაც აავსო რესტორანი ქიმერებით). მხატვარ საველიი აბრამოვიჩ სორინს ქართველ ყელმოღერებულ თავადის ასულების პროფილები ტილოზე გადმოჰქონდა: „ლამაზი – მეტად ლამაზი" ხაზებით. დრამატურგი და თეატრალი ნ. ნ. ევრეინოვ, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც „თეატრს თავისთვის" სთხზავდა და შერჩეულ წრეებში „самое главное"-ს

კითხულობდა. პოეტი სერგეი მიტროფანოვიჩ გოროდეცკი, კავკასიის ფრონტის დარღვევის შემდეგ, ტფილისში დარჩა და ამრავლებდა „პოეტების ცეხს“, საცა ქალი უფრო მეტი იყო, ვიდრე ვაჟი და ერთი-მეორის „გაცნობა“ კიდევ უფრო მეტი, ვიდრე პოეზია. პოეტი სერგეი ლვოვიჩ რაფალოვიჩიც ჩამოვიდა ბაქოდან და არ შეუწყვეტია სანერ მანქანის რახრახი, რომლითაც იგი უთვალავ ლექსებს სთხზავდა. ვინ არ იყო მაშინ ტფილისში? ფუტურისტებმაც აქ გადადგეს ნაბიჯი დადაიზმისაკენ. მათ შექმნეს ორგანო „41 გრადუსი“ – (ალბად სიცხის ნიშანი, როცა ბოდვა იწყება)...

ტფილისი გახდა პოეტების ქალაქი, კაფე „ინტერნაციონალში“ იგი კიდეც გამოაცხადეს პოეტების ქალაქად. კიდევ მეტი: გაიძახოდნენ – პოეზია მარტო ტფილისშიაო. პაოლო იაშვილი სწორედ ამ ხანებში თავს დაეცა ტფილისს, როგორც არტურ რემბო პარიზს. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა მან, რომ ტფილისის აღება ბოჰემით და ლექსით უფრო ძნელია, ვიდრე პარიზის. ტიციან ტაბიძე ორპირის ჭაობში და მალარიაში ლაფორგის მთვარის სიყვითლეს ხედავდა და ლექსებში მასავით უყეფდა ამ ყბად-აღებულ მნათობს. მას ისიც ეგონა, რომ ორპირის ყანჩი ლოტრეამონის „მალდარორივით“ დაიწყებდა დითირამბულ მონოლოგებს, გრიგოლ რობაქიძეს ამ დროს მხოლოდ ორი რამე აწვალებდა: აპოკალიფსი და დიონისო. ამავე დროს ამზადებდა იგი „ორღობის ეშაფოტს“ და „პატმოსის რიტმებს“. ქვეყანა მართლაც იქცეოდა – და მხოლოდ ტფილისი იყო ერთად ერთი ქალაქი, რომელიც ამ „ქცევას“ პოეტური მღერით ხვდებოდა (უდარდელობით ხომ არ აიხსნება, აღმოსავლურით თუ ქართულით?).

სიმართლის უფლება

ვახტანგ ძაბირაძე თავის პოლიტიკურ მოგონებათა წიგნში „ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილები“, ერთ ძველ ანეკდოტს თუ ნამდვილ ამბავს გადმოგვცემს: „ცნობილ ლიტერატურულ კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტს ოჯახურ წრეში საკმაოდ ცუდად

მოუხსენიებია ერთი ქართველი პოეტის შემოქმედება. რამდენიმე დღის შემდეგ ეს პოეტი შეხვედრია ბატონ ბესოს და საყვედური უთქვამს. კრიტიკოსი ძალიან გაუღიზიანებია ამ საყვედურს და უპასუხია:

– რა გინდა კაცო, პრესაში გაქე, რადიოში გაქე, ტელევიზიაში გაქე და სახლში მაინც მათქმევინე სიმართლე.

დედოფლის შეცდომა

ამბობენ, რომ ერთხელ „როლინგ სტოუნზის“ ლიდერს, მიკ ჯაგერს დაურეკა ბრიტანეთის დედოფალმა და შეატყობინა, რომ სურს მიიწვიოს „ბიტლზის“ ყველა სოლისტი და ესაუბროს, რამდენად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როკჯგუფმა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

– ამის შემდეგ მე თქვენთან საუბარს აღარ ვაპირებ, – არცთუ ზრდილობიანად უპასუხა მიკმა.

იმ საღამოს ელისაბედ II-მ „დღიურში“ ჩანაწერი გააკეთა:

„დღეს ვესაუბრე მიკ ჯაგერს. მომეჩვენა, რომ უხასიათოდ იყო“.

ვის რა ეხება

ერთი ოფიცრის ცოლმა თავის ქმარს უჩივლა სუვოროვთან.

– თქვენო ბრწყინვალებავ, ის მე ცუდად მექცევა.

– ეს მე არ მეხება, – უპასუხა მხედართმთავარმა

– კი მაგრამ, ის თქვენც გლანძღავთ.

– აი, ეს კი, დედილო, თქვენ არ გეხებათ.

ჩვენი წინაპარი პარლამენტი

1921 წლის 1 თებერვლის გაზეთ „სახალხო საქმეში“ ვკითხულობთ:

„მოხდა ინციდენტი დამფუძნებელ კრებაში. სხდომებს

შორის შესვენებაზე, დამფუძნებელი კრების წევრები სოციალ-დემოკრატი ბენია ჩხიკვიშვილი და სოციალისტ-ფედერალისტი შალვა ნუცუბიძე შელაპარაკდნენ:

– კაცო, მე წავიკითხე, რომ გაზეთში დაგიწერია, ჩხიკვიშვილს თავი ფაჩულიასთან (ცნობილი იყო ფაჩულიას დუქანი – დ. შ.) ხომ არ ჰგონია, ღვინოს სამოვრით რომ სვამსო...

– დავწერე, მერე რა?!

– საბუთი გქონდა რამე?

– უსაბუთოდ ლაპარაკი სოციალ-დემოკრატების საქმეა. მე ჰაერზე არაფერს ვამბობ.

– ჰოდა, მაგ საქმეზე უნდა ვილაპარაკოთ. აგერ ჩემდათავად სამსონს ვასახელებ (ჩხიკვიშვილმა ხელი ფედერალისტ სამსონ დადიანს დაადო), შენ ვინც გინდა ის მოიყვანე და გავარჩიოთ, ჩვენს შორის ვინაა მტყუანი.

– რა პრობლემაა, – მიუგო შალვა ნუცუბიძემ, – მაგრამ ვერ გავიგე, რა არის აქ გასარჩევი? შენც კარგად იცი, მე ეს ვთქვი შენი რეპლიკის პასუხად, სხდომაზე – ლაზღანდარა ხარო, რომ მომაძახე...

– მანამდე შენ თვითონ დამიძახე ჯიბგირი. ესე იგი, თავის დაძვრენა გინდა და უკან მიგაქვს შენი სიტყვები? – გაიფხორა ბენია ჩხიკვიშვილი.

– კაცო, შენ შარზე ხომ არა ხარ? რა თავის დაძვრენაზე მელაპარაკები? გეუბნები – ვთქვი, დავწერე და, თუ ძალიან გაგიხარდება, დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდანაც გაგიმეორებ...

ამ დროს ჩხიკვიშვილმა მუშტი დაარტყა შალვა ნუცუბიძეს თვალში და ხელი გაიკრა რევოლვერზე. ჩხიკვიშვილი გააკავეს სამსონ დადიანმა და ნიკოლოზ ელიავამ. ნუცუბიძემ სტაცა ხელი სკამს, რა დროსაც ის გააკავა დეპუტატთა ჯგუფმა და მისი ნასროლი სკამი ბენიას ასცდა. კონფლიქტი ამით არ ამოწურულა, სამსონ დადიანმა ბენიას დაუყვირა:

– ვინც ამ საქმეს იკადრებს, იგი არაა ღირსი დეპუტატობის.

ამან კიდევ უფრო გადარია ჩხიკვიშვილი და რევოლვერზე კიდევ ერთხელ წაივლო ხელი და თან იძახდა: „პუსტიტე მენია,

ზასტრელიუ მერზავცა!". მას არ ჩამორჩა არც სამსონ დადიანი, რომელიც გამშველებლებს მოუწოდებდა – „გაუშვით ეგ ლაჩარი, გვესროლოსო".

შემდეგ, როგორც ბენია ირწმუნებოდა, სამსონ დადიანმა ამ ყველაფერს დედის გინებაც დააყოლაო. სოციალ-ფედერალისტები ამტკიცებდნენ, რომ ბენია ჩხიკვიშვილმა შალვა ნუცუბიძეს ხელი არა აფექტის მდგომარეობაში, არამედ წინასწარი განზრახვით დაარტყა".

ფილოსოფიის საიდუმლო

ერთმა მღვდელმა თავი მოაბეზრა ჟან-ჟაკ რუსოს, გინდა თუ არა, გამაგებინე, რაში მდგომარეობს ფილოსოფიის საიდუმლოო.

– შეიძლება თქვენ გაიგოთ, რაც გაინტერესებთ, მაგრამ ის მაინც არაფერში გამოგადგებათ, – არწმუნებდა რუსო თავის ახირებულ ცნობისმოყვარეს, – ეს უფრო მავნებელიც კი იქნება თქვენთვის. ფილოსოფიის საიდუმლო ისაა, რომ მე ყოველთვის ვლაპარაკობ იმას, რასაც ვფიქრობ, თქვენ კი ყოველთვის იტყუებით.

კატონი და ქანდაკება

კატონ უფროსთან ერთი მისი ერთგული მომხრე მივიდა და უთხრა:

– აღმაშფოთებელია, რომ დღემდე რომში არ დგას შენი ქანდაკება, ამ საქმეს უნდა მიხედო.

– ამ საქმეს მოეშვი, – უპასუხა კატონმა, – მე მირჩევნია რომაელები ლაპარაკობდნენ, რატომ არ დაუდგეს კატონს ქანდაკება, ვიდრე ის, რომ ისინი კითხულობდნენ: – რატომ დაუდგეს ქანდაკება კატონს?

კრიტიკოსი

სირაკუზელი ტირანი დიონისე წერდა ლექსებს, რომლებსაც მწვავედ აკრიტიკებდა ფილოქსენი. ტირანმა კრიტიკოსი ქვის სამტეხლოში სამუშაოდ გაამწესა.

ცოტა ხნის შემდეგ მან ისევ დააბრუნა სასახლეში ფილოქსენი და სთხოვა, კვლავ შეეფასებინა მისი ახალი ლექსები.

ფილოქსენმა ყურადღებით უსმინა დიონისეს, შემდეგ ხმის ამოუღებლად ადგა და კარებისკენ წავიდა.

– სად მიდიხარ? – ჰკითხა გაკვირვებულმა ტირანმა.

– მეფეო, მე ქვის სამტეხლოში ვბრუნდები – მიუგო კრიტიკოსმა.

ბრძენეშმაკა ტირანი

ერთმა კარისკაცმა უსაყვედურა სირაკუზის ტირან დიონისეს, შენ რომ ადამიანი დააწინაურე, ქალაქში ყველას ეჯავრებაო.

დიონისემ უპასუხა:

– სწორედ ეგ მინდოდა – რომ სირაკუზში ყოფილიყო ისეთი ვინმე, რომელიც ჩემზე მეტად შესჯავრდებოდათ.

ნიცშეს შურისძიება

ამბობენ, რომ ფრიდრიხ ნიცშეს ძალიან უყვარდა ლამაზი გოგონები, მაგრამ მათ სრულიადაც არ მოსწონდათ იგი. ნიცშე არც საშუალო გოგონებს მოსწონდათ. არც კაცებს უყვარდათ ფილოსოფოსი. მეტიც, ძაღლებსაც კი არ უყვარდათ ის. ამიტომაც იყო ალბათ, რომ ნიცშე ყიდულობდა ბევრ ლუდს, მიდიოდა სახლში და შურს იძიებდა სამყაროზე თავისი საყვარელი ფილოსოფიის თხზვით.

პატიმრის თხოვნა

რუსი რევოლუციონერ-ხალხოსანი სერგეი სტეპნიაკ-კრავჩინსკი თავის ცნობილ წიგნში „რუსეთი მეფეთა უღელქვეშ“, წერდა: „როცა 1879 წლის აპრილში ახალი გუბერნატორის მიერ ბელგოროდის ცენტრალის (ციხის) საინსპექციოდ გაგზავნილმა გენერალმა პატიმრებს ჩვეული კითხვით მიმართა: „გაქვთ თუ არა რაიმე განცხადება? არის თუ არა საჩივარი?“, ერთმა კავკასიელმა თავადმა ციციანოვმა უთხრა:

– დიახ, გენერალო, გთხოვთ მოწყალებას, რაც თქვენ ადვილად შეგიძლიათ გამიწიოთ. გთხოვთ, მომისაჯოთ სიკვდილით დასჯა. აქ ცხოვრება ნელ სიკვდილს ნიშნავს, ეს კი აღემატება იმას, რისი ატანაც შემიძლია. გემუდარებით, ბოლო მოუღოთ ჩემს ტანჯვას. გთხოვთ, მომცეთ სიკვდილის საშუალება.“.

ეს „კავკასიელი თავადი ციციანოვი“ იყო ქართველი ხალხოსანი ალექსანდრე ციციშვილი, რომელიც სხვა თანამემამულეებთან ერთად გაასამართლეს ცნობილ „50-ის პროცესზე“ და კატორღა მიუსაჯეს. სხვათა შორის, ის იყო რუსეთის იმპერიის ისტორიაში პირველი რევოლუციონერი, რომელმაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას.

პეტრე პირველის ვიქტორინა

პეტრე პირველს უყვარდა იუმორი, სიტყვამოსწრებული კითხვები და პასუხები. მისი ახირების წყალობით, სახელმწიფო დამნაშავეების დაკითხვა თავისებური ვიქტორინის ფორმით მიმდინარეობდა. თუ დამნაშავე ამ პროცედურას წარმატებით დაძლევდა, შეწყალების იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა.

ერთხელაც პეტრე ქურდობაში ეჭვმიტანილ ჩინოვნიკს ეკითხება:

– რამდენი ვარსკვლავია ცაზე?

– ასი ათას შვიდას ოთხმოცდახუთი, – უმალვე უპასუხა დამნაშავემ.

– არ იტყუები? – გაუკვირდა იმპერატორს.
– ხელმწიფევ, თუ არ გჯერათ, შეამოწმეთ.

პრეზიდენტის დილის ძილი

რონალდ რეიგანი კოლექტიური მმართველობის მომხრე და პრაქტიკოსი იყო, განსხვავებით ავტორიტარებისაგან, და ეს ხელს უწყობდა, თავისი ყოველდღიური ცხოვრების სტილი გარკვეულწილად შეენარჩუნებინა მაშინაც კი, როცა ის პრეზიდენტი გახდა. პრეზიდენტობის პირველსავე ხანებში, ერთ დღეს, ადმინისტრაციის თანამშრომელმა გაღვიძება დაუპირა დილის 7 საათსა და 30 წუთზე, როცა, ტრადიციულად, პრეზიდენტისთვის ყოველდღიური მოხსენება უნდა გაეკეთებინა ნაციონალური უსაფრთხოების სამსახურს.

„მე არ ვაპირებ პრეზიდენტობის რეჟიმში გადაკეთებას“, – უთხრა რეიგანმა თანამშრომელს და დილის ძილი გააგრძელა.

მართლაც, ლ. კენონის ცნობით, რეიგანმა შეცვალა ადრინდელი წესი და ნაციონალური უსაფრთხოების ყოველდღიური ანგარიშის დრო 9 საათსა და 30 წუთზე გადაატანინა.

ინგლისის მეფე და მჭედელი

რიჩარდ ლომგულის ცხენს ნალი მოსძვრა რომელიღაც სოფელთან ახლოს. მეფე სამჭედლოში მივიდა და მჭედელს ნალის გაკეთება უბრძანა. მჭედელმა ნალი გამოჭედა, მაგრამ მეფემ იგი გადაამტვრია და ახალი ნალის გაკეთება მოსთხოვა. მეფე-რაინდის ღონეს ვერც მეორე ნალმა გაუძლო.

– უფრო კარგი ნალი გააკეთე, – არ მოეშვა მეფე.

მაშინ მჭედელმა ძალიან მოინდომა და მესამე ნალი ისეთი გამოუვიდა, რომ ლომგულმა ველარაფერი მოუხერხა.

ნალი ცხენს მიაჭედეს და სამუშაო ამით დასრულდა.

მეფემ საფასურად მჭედელს მონეტა გაუწოდა, მაგრამ ღონიერი მორკინალის ხელში მონეტა ნაკუწებად იქცა. მეფემ ახლა

დიდი ზომის მონეტა შესთავაზა, მაგრამ ვერც ამან გაუძლო მჭედლის ძალას.

– მომეცი უფრო კარგი მონეტა, – უთხრა მჭედელმა მეფეს.

გაეცინა რიჩარდ ლომგულს და მჭედელი ოქროს მონეტით დაასაჩუქრა.

ზუსტად ასე არა

რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე რომ მოკლეს ნაროდოვოლცებმა და ეს ამბავი სენატორმა ივანე დელიანოვმა გაიგო, აღშფოთებულმა წამოიძახა:

– რა უბედურებაა, ასეთი რამ არასოდეს მომხდარა!

– კი მაგრამ, პეტრე მესამე? პავლე პირველი? – გაახსენეს სენატორს იმპერატორები, რომლებიც მკვლელების ხელით დაიხოცნენ. მაგრამ იგი არ გატყდა:

– კი, მაგრამ არა ქუჩაში.

ინსტრუქცია აურ-დაურია

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი უნდა შეხვედროდა აშშ-ის პრეზიდენტს. მან ინგლისური არ იცოდა, ამიტომ თარჯიმანმა გარკვეული კონსულტაციები ჩაუტარა.

– თუ შეიძლება, სანამ ბარაკ ობამას ხელს ჩამოართმევთ, უნდა უთხრათ: How are you? (როგორ ბრძანდებით?). შემდეგ მისტერ ობამა იტყვის: I am fine, and you? (მე არა მიშავს, თქვენ?). ამის შემდეგ თქვენ უნდა თქვათ: Me too (მეც ასევე). ამით დასრულდება თქვენი ამოცანა და საქმეში უკვე თარჯიმნები ჩავერთვებით.

თითქოს დიდი სირთულე არ იყო, მაგრამ იანუკოვიჩი რომ ობამას შეხვდა, ეუბნება:

– Who are you? (თქვენ ვინ ხართ?)

ცოტა არ იყოს დაბნეულმა ობამამ იუმორი მაინც მოახერხა და უპასუხა:

– Well, I am Michelle's husband, ha-ha (ჰოო, მე მიშელის ქმარი ვარ).

იანუკოვიჩმა კი ამჯერად ინსტრუქციის მიხედვით უპასუხა:

– Me too, ha-ha (მეც ასევე).

როგორც თვითმხილველი გადმოგვცემს, მოლაპარაკებები უხერხული სიჩუმით დაიწყო.

კიდევ კარგი, რომ...

ინდოეთში საბჭოთა კავშირის დელეგაცია ჩავიდა. დელეგაციას მეთაურობდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კლიმენტ ვოროშილოვი. დელეგაციას ახლდა საბჭოთა კავშირის ელჩი ინდოეთში ივანე ბენედიქტოვიც. სტუმრები გააოცა ინდოეთის სოფლების მოსახლეობის საშინელმა სიღატაკემ. ვოროშილოვი დელეგაციის წევრებს შინაურულად მიმართავდა, ახლაც, მიუბრუნდა მანქანაში მჯდომ ბენედიქტოვს, რომელიც, სხვათა შორის, ელჩობამდე, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო 20 წლის განმავლობაში, და უთხრა:

– ვანკა, ცუდად ცხოვრობენ ინდოელი გლეხები, არა?

– ოჰ, ცუდად კლიმენტ ეფრემოვიჩ, – უპასუხა ივანე ბენედიქტოვმა. ვოროშილოვი არ მოეშვა:

– ჩვენი გლეხებიც ხომ ასე ცუდად იცხოვრებდნენ, შენ რომ დღემდე სოფლის მეურნეობის მინისტრი ყოფილიყავი?

უცნაური შედარება

1979 წელს დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი პირველად გახდა ქალი – მარგარეტ ტეტჩერი. გაუგებარია, შექება უნდოდა თუ გაკილვა, მაგრამ საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა ტეტჩერის შესახებ მაშინ თქვა:

„მას მერილინ მონროს ტუჩები და კალიგულას თვალები აქვს".

ისიც საინტერესოა, სად ნახა მიტერანმა კალიგულას თვალები?

რკინის კანცლერი

გერმანიის კანცლერ ოტო ფონ ბისმარკს სიბერეში ნევროზული შეტევები აწუხებდა. პირადი ექიმი უძლური იყო, რაიმე ეშველა და ბისმარკმა ცნობილ ექიმს სთხოვა დახმარება. ყოფილი კანცლერი გააოცა ექიმის ღრმა ცოდნამ და ,შესაძლოა, გააღიზიანა კიდეც, რადგან ირონიულად ჰკითხა:

– ექიმო, მითხარით, რამდენი პაციენტი გაისტუმრეთ საიქიოს, სანამ ამდენ ცოდნას დაეუფლებოდით?

– ისე ბევრი არა, ვიდრე თქვენ, სანამ ეს ავადმყოფობა შეგეყრებოდათ, თქვენო ბრწყინვალებავ, – იყო პასუხი.

გზა ფილოსოფოსობისკენ

ერთხელ სოკრატეს ერთ-ერთმა მოწაფემ ჰკითხა:

– ღირს კი საერთოდ ცოლის მოყვანა?

– აუცილებლად, – უპასუხა მასწავლებელმა, – თუ კარგი ცოლი შეგხვდება, ბედნიერი კაცი იქნები, ხოლო, თუ ისეთი შეგხვდა, როგორიც ჩემი ცოლი ქსანტიპაა – ფილოსოფოსი გახდები.